

"24 საათის" ფიქციანი ნომერი
***2424**

იხილეთ ჩანართი



რუმინეთის
პრეზიდენტი მეორე
ვადით აირჩიეს **A8**



ადმოსავლური
კოფინა ქალაქური
ფოლკლორით **A9**



გლოვამ რუსული კატარღები შეაფარსა

დათო გაბისონია

გუშინ საქართველოს ხელისუფლება ოჩამჩირეში რუსული კატარღების გამოჩენას ელოდა. რუსეთის ფედერალური უშიშროების სამსახურის სასაზღვრო სამმართველოს უფროსის მოადგილემ ოლეგ ფროლოვმა 4 დეკემბერს განაცხადა, რომ ოჩამჩირეში "სობოლისა" და "მანგუსტის" ტიპის პირველი კატარღების შესვლა 7 დეკემბერს იყო დაგეგმილი. საპასუხოდ, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ რუსეთი საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული ნორმების, პრინციპებისა და მის მიერ ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების უხეშ დარღვევაში დაადანაშაულა.

საინფორმაციო სააგენტო "ინტერფაქსი" ავრცელებს პოდპოლკოვნიკ ფროლოვის მუქარას, რომ რუსი მესაზღვრეები აფხაზეთის ე.წ. საზღვაო საზღვრის დამრღვევ ყველა მცურავ საშუალებას დააკავებენ.

გაზრდილება A3 გვირდვა



წინასაახალწლო და არასაახალწლო ამბები კარლამენტი

საქართველოში დეკემბრის დასაწყისიდანვე ქვეყნის საახალწლო რეჟიმში ნაადრევად გადასვლის მცდელობა შეიმჩნევა. კვირა საღამოს პარლამენტის წინ საახალწლო დღები "გახსნილად" თავად პრეზიდენტმა გამოაცხადა, გუშინ კი უკვე პარლამენტის შიგნით, ბიუროს სხდომაზე ერთ-ერთ მთავარ თემად სწორედ საახალწლო ღონისძიებები იქცა. არც ერთ სხვა თემას ბიუროს გუშინდელ სხდომაზე მსგავსი დისკუსია და დეპუტატების "ფართო ჩართულობა" არ გამოუწვევია.

თამარ ივანიძე

საახალწლო დეზატები

საახალწლო თემატიკა სხდომაზე პირველად ოპოზიციონერმა ვიცე-სპიკერმა ლევან ვეფხვაძემ წამოჭრა. ვეფხვაძე თოვლის ბაბუის სანტატი ჩანაცვლების ფაქტს აპროტესტებს. "ვინ არის სანტა, რომელსაც გუშინ მიხეილ სააკაშვილმა წერილი გაუგზავნა?" - დასვა ჩამჭრელი კითხვა ბიუროს სხდომაზე ოპოზიციონერმა ვიცე-სპიკერმა და იქვე განმარტა, რომ "ქრისტიან-დემოკრატები" საახალწლო ღონისძიებიდან ეროვნული ელემენტების გაქრობას ეწინააღმდეგებიან. ისინი ხელისუფლებას იმის გამო აკრიტიკებენ, რომ სამი-ოთხი წლის წინ გამოჩენილ ქართულ თოვლის ბაბუსა და სვანურ კომპს დღეს თავისი ატრიბუტი-

კით სანტა-კლაუსი ჩაენაცვლა. ვეფხვაძის კრიტიკა არც "ლუსტრირებულ" რუსთაველის გამზირს ასცდა, რომელიც, მისივე შეფასებით, "ზრუშოვის" ტიპის ბინას დაამსგავსეს. საახალწლოდ მორთულ რუსთაველის გამზირში "ქვეყნისთვის მზაკურულსა" და "სამიშს" ვერაფერს ხედავენ საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლები. ეროვნული ელემენტების ხსენებისას ბიუროს სხდომაზე მათი მხრიდან რუსთაველზე ხუთკუნჭულასა და ნიქარას დადგმის იდეაც გაჩნდა, თუმცა დეპუტატ გოკა გაბაშვილს მაინც ვერ გაუგია, რატომ ებრძვიან საქართველოში გარკვეული პოლიტიკური ჯგუფები სანტა-კლაუსს, ლაპლანდიას და შობის დღესასწაულის მილოცვის დასავლურ ტრადიციას.

გაზრდილება A2 გვირდვა

გაუხმაურებული გაურინარება

ცხინვალის საპრობილემო უკვე ხუთი თვეა, არასრულწლოვანი გიორგი არჩვაძეა დატყვევებული

თვეზე მეტია საქართველოს ხელისუფლება საკუთარი თუ საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებით ოთხი არასრულწლოვანის ცხინვალის საპრობილემოდან დახსნას ცდილობს. 14 წლის გიორგი რომელაშვილი და ალექო საბაძე, 16 წლის ვიქტორ ბუჩუკური და 17 წლის ლევან ხშიადაშვილი 4 ნოემბერს გორის რაიონის სოფელ ტირიძის მიმდებარე ტერიტორიიდან ნაშუადღევს დაიკარგნენ. ამ ხნის მანძილზე ყოველდღიურად ოფიციალურად გაკეთებული საპროტესტო ნოტების და მიმართვების შემდეგ არასრულწლოვანების ბედით თითქმის მთელი მსოფლიო და საერთაშორისო ორგანიზაციები დაინტერესდნენ. ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში ევროსაბჭოს უმაღლესი კომისრის თომას ჰამარბერგის აქტიური ჩარევის შემდეგ კი ორი არასრულწლოვანი გიორგი რომელაშვილი და ალექო საბაძე საკუთარ ოჯახებს დაუბრუნდნენ. სწორედ, მათგან ვახდა ცნობილი, რომ ე.წ. სამხრეთ ოსეთის საპრობილემო დატყვევებულია კიდევ ერთი ქართველი არასრულწლოვანი გიორგი არჩვაძე. მის შესახებ დღემდე ოფიციალურად არაფერი იყო ცნობილი..

თამარ ქაშიტაძე

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის თვეების მანძილზე ცნობილი იყო გიორგი არჩვაძის გაუჩინარება და მისი ცხინვალის ციხეში ყოფნა, ეს ინფორმაცია ფართო საზოგადოებისთვის მას შემდეგ გახდა ცნობილი, რაც კოკოითის ხელისუფლების ტყვეობიდან გათავისუფლებული გიორგი რომელაშვილი და ალექო საბაძე საქართველოს

სახალხო დამცელის გორის ოფისის წარმომადგენლებს შეხვდნენ. სწორედ, მათი საუბარისას გაირკვა, რომ ქართველი არასრულწლოვანები დაკავების შემდეგ, ცხინვალში სწორედ იმ საკანში მოათავსეს, სადაც უკვე ხუთი თვეა საზღვრის უკანონო გადაკვეთის ბრალდებით კიდევ ერთი არასრულწლოვანი ქართველი, გიორგი არჩვაძე ე.წ. სამხრეთ ოსეთის მართლმსაჯულების განწყვეტილებას ელოდება.

გაზრდილება A6 გვირდვა

24 საათი
"24 საათის"
ელექტრონული ვერსია
იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:

თიბისი ბანკი
TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს

FREE INDUSTRIAL ZONE
RAKIA GEORGIA

HYUNDAI

ქართული მხარე რუსეთის ბრალდებებს უარყოფს

რუსეთის საგარეო პოლიტიკური უწყების ხელმძღვანელ სერგეი ლავროვის ბრალდებებს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო გამოეხმაურა.

“რუსული მხარის ბრალდებები განგაშის საფუძველს არ იძლევა, თუმცა სიფრთხილე მაინც საჭიროა,” - განაცხადა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ნინო კალანდაძემ. კალანდაძე სიცრუეს უწოდებს ლავროვის მიერ ქართული მხარისადმი გამოთქმულ ბრალდებებს იმის შესახებ, რომ საქართველო ნაკისრ ვალდებულებებს არ ასრულებს, მომავალი თავდასხმისთვის ემზადება და შეიარაღებას აძლიერებს.

“მნიშვნელობა არა აქვს, რა ტიპის განცხადებებით გამოვა ლავროვი, რადგან ყველა მათგანი ცრუა. ამას რუსეთი მიზანმიმართულად აკეთებს და ცდილობს, საკუთარი ქვეყნის მოქალაქეების და საერთაშორისო საზოგადოების თვალში საქართველო მტრის ხატად წარმოაჩინოს, თუმცა ქართული მხრიდან შეიარაღების ზრდას და თავდასხმისთვის მზადებას ჩვენთან ერთად ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიაც უარყოფს,” - განაცხადა ნინო კალანდაძემ და დასძინა, რომ რუსეთის მხრიდან მზადებას განცხადებები რუსეთ-საქართველოს ომის დაწყებამდეც კეთდებოდა, რათა დეზინფორმაციის ფონზე საერთაშორისო საზოგადოების აზრი მომზადებულიყო. მინისტრის მოადგილის თქმით, მოსკოვს ეს ხრიკი ზოგიერთ ქვეყნებთან გამოსდიოდა კიდევც.

ქართული მხარე მიიჩნევს, რომ აუცილებელია რუსეთის ჩართვა საერთაშორისო უსაფრთხოების საკითხებში, რაც საერთაშორისო თანამეგობრობისთვის კიდევ ერთი ბერკეტი იქნება რუსეთთან დიალოგის ფორმით მოლაპარაკების სანარმოებლად, რათა არ დაირღვეს თუნდაც აქამდე არსებული უსაფრთხოების მექანიზმები.

ოფიციალური მოსკოვი საქართველოს მედვედევი-სარკოზის შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობაში ადანაშაულებს. როგორც რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა ბრიუსელში ნატო-რუსეთის საბჭოზე განაცხადა, ქართულმა მხარემ ხელი მოაწერა ხელშეკრულებას ძალის გამოყენებლობის შესახებ, მათ შორის, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ხალხის წინააღმდეგ, თუმცა ის ამ პირობებს არღვევს.

“რაც შეეხება რუსეთს, მან სრულად შეასრულა მედვედევი-სარკოზის შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებები, საქართველომ კი არა,” - განაცხადა ლავროვმა.

ასევე აღნიშნა, რომ ქართულმა მხარემ აიღო ვალდებულება, ხელი მოაწეროს ხელშეკრულებას ძალის გამოყენებლობის შესახებ, მათ შორის - აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ხალხების წინააღმდეგ, თუმცა ის ამ ვალდებულებას არ ასრულებს. რუსეთის ბრალდებით, გრძელდება უცხოეთიდან საქართველოსთვის თავდასხმითი იარაღის მიწოდება და უკვე აღდგენილია ქვეყნის ომამდელი საშენობო პოტენციალი. ლავროვის თქმით, რუსეთს არ შეუძლია, აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის აღიარება უარყოს, რადგან ამ რეგიონების დამოუკიდებლობა არა მან, არამედ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ხალხებმა გამოაცხადეს, რომლებსაც საქართველოს რეჟიმების გამო ბევრის მოთმენა მოუხდათ. **სალომე გულისაშვილი**

ამერიკა-საქართველოს თანამშრომლობის პრიორიტეტები

საქართველოს თავდაცვის მინისტრი ბაჩო ახალაია ევროპაში აშშ-ის საპარტნიორო ძალების სარდალს, გენერალ როჯერ ბრადს შეხვდა.

თავდაცვის სამინისტროში გამართულ შეხვედრაზე მხარეებმა ამერიკასა და საქართველოს შორის 2010-2011 წლებში თანამშრომლობის პრიორიტეტები განიხილეს. ასევე საუბარი შეეხო აშშ-ის დახმარებას საქართველოს საპარტნიორო ძალების განვითარების საქმეში.

“ინტერპრესნიუსის” ცნობით, შეხვედრის დასრულების შემდეგ ერთობლივად გამართულ პრესკონფერენციაზე, ამერიკელმა გენერალმა თავდაცვის მინისტრთან შეხვედრით კმაყოფილება გამოთქვა და ქვეყნებს შორის თანამშრომლობის გაღრმავების აუცილებლობას გაუსვა ხაზი. მისი განცხადებით, აშშ-სთვის საქართველო ერთ-ერთი ყველაზე ერთგული პარტნიორია, რაზეც ქართველი სამხედროების ერაყსა და ავღანეთის სამშვიდობო მისიებში აქტიური მონაწილეობაც მეტყველებს.

თავდაცვის მინისტრის, ბაჩო ახალაიას განცხადებით, საქართველოსთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს აშშ-ის საპარტნიორო ძალების ტექნიკურ დახმარებას. “ჩვენ მიუვალალებით ორმხრივი კონსულტაციების შედეგად განსაზღვრულ მიმართულებებს, რომელთა შორის საქართველოს შეიარაღებული ძალების პროფესიული, სამხედრო განათლება და წვრთნები ერთ-ერთი პრიორიტეტია”, - განაცხადა ბაჩო ახალაია.

მისივე თქმით, 2010 წლის თანამშრომლობის გეგმაში განსაზღვრულია ამერიკის საპარტნიორო ძალების დახმარება თავდაცვის ეროვნული აკადემიის რეფორმირების საქმეში, ასევე, ქართველი სამხედრო მოსამსახურეების აშშ-ის საგანმანათლებლო პროგრამებში ჩართვა.

ევროპაში აშშ-ს საპარტნიორო ძალების სარდალს, გენერალ როჯერ ბრადს საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილიც შეხვდა. მიხეილ სააკაშვილმა და როჯერ ბრადმა ავღანეთის სამშვიდობო ოპერაციაში საქართველოს როლზე იმსჯელეს.

წინასაახალწლო და არასაახალწლო ამაზი პარლამენტში

პირველი გახილვის

აღნიშნულ დებატებს პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძის მონაწილეობის გარეშე არ ჩაუვლია, რომელმაც “ქრისტიან-დემოკრატებს” პირობა მისცა, რომ მომავალი წლისათვის საახალწლოდ ქალაქი მათი მხატვრული კონცერტის მიხედვით მოეწყობა. **“თუ თქვენ ვერ გაიგეთ, ვინ იყო სანტა, იმედი მაქვს, ამას ძალიან კარგად გაიგებდნენ თქვენი და ჩემი შვილები, რადგან აღნიშნული ღონისძიება გათვლილი იყო მათზე და არა ჩვენზე,”** - განმარტა დავით ბაქრაძემ.

როგორც აღვნიშნეთ, ამ საკითხის განხილვას სხდომაზე საკმაოდ ბევრი დრო დაეთმო, თუმცა, როგორც მოსალოდნელი იყო, პარლამენტის დღის წესრიგში ამ თემის შეტანა დეპუტატებმა გადაიფიქრეს.

რიგგარეშე სხდომა

საახალწლო რეჟიმზე გადასულ ქვეყანაში პარლამენტი ჯერჯერობით მაინც ვერ ახერხებს საბოლოოდ დასვენებას. მეტიც - იმისთვის, რომ განსახილველი საკითხები დროულად დამტკიცდეს, პარლამენტარებს მიმდინარე კვირაში რიგგარეშეც მოუხდება შეკრება. დეპუტატები პარასკევს, 11 დეკემბერს, სესიაზე შეიკრიბებიან, რომელზეც განახლებულ “საარჩევნო კოდექსს” მეორე მოსმენით განიხილავენ და დამტკიცებენ. აღნიშნული გადაწყვეტილება ბიუროს სხდომაზე იქნა მიღებული, რომლის დროსაც პარლამენტის თავმჯდომარემ დავით ბაქრაძემ უმრავლესობისა და ოპოზიციის წარმომადგენლებს შეუთანხმებელ საკითხებზე კონსულტაციების გამართვისაკენ კიდევ ერთხელ მოუწოდა.

“უკვე შეთანხმებულ საკითხებზე პრობლემები არ არსებობს, მაგრამ განხილვის დროს კოლეგების მხრიდან რიგი შენიშვნები გამოითქვა და საჭიროა, დროულად მოხდეს პროექტში ამის ასახვა. ამიტომ სესიამდე არსებული დრო კონსულტაციებისთვის გამოვიყენებო, რათა გამოძინარე საკითხები შეჯერდეს,” - განაცხადა დავით ბაქრაძემ.

იმის გათვალისწინებით, რომ სამუშაოდგომო სესიის დასრულებამდე მხოლოდ ერთი სასესიო კვირა დარჩენილია და კანონმდებლობის თანახმად ორგანული კანონის პირველი და მეორე მოსმენით მიღება ერთ სასესიო კვირას არ შეიძლება, რიგგარეშე სესია 11 დეკემბერისთვის დაინიშნა. ამავე სხდომაზე პირველი მოსმენით იქნება მიღებული ის გამოძინარე კანონპროექტები, რომლებიც “საარჩევნო კოდექსში” შეტანილ ცვლილებებს ეხება.

საზოგადოების “თვალში” - “საზოგადოებრივი მაუწყებელი”

ახალ წლამდე პარლამენტი, სეკარადლოდ, “საზოგადოებრივი მაუწყებლის” ბორდის ახალი წევრების დამტკიცებასაც მო-

ასწრებს. გუშინ პარლამენტის ბიუროს “საზოგადოებრივი მაუწყებლის” სამეურვეო საბჭოს წევრობის კანდიდატები წარედგინა.

პირველ ვაკანტურ თანამდებობაზე წარდგენილი არიან მერაბ ბასილია, მალხაზ ნარინდოშვილი, გიგა ნასარიძე. მეორე ვაკანტურ თანამდებობაზე - ჯონი კალანდაძე, ნოდარ სარჯველაძე, იაგო კაჭკაჭიშვილი, მესამეზე - ლევან ფოფხაძე, ემზარ გოგუაძე, ინგა ბოლოთაური, მეოთხეზე - ავთანდილ ანთიძე, ბადრი გვარამია, ნანა გოგორაშვილი, მეხუთეზე - ნინო დანელია, ლელა გაფრინდაშვილი, გიორგი მელაძე, მეექვსეზე - ლია ჩახუნაშვილი, მზია გოგინაშვილი, მაია მიშელაძე, ხოლო მეშვიდე ვაკანტურ თანამდებობაზე პარლამენტს შორენა შავერდაშვილს, თამაზ ბიბილურსა და მიხეილ აიღინოვს შორის მოუწევს არჩევანის გაკეთება.

საკონსტიტუციო ცვლილებები

“ეკონომიკური თავისუფლების აქტი” გათვალისწინებული საკონსტიტუციო ცვლილებების განხილვას ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო უკვე მიმდინარე კვირაში შეუდგება. ამის შესახებაც გუშინ გახდა ცნობილი.

ცნობისათვის - ამ ცვლილებების თანახმად, გადასახადების გაზრდა და შემოღება რეფერენდუმის გზით გადაწყდება. პარლამენტის საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე ზურაბ მელიქიშვილი დარწმუნებულია, რომ ეს საკონსტიტუციო ცვლილებები ხელს შეუწყობს საქართველოში ინვესტიციების მოზიდვასა და ხალხის დასაქმებას.

ახალი ინიციატივა - საპარლამენტო კონტროლი შსს-ზე

უკვე ნაცნობ ინიციატივებს, რომლებიც ან უკვე უარყოფილია, ან განხილვის რეჟიმშია, გუშინ ახალი დაემატა: “ქრისტიან-დემოკრატები” პარლამენტში ახალი მუდმივმოქმედი ორგანოს - მონიტორინგის საპარლამენტო ჯგუფის შექმნის ინიციატივით გამოვიდნენ. ჯგუფის უმთავრესი ფუნქცია იქნება შინაგან საქმეთა სამინისტროს ოპერატიულ-ტექნიკურ საქმიანობაზე კონტროლის დაწესება. “ქრისტიან-დემოკრატებმა” უკვე მოამზადეს “პოლიციის შესახებ” კანონსა და პარლამენტის რეგლამენტში შესატანი ცვლილებების და დამატებების პროექტი, რომელიც პარლამენტის საორგანიზაციო დეპარტამენტს გუშინ ჩაბარდა.

ინიციატივის თანახმად, მონიტორინგის საპარლამენტო ჯგუფი შსს-ს მიერ ფინანსების ეფექტიან და რაციონალურ ხარჯვაზე განეჭვ კონტროლს. მის ფუნქციებში ასევე შედის სამინისტროს ოპერატიულ-ტექნიკური საქმიანობის მონიტორინგი, რაც თავის მხრივ, კავშირგაბმულობის არხიდან ინფორმაციის მოხსნას (მათ შორის მოსმენებს), ვიზუალურ კონტროლს (თვალთვალი) და სხვა ოპერატიული საქმიანობის

საშუალებით ინფორმაციის მოპოვებას და დამუშავებას, ასევე მოპოვებული ინფორმაციის გამოყენებას და მისი გაცემის კანონიერებას უკავშირდება.

“ქრისტიან-დემოკრატების” საკანონმდებლო ინიციატივის თანახმად, მონიტორინგის საპარლამენტო ჯგუფის შემადგენლობაში შევა ყველა საპარლამენტო ფრაქციისა და უფრაქციო დეპუტატთა ჯგუფის თითო-თითო წარმომადგენელი. თავმჯდომარე კი აირჩევეს პარლამენტის მიერ ჯგუფის წარდგინებით, იმ პირობით, რომ იგი საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელი არ უნდა იყოს.

“მონიტორინგის საპარლამენტო ჯგუფი უფლებამოსილი იქნება, სრული შემადგენლობის უმრავლესობით დასვას დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის საკითხი მისი მონიტორინგის სფეროში შემავალ თემატикаსთან დაკავშირებით, ხოლო სამინისტრო ვალდებულია, მონიტორინგის საპარლამენტო ჯგუფს მოთხოვნისთანავე წარუდგინოს ინფორმაცია მის კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე,” - აცხადებს კანონპროექტის ავტორი და ინიციატორი ნიკა ლალიაშვილი, რომელმაც აღნიშნულ საკითხზე გუშინ პარლამენტში სპეციალური პრესკონფერენცია გამართა.

პაატა დავითაია აშშ-ს და ნატო-ს მიმართავს

საკანონმდებლო ცვლილება არ დაუყენებია, მაგრამ სპეციალური განცხადების შემუშავება კი მოითხოვა ბიუროს გუშინდელ სხდომაზე კიდევ ერთმა ოპოზიციონერმა ვიცე-სპიკერმა - პაატა დავითაიამ. პაატა დავითაიამ ბიუროზე ისაუბრა აშშ-ს და ნატო-ს სამხედრო გეგმების მიერ შავი ზღვის აკვადორიის გაკონტროლების აუცილებლობაზე. მან სახელისუფლებო გუნდის წარმომადგენლებს მიმართა, დაარწმუნონ დასავლეთელი პარტნიორები, რათა მათი მხრიდან შავი ზღვის გაკონტროლება მოხდეს. დავითაიას განცხადებით, ოჩამჩირეთში ბაზირებულ რუსულ სამხედრო კატარალებს აქვთ იმის ტექნიკური შესაძლებლობა, რომ დიდი მოძრავე გემები გააჩერონ. გამოძინარე აქედან, დავითაია ფოთის პორტის ბლოკირების საფრთხეზე საუბრობს და აცხადებს, რომ საჭიროა ამ მიმართულებით სასწრაფო ღონისძიებების გატარება.

“რუსეთმა შავი ზღვის აკვადორიაში შეგნებულად შეიყვანა სწრაფმავალი სამხედრო კატარალები, რომელთაც სრულიად თავისუფლად შეუძლიათ მოძრავე გემების გაჩერება, ამისთვის მხოლოდ ერთი ბრძანების მიღება სჭირდებათ. საფრთხის წინაშე დგას ფოთის პორტი, რომელიც, გამოირიცხული არ არის, ბლოკირებული აღმოჩნდეს. ქართული მხარე საკუთარი ძალებით ვერ შესძლებს რუსეთის ამ პროვოკაციული გადაწყვეტილების შეჩერებას, სწორედ ამიტომ ჩვენ უნდა მივმართო ჩვენს დასავლეთელ პარტნიორებს,

რათა მათ საკუთარი გემებით შავი ზღვის აკვადორია გააკონტროლონ,” - განაცხადა პაატა დავითაიამ.

ბიუროს სხდომაზე გუშინდელ გადაწყვეტა, რომ საკითხს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტი შეისწავლის და შესაბამის მიმართვასაც შეიმუშავებს.

“ლეიბორისტების” პირველი საკანონმდებლო აქტივობა

გუშინდელი საპარლამენტო დღე კიდევ ერთი განსაკუთრებული სიახლით აღინიშნა - არა საპარლამენტო დარბაზში, თუმცა სწორედ საპარლამენტო-საკანონმდებლო თემიარე პარლამენტში კვლავ ყოფნა-არყოფნის ზღვარზე ყოფნა “ლეიბორისტებმა” სპეციალური პრესკონფერენცია მოაწყვეს და საკანონმდებლო ორგანოს თავიანთი საკანონმდებლო ინიციატივის განხილვა შესთავაზეს. ახალი საკანონმდებლო ინიციატივა შალვა ნათელაშვილმა საზოგადოებას გუშინ თავად გააცნო. მისი თქმით, “ლეიბორისტული პარტია” პარლამენტში წარადგენს კანონპროექტს, რომლის თანახმადაც, ადამიანთა რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფა, ღვთისმსახურთა დევნა და ცილისწამება ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის წესით დასჯადი იქნება. თუმცა, ნათელაშვილის განცხადებით, აღნიშნული ინიციატივის განხორციელებისთვის “ლეიბორისტული პარტია” პარლამენტში შესვლას არ აპირებს და წარმომადგენლობას გია ცაგარეიშვილს სთხოვს. ცნობისათვის - საზოგადოების ერთმა ნაწილმა პატრიარქსა და ხელი-სუფლებას მიმართვა გაუგზავნა, სადაც რამდენიმე კითხვაზე პასუხის გაცემა სთხოვა. მიმართვაში საუბარია ისეთ საკითხებზე, როგორცაა პატრიარქის თანამშრომლობა საბჭოთა სუკთან, ხელისუფლებასა და საპატრიარქოს შორის არსებული ურთიერთობების არაკანონზომიერება და სხვ. აღნიშნულის შესახებ საპატრიარქოს ოფიციალური განცხადება არ გაუქმებია.

გია ცაგარეიშვილი კი “ლეიბორისტების” შეთავაზებს გუშინვე გამოეხმაურა და მხარდაჭერა აღუთქვა. ცაგარეიშვილმა გუშინ განაცხადა, რომ ახალი კანონპროექტის გაცნობის შემდეგ მზად არის, პარლამენტში “ლეიბორისტული პარტიის” წარმომადგენლობა იკისროს. **“მივესალმები კოლეგების გადაწყვეტილებას საკანონმდებლო საქმიანობაში ჩართვაზე. რაც შეეხება მათ მიერ ინიცირებულ კანონპროექტს, თუ მასში არაკონსტიტუციური არაფერია, მას შემდეგ, რაც შინაარსს გავეცნობი და ავტორებს გავესაუბრებ, კანონპროექტის წარდგენაში სიამოვნებით მივიღებ მონაწილეობას,”** - განაცხადა ცაგარეიშვილი. მისივე თქმით, “აუცილებელია ამ აგრესიული ათეიზმის კანონის ჩარჩოებში მოქცევა.”

გაზეთი "24 საათის" გამოცემისა და "გვპ". რედაქტორ-გამომცემელი: მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა მუხამაძე.
რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), რედაქტორები: შალვა ლევიანი (საზოგადოება/Weekend), ინგა ალაიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ივა შილაკაძე (უცხოეთი)
სოფი კლასონა (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტის). **რედაქციის და მარკეტინგის დეპარტამენტი:** ირაკლი ლევიანი (ტელ: 899 22 09 49). **ქვეყნის მარკეტინგის დეპარტამენტი:** თამარ ჩხაიძე (მენეჯერი), ირაკლი ჯიშკარიანი, თინათინ ქირია, ნინო ყაველაშვილი.
რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. **ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ:** 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). **ფაქსი:** 31-93-86. **ელ-ფოსტა:** public@24hours.ge

გლოზა რუსული კატარღები შეაფერხა

პირველი გვერდიდან

სწორედ ამ მიზნით რუსეთმა ოჩამჩირეში საზღვრების დაცვის დივიზიონის კუთვნილი "სობოლისა" და "მანგუსტის" პროექტების კატარღების ბაზირების გადაწყვეტილება მიიღო. ამასთან, სულ უფრო ხშირად კეთდება მინიშნება ოჩამჩირეში რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის აფხაზეთის სამმართველოს საზღვაო ბაზის შექმნაზე. მშენებლობის დასრულებას 2-3 წელში ვარაუდობენ.

ოჩამჩირის სანაპიროსთვის გამოყოფილი საპატრულო კატარღა "მანგუსტი" მიეკუთვნება სწრაფმავალ, გლისერის ტიპის კატეგორიას და მას სპეცსამსახურები და საზღვრო უწყებები იყენებენ. პროექტ 12150-ის კატარღა "მანგუსტი" მსხვილკალიბრიანი (14,5 მმ) ტყვიამფრქვევით არის აღჭურვილი. ამავდროულად, პროექტ 12200-ის კატარღა "სობოლი" სანაპირო თავდაცვისთვის გამოიყენება და მას სამძებრო, სამაშველო და საპატრულო დანიშნულება აქვს. "მანგუსტის" მსგავსად, "სობოლზე" მსხვილკალიბრიანი ტყვიამფრქვევია დამონტაჟებული, რომელიც საპაერო, სასაზღვრო და საზღვაოსნო სამიზნეებისთვის არის განკუთვნილი. ორივე სახის მცურავი საშუალების ფუნქცია, როგორც რუსული მხარე განმარტავს, აფხაზეთის პორტების სკენ მიმავალი გემების უსაფრთხოების დაცვა და ოკუპირებული აფხაზეთის საზღვაო საზღვრების დაცვის უზრუნველყოფა იქნება. ამ განცხადების შემდეგ ქართული მხარე აღნიშნავდა, რომ "კრემლი გადავიდა თავისი ქვემარტივი ზრახვების პრაქტიკულ რეალიზაციაზე. რუსეთი ზრდის თავის სამხედრო პოტენციალს საქართველოს ოკუპირებულ ტერი-

ტორიებზე."

საქართველოს პარლამენტის ბიუროს გუშინდელი სხდომის გადაწყვეტილებით, საქართველოს ტერიტორიულ წყლებში რუსეთის კუთვნილი მცურავი საშუალებების უკანონო გადაადგილებების გამო საქართველოს პარლამენტი აპირებს განცხადების მიღებას, სადაც რუსეთის საოკუპაციო ძალების მიერ საქართველოს ტერიტორიაზე ბოლო დროს ჩადენილი დანაშაულებრივი ფაქტები ქრონოლოგიურად იქნება აღწერილი.

რუსეთის გადაწყვეტილების შესახებ "24 საათი" ესაუბრა პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარეს დავით დარჩიაშვილს. მისი თქმით, "რუსეთი თავისთავად არ არის საერთაშორისო თანამეგობრობისგან იზოლირებული, მაგრამ ამ ქვეყნის ხელმძღვანელობა აცნობიერებს, რომ ყველაფრის იგნორირება არ შეიძლება. საერთაშორისო სამართალი და ჩვენი ეროვნული ინტერესები ერთიანია, მაშინ როდესაც რუსეთის ამბიციები ორივეს უპირისპირდება." დარჩიაშვილმა აღნიშნა, რომ "ეს არის საქართველოსთვის სერიოზული რისკი, ქვეყნის სუვერენიტეტის კიდევ ერთხელ ფეხქვეშ გათელვის მცდელობა, რაც მხოლოდ და მხოლოდ ამ აქტის ჩამდენს ჩაეთვლება დანაშაულად და არა საქართველოს. ისინი საქართველოს საკომუნიკაციო გზების გადაკეტვას ცდილობენ." დარჩიაშვილმა იმ ზომების შესახებ ისაუბრა, რაც ასეთ შემთხვევაში საქართველოს ხელისუფლებამ უნდა მიიღოს, დაწყებული საპარლამენტო განცხადებებით და აღმასრულებელი ხელისუფლებისთვის მითითებით და დამთავრებული სპეციალურ საერთაშორისო

სტრუქტურებში ამ საკითხის დასმით. მან განმარტა, რომ "აღმასრულებელ ხელისუფლებას შესაბამისი ბერკეტები და არხები აქვს, რათა ეს ინფორმაცია საერთაშორისო თანამეგობრობას ელჩების მეშვეობითაც და უშუალოდ საგარეო საქმეთა სამინისტროს გზითაც ძალიან ოპერატიულად მიაწოდოს და ამაზე რეაგირება მოითხოვოს." დარჩიაშვილი აცხადებს, რომ ამ რისკების ქვეშ ვაჭრობის საერთაშორისო ორგანიზაციაც დგება. დარჩიაშვილი დარწმუნებულია, რომ საქართველოს, როგორც მთელი რიგი საერთაშორისო ორგანიზაციების წევრი ქვეყნის ინტერესების უგულვებელყოფა ვერ მოხდება და საერთაშორისო თანამეგობრობა აუცილებლად მიიღებს ზომებს, რადგან მსოფლიო თანამეგობრობა ყოველთვის რეაგირებს, როდესაც მისი წევრი წუხილს გამოხატავს. თუმცა რეაგირების მასშტაბი, რა თქმა უნდა, ყოველთვის ისეთი არ არის, როგორც ამ შემთხვევაში ქართული მხარე ისურვებდა. გარდა ამისა, რუსეთის ფედერაციის ქმედებები საკუთრივ საერთაშორისო სისტემას ემუქრება, მათ შორის შავ ზღვაზე თავისუფალ ნაოსნობასა და ვაჭრობას. დარჩიაშვილი დარწმუნებულია, რომ ამ ყოველივეს სერიოზული გამოხმაურება მოჰყვება. "სამწუხაროა, რომ საერთაშორისო პოზიცია დღესვე დეოკუპაციას არ იწვევს, ეს ხანგრძლივი და კომპლექსური პროცესია, მაგრამ რუსეთის მხრიდან დამატებით აგრესიას არავინ მოითმენს," - აღნიშნა დარჩიაშვილმა. მან დააკონკრეტა ის ზომები, რომლებიც შესაძლოა, საერთაშორისო თანამეგობრობამ რუსეთის წინააღმდეგ მიიღოს: "პირველ რიგში, ეს იქნება დიპლომატიუ-

რი ზენოლა. ამ არხებით განუცხადებენ რუსეთს, რომ მისი შესაბამისი სტრუქტურები დაფიქრდნენ და აწონდნონ, ასეთ ნაბიჯს რა მოჰყვება. კერძოდ, რას მოიპოვებენ და ამის ნაცვლად რა მიწისუფლებას ჩაინერნენ საერთაშორისო ურთიერთობებში." მან გაიხსენა რუსეთის პრეზიდენტ დმიტრი მედვედევის წინადადება ევროპის ახალი უსაფრთხოების არქიტექტურაზე ხელმოწერის შესახებ.

"თუკი რუსეთის ისტებლიშმენტმა ვერ გაიაზრა, რამდენად ეწინააღმდეგება მისი პრაქტიკული ნაბიჯები მის მიერვე დეკლარირებულს, ასეთ შემთხვევაში სხვა ზომების მიღებას უნდა ველოდოთ. მათ შორის, გართულება ევროკავშირთან ახალი ხელშეკრულების ხელმოწერის შესაძლებლობა, ასევე შეიძლება სხვა საკითხების ურთიერთშეკვცაზე იყოს საუბარი," - განაცხადა დავით დარჩიაშვილმა.

გუშინ საღამოს გავრცელდა ინფორმაცია, რომლის თანახმად, რუსეთში გამოცხადებული გლოვის დღის გამო კატარღების ოჩამჩირეში გადაადგილება გადაიდო. საზღვაო საზღვრის დასაცავად შექმნილი დივიზიონისთვის განკუთვნილი მცურავი საშუალებები აფხაზეთში, სავარაუდოდ, დეკემბრის მეორე ნახევარში, ე.წ. საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარების შემდეგ გაიგზავნება. რუსული მედიის მიერ გავრცელებულ ამ ინფორმაციას არ ფლობს აფხაზეთის დე ფაქტო რესპუბლიკის უშიშროების სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი ნუგზარ სამსონია, თუმცა მან სააგენტო "რია-ნოვოსტის" დაუფასტურა, რომ რუსული კატარღები გუშინ ოჩამჩირის პორტში არ შესულა.

ქართული მხარე ნატო-ს გენმდივნის მოწოდებას ეხმაურება

საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ნინო კალანდაძემ ნატო-ს გენერალური მდივნის ანდერს ფოგ რასმუსენის მოწოდებაზე განცხადება გააკეთა. რასმუსენმა აღნიშნა, რომ აუცილებელია საქართველოსა და რუსეთს შორის დიალოგის განახლება. როგორც ნინო კალანდაძემ განაცხადა, რასმუსენი კარგად ფლობს ინფორმაციას, თუ რა სცენარი განვიითარდა გასული წლის აგვისტოში და რა ნაბიჯები გადადგა რუსეთმა.

"ნატო-ს გენერალური მდივანს ამომწურავი და სრული ინფორმაცია აქვს, შესაბამისად, რასმუსენი ამ განცხადებაში არ გულისხმობდა, რომ დაუყოვნებლივ აღდგეს ახარსებული დიპლომატიური ურთიერთობები", - განმარტა კალანდაძემ. "ინტერპრესნიუსის" ცნობით, ქართული მხარე კვლავაც აცხადებს, რომ მისთვის სასურველია, რუსეთთან ნორმალური სავაჭრო-ჰუმანიტარული ურთიერთობები ჩამოყალიბდეს. თუმცა, კალანდაძის თქმით, ეს შესაძლებელი მხოლოდ მაშინ იქნება, როდესაც რუსეთი საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას აღიარებს.

საქართველო საპროტესტო ნოტას ამზადებს

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში გუშინ შევიცარიის კონფედერაციის ელჩის მოადგილე ანტია შლიუხტერი მიიწვიეს, რომელსაც რუსეთის მხარისთვის მისაწოდებლად საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საპროტესტო ნოტა გადაეცა.

უწყების ინფორმაციით, ნოტა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე - ცხინვალის რეგიონში - რუსეთის ფედერალური კრების დელეგაციის მიერ 30 ნოემბერს განხორციელებულ ვიზიტს შეეხება.

განათლების სამინისტროს ახალი ხელმძღვანელი ჰყავს

განათლებისა და მეცნიერების მინისტრად სასჯელალსრულების, იურიდიული დახმარებისა და პრობაციის მინისტრი დიმიტრი შამუგია ინიშნება.

პრემიერ-მინისტრ ნიკა გილაურის განცხადებით, განათლების უკვე ყოფილმა მინისტრმა ნიკა გვარამიამ რამდენიმე თვის წინ უცხოეთში მასწავლებლად წასვლის სურვილი გამოთქვა, თუმცა, მუშაობას აღნიშნულ პოსტზე პრემიერის თხოვნით კვლავ ვერძელებდა.

ნიკა გილაურმა ნიკა გვარამიას მუშაობის პერიოდი წარმატებულად შეაფასა და აღნიშნა, რომ ამ პოსტზე დიმიტრი შამუგია დანიშნება, რომელსაც საუკეთესო მენეჯმენტისა და დიალოგის კარგად წარმართვის გამოცდილება აქვს. პრემიერის განცხადებით, განათლების სამინისტრო საკმაოდ რთული და ერთ-ერთი ნამყვანი სამინისტროა საქართველოში და მან წარმატებები უსურვად დიმიტრი შამუგიას სამინისტროს ხელმძღვანელის პოსტზე.

ნიკა გვარამიამ, რომელიც ასევე ესწრებოდა გუშინ კანცელარიაში გამართულ პრესკონფერენციას, მაღლობა გადაუხადა პრემიერ-მინისტრსა და პრეზიდენტს მხარდაჭერისა და ნდობისთვის, რომელიც მას თავის დროზე გამოუცხადეს. მისი განცხადებით, განათლების სფეროში საკმაოდ ბევრი რამ გაკეთდა თუმცა, კვლავ ბევრია გასაკეთებელი. მან იმედი გამოთქვა, რომ მისი საქმიანობა ამ პოსტზე მეტ-ნაკლებად წარმატებულად შეფასდება.

"ინტერპრესნიუსის" ცნობით, დიმიტრი შამუგია განაცხადა, რომ განათლება არის ერთ-ერთი სტრატეგიული მიმართულება და მისთვის დიდი პატივია ამ პოსტზე დანიშნა. შამუგიის თქმით, ყველა რეფორმა, რომელიც დაწყებულია, აუცილებლად გაგრძელდება და დაჩქარდება კიდევ. პრემიერ-მინისტრი დიმიტრი შამუგია განათლების მინისტრის პოსტზე უახლოეს დღეებში ოფიციალურად წარადგენს. სასჯელალსრულების მინისტრის მოვალეობას კი დროებით, მინისტრის პირველი მოადგილე შეასრულებს.

ლატვიის პრეზიდენტი თბილისს ეწვევა

საქართველოს ორდლიანი ოფიციალური ვიზიტით, ლატვიის პრეზიდენტი ვალდის ზატლერსი ეწვევა, რომელიც თბილისში მუდღესთან ერთად ჩამოვა. მათ გარდა თბილისის ბიზნესმენთა ჯგუფიც ეწვევა. ოფიციალური შეხვედრების გამართვა დღეიდან არის დაგეგმილი. ლატვიელ კოლეგას საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი შეხვდება.

ვიზიტისას გაიმართება ქართულ-ლატვიური ბიზნეს-ფორუმი, რომელსაც პრეზიდენტები გახსნიან. საქართველოდან ვალდის ზატლერსი სომხეთში გაემგზავრება.

გოგა ხაჩიძე კოპენჰაგენის სამიტში მიიღებს მონაწილეობას

კლიმატის ცვლილებებთან დაკავშირებით გამართულ სამიტში მონაწილეობის მიზნით საქართველოს გარემოს დაცვის მინისტრ გოგა ხაჩიძე კოპენჰაგენში 13 დეკემბერს ჩავა. გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ცნობით, სამიტში მონაწილეობის მისაღებად საქართველოდან დელეგაციის ნაწილი უკვე გაემგზავრა. თავად მინისტრი კი, მათ მოგვიანებით, 13 დეკემბერს შეუერთდება და კოპენჰაგენში 18 დეკემბრამდე დარჩება.

"ინტერპრესნიუსის" ინფორმაციით, კოპენჰაგენის სამიტზე საქართველოს დელეგაცია კლიმატის ცვლილებების საკითხზე საკუთარ ხედვას წარადგენს. დოკუმენტი სპეციალურად ამ შეხვედრისთვის სხვადასხვა დონეზე იყო განხილული. დანის დედაქალაქში კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებით გაერო-ს სამიტზე გუშინ გაიხსნა.

როგორც "ბი-ი-სი"-ს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში ნათქვამი, ორი კვირის განმავლობაში კოპენჰაგენში კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებით ახალი შეთანხმების მისაღწევად 192 ქვეყნის დელეგატები და ექსპერტები იმსჯელებენ.

ოპოზიციის დიპლომატიის დახმარებას სთხოვს

გუშინ არასაპარლამენტო ოპოზიცია დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს შეხვდა და იმ პატიმართა სიასთან ერთად, რომლებსაც პოლიტპატიმრებად მიიჩნევენ, რამდენიმე თხოვნა გადასცა.

საქართველოში აკრედიტებული საელჩოების წამომადგენლებთან ოპოზიციური პარტიების შეხვედრა სასტუმრო "ძველ მეტეხში" გაიმართა.

კონსერვატორ კახა კუკავას თქმით, შეხვედრას წინ უძღოდა ოპოზიციისა და არასამთავრობო ორგანიზაციების რამდენიმე თვიანი ერთობლივი მუშაობა. შედგა პოლიტპატიმრების 50-კაციანი სია. პროცესში ჩართული იყო ხუ-

თი არასამთავრობო ორგანიზაცია.

როგორც "24 საათს" "დემოკრატიული მოძრაობა-ერთიანი საქართველოს" წარმომადგენელმა დავით ჭყუიამ განუცხადა, ოპოზიციონერებმა დიპლომატებს განუთქმინეს, რა მეთოდოლოგიით მოხდა ამ ადამიანებისთვის პოლიტპატიმრის სტატუსის მინიჭება.

არასაპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლებმა დიპლომატიის გადასცეს თხოვნა, გამოყოფნა თავიანთი წარმომადგენლები, რომლებიც სასამართლო პროცესებს დაესწრებიან.

"სასამართლოებში უკვე დაიწყო პოლიტიკური პატიმრების საქმეების განხილვა და ვინც ამ სასა-

მართლო პროცესების მონიტორინგს. იმედი გვაქვს, დიპლომატიურ კორპუსთან ერთად, შევძლებთ მონიტორინგის განხორციელებას," - განაცხადა კახა კუკავამ.

კუკავას ინფორმაციით, ხელა ქუთაისში იწყება პოლიტპატიმარ ვლადიმერ ვარხანიას საქმის სასამართლო განხილვა, რასაც პოლიტიკური პარტიები და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები აქციით აღნიშნავენ. 10 დეკემბერს კი ბათუმში ეკა ბესელიას შვილისა და ძმის საქმის სასამართლო განხილვა დაიწყება. 11 დეკემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოში კობა კობალაძისა და სხვა პირების საქმე განიხილება. ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები

აღნიშნული საქმის განხილვაზე დასწრებას და საპროტესტო აქციების გამართვასაც გეგმავენ.

კახა კუკავას თქმით, ისინი დიპლომატიური კორპუსის თანამონაწილეობის იმედე არიან.

დიპლომატიური კორპუსის პოზიცია ჯერჯერობით უცნობია, ვინაიდან გუშინდელ შეხვედრაზე ოპოზიციის მათი მოსაზრება არ მოუხმენია.

გუშინდელ შეხვედრას "მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის", "კონსერვატიული პარტიის", "საქართველოს გზისა" და "დემოკრატიული მოძრაობა-ერთიანი საქართველოს" წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

საკუთარი ინფორმაცია

1 მლნ კუბ.მეტრი გაზის გაყიდვის მიზნით აუქციონი 11 დეკემბერს გაიმართება

ნინოწმინდის საბადოდან მოპოვებული 1 მლნ კუბ.მეტრი გაზის გაყიდვის მიზნით, აუქციონი მეორედ 11 დეკემბერს, 14:00 საათზე გაიმართება.

"საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციაში" ნინოწმინდის საბადოდან მოპოვებული 1 მლნ კუბ.მეტრი გაზის გაყიდვაზე აუქციონი მეორედ გამოაცხადა.

პირველად აუქციონი 4 დეკემბერს უნდა ჩატარებულიყო, თუმცა არც ერთ კომპანიას განცხადება არ შემოუტანია, რის გამოც აუქციონი ხელმეორედ გამოცხადდა.

აუქციონში მონაწილეობის მსურველებმა განაცხადი საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციაში უნდა წარადგინონ. დაინტერესებული პირი ვალდებულია აუქციონში მონაწილეობის ბილეთის შესაძენად კორპორაციის საბანკო ანგარიშზე 50 ლარი ჩარიცხოს.

აუქციონის პირობების თანახმად, გაზის მიწოდება განხორციელდება ნინოწმინდის სათავო ნაგებობაზე (სოფელი პატარძელი) არსებულ საზომ პუნქტში, აუქციონში გამარჯვებულთან ხელშეკრულების გაფორმებიდან 90 დღის განმავლობაში. **ინტერპრესნიუსი**

თბილისში SYNENRGY ჯგუფის მორიგი შეხვედრა გაიმართა

ამერიკის შეერთებული შტატების და საბერძნეთის მთავრობების ხელშეწყობით, დღეს საერთაშორისო ეკონომიკის სკოლაში საქართველოს, მოლდოვას და უკრაინის მთავრობების წარმომადგენლების სამუშაო შეხვედრა გაიმართა. შეხვედრაზე რეგიონალური ენერგეტიკული პოლიტიკისა და ენერგეტიკული რესურსების მენეჯმენტის საკითხები განიხილეს.

SYNENRGY წარმომადგენს აშშ-ს და საბერძნეთის Hellenic Aid-ის ერთობლივ პროექტს. ორდღიანი შეხვედრის დროს მხარეები ენერგეტიკული სისტემების შესაძლებლობების გაზრდის პერსპექტივებს განიხილეს.

დღევანდელი შეხვედრა გახსნეს აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს კავკასიის მისიის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა იოაკიმ პარკერმა და საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის პირველმა მოადგილემ მარიკა ვალიშვილმა. როგორც მარიკამ ვალიშვილმა განაცხადა, ენერგოსისტემაში განხორციელებული რეფორმების შემდეგ საქართველოში მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგმული რეგიონში ინტეგრირებული ენერგოსისტემის შესაქმნელად. აღნიშნულ პროექტში მონაწილეობით ქართული ენერგოსისტემა შექმნის უფრო ხარისხიანი და გრძელვადიანი დაგეგმარებით მიაღწიოს ენერგოსისტემების გაძლიერებას.

SYNENRGY ათენის ენერგეტიკულ საბჭოში მონაწილე ქვეყნებთან მუშაობს, რათა მათ შეიმუშაონ ენერგეტიკული რესურსების დაგეგმარების ერთიანი პრინციპები. სამუშაო შეხვედრის ფარგლებში, მონაწილეები განიხილეს მოდელირების საკითხებს. ენერგეტიკული რესურსების მოდელირება ხელს შეუწყობს უფრო ხარისხიანი და გრძელვადიანი დაგეგმარებით მიღებული იქნეს ამ ქვეყნების ენერგეტიკული უსაფრთხოების გაძლიერება. **ინტერპრესნიუსი**

"თბილსრესის" სამეურვეო ქონების რეალიზაციის მიზნით აუქციონი გამოცხადდება

სს "თბილსრესის" სამეურვეო ქონების რეალიზაციის მიზნით აუქციონი მეორედ გამოცხადდება.

როგორც "ინტერპრესნიუსს" "თბილსრესის" გაკორტების მმართველმა დავით ჩაჩიანიამ განუცხადა დღეისთვის დაგეგმილი აუქციონი ჩაიშალა, რადგან ქონების შექმნის სურვილი არავინ გამოხატა, რაც, სავარაუდოდ, მის მაღალ ფასს უკავშირდება.

"თბილსრესის" ბალანსზე რიცხული ქონების გაყიდვის მიზნით აუქციონი მეორედ, სავარაუდოდ, 2010 წლის 6 იანვარს გაიმართება. კანონმდებლობის შესაბამისად. ამჯერად ქონება სარეალიზაციოდ განახევრებული ფასით გავა. "თბილსრესის" სამეურვეო ქონების სანყისი ფასი 321 753 828 ლარს შეადგენს. სამეურვეო ქონება მდებარეობს ქალაქ გარდაბანში, გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ კალინინოში, გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვსალოში, თბილისში, დაბა კოჯორში, ბეთანიაში. ერთობლივად აღნიშნული ქონება ელექტროენერჯის წარმოებას ემსახურება. **ინტერპრესნიუსი**

კომუნიკაციების კომისიამ მორიგი აუქციონი გამოაცხადა

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ თბილისში 160XXX და 161 XXX ინდექსის 2000 სააბონენტო ნომერზე აუქციონი გამოაცხადა. სააბონენტო რესურსით სარგებლობის დაცვაში სანყისი გასაყიდი ფასი 4 000 ლარია. კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში აუქციონში მონაწილეთა საბუთები 11 დეკემბრის ჩათვლით მიიღება.

აუქციონი 25 დეკემბერს გაიმართება. **მედიანიუსი**

ბრეზის "100 სანარმოს" იდეის ხელის შეხვედრა ფაქტორები

თინა შავაძე

დიდი ხანია, აღარ დავობენ იმაზე, რომ სოფლის მეურნეობა და ტურიზმი საქართველოს ეკონომიკის ყველაზე პერსპექტიული დარგებია. დღეისათვის სოფლის მეურნეობის პროდუქტების შიდა სამომხმარებლო ბაზრის საერთო მოცულობის (66,0 მილიონი აშშ დოლარი) 63 პროცენტი თურქეთს უკავია, აზერბაიჯანს - 8 პროცენტი, სომხეთს - 5 პროცენტი, სხვადასხვა ქვეყნებს - 6 პროცენტი; საქართველოს კი - მხოლოდ 18,0 პროცენტი. ეს ხდება ქვეყანაში, რომელსაც წელიწადში სასოფლო-სამეურნეო კულტურების ორმოსავლიანი წარმოების პოტენციალი აქვს. დღეისათვის სოფლის მეურნეობის წილი მთლიან შიდა პროდუქტში 12 პროცენტია. აღნიშნულ სექტორს გააჩნია სარიზოული პოტენციალი, რათა კიდევ უფრო განამტკიცოს თავისი როლი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებასა და სოციალურ წინსვლაში, უმოკლეს ვადაში გადაიქცეს კვებისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის, მათ შორის დაკონსერვებული ხილისა და ბოსტნეულის, ციტრუსების, აგრეთვე უნიკალური, ეგზოტიკური პროდუქტების მსხვილ ექსპორტიორად საერთაშორისო ბაზარზე.

ასეთი პერსპექტივის განხორციელებისთვის სერიოზული ხელშეწყობის ფაქტორებია საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა და თავისებურებები. საქართველოში რადიაციული ფონი 18-20 პროცენტით დაბალია, ვიდრე შუა ევროპაში, რაც დადასტურებულია ევროპული მეცნიერების მრავალწლიანი გამოკვლევებით. გარდა ამისა, საქართველოში ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტების წარმოებისთვის ხელსაყრელი პირობები შეიქმნა - ძირითადად, ხანგრძლივი დროის განმავლობაში ნიადაგის განაყოფიერებისთვის სასუქებისა და პესტიციდების გამოყენების გამო.

აღნიშნული და სხვა ფაქტორების ზეგავლენით, უკანასკნელ პერიოდში ნათლად გამოიკვეთა ევროპელთა სერიოზული დაინტერესება ქართული აგროსამრეწველო პროდუქციით, რაზეც მეტყველებს თუნდაც ის ფაქტები, რომ გასულ 2 წელისაღმდეგ ევროკავშირის ორგანიზაციებმა საქართველოში დააარსეს ეკოლოგიურად სუფთა ბუნებრივი პროდუქტების წარმოების კოორდინაციის ცენტრი "CAUCASAN" და მცენარეთა სერტიფიკაციის კავკასიის ცენტრი "CWC".

ასეთი აგროსამრეწველო პოტენციალის მქონე ქვეყანაში დღეს მოქმედი კვების სანარმოს უმრავლესობის მიერ გამოშვებულ პროდუქტებში - მაგალითად, ლუდი, ხილის წვენები, უალკოჰოლო სასმელები და სხვ., - რომლებიც ბაზარზე იყიდება, როგორც ქართული წარმოების პროდუქტი, ქართული კომპონენტი, სამწუხაროდ, მხოლოდ ნყალია: ლუდის წარმოებისათვის ძირითადი ნედლეული ალაო, რომელიც ქერისგან მზადდება, უცხოეთიდან შემოდის, მაშინ როდესაც ქერი საქართველოსათვის ის-



ტორიულად ტრადიციული კულტურაა, ხოლო ხილის წვენების და უალკოჰოლო სასმელების წარმოებაში უპირატესად საზღვარგარეთიდან შემოტანილი ხილის არანატურალურ კონცენტრატებს იყენებენ, მაშინ როცა ქართული ხილი დიდი რაოდენობით იკარგება გადაამუშავებული ქარხნების მწვავე დეფიციტის გამო.

უარესი მდგომარეობაა ბოსტნეულის პროდუქტების წარმოების სფეროში. დღეს საქართველოს სამომხმარებლო ბაზარზე უცხოეთის 16 ქვეყანას შემოაქვს ტომატ-პროდუქტები, ხოლო ქართული წარმოების ტომატ-პროდუქტების ხვედრითი წილი ბაზრის მთლიანი მოცულობის მხოლოდ 1 პროცენტს შეადგენს, მაშინ როცა მარტო მარნეულისა და გარდაბნის რაიონებში წარმოებული ტომატ-პროდუქტებს შეუძლია არა მარტო მთლიანად დააკმაყოფილოს ქვეყნის მოსახლეობის მოთხოვნა აღნიშნულ პროდუქტებზე, არამედ დიდი ოდენობით გაეიტანოს ეს პროდუქტი ექსპორტზე.

ანალოგიური მდგომარეობაა ხილისა და ციტრუსების სამრეწველო გადაამუშავების საქმეში. მაგალითად, ვაშლის ძმარი საქართველოში თურქეთიდან შემოაქვთ, ხოლო მანდარინის წვენი - კვიპროსიდან და ა.შ.

სოფლის მეურნეობის სექტორის წილად 2006 წელს საქართველოში შემოსული პირდაპირი ინვესტიციების საერთო მოცულობის (1.196 მილიონი აშშ დოლარი) 2 პროცენტზე ნაკლები მოდიოდა, ხოლო შრომის მწარმოებლურობა ამ დარგში 1980-იანი წლების ბოლო პერიოდს 4-5-ჯერ ჩამორჩება, მასობრივი ხასიათი აქვს ხელით რეგულირებადი პროდუქციის წარმოება. აგროსამრეწველო სფეროს განვითარების ძირითად ხელშეწყობელ ფაქტორებად ზოგადად უნდა მივიჩნიოთ სოფლად ფერმერთა, მესაკუთრეთა და მწარმეთა დაბალი პროფესიონალიზმი, საბაზრო ურთიერთობათა სუსტი ცოდნა და გამოუცდელი წარმოების დაბალი ტექნოლოგიების გამოყენებლობა, ტექნიკური აღჭურვილობის დეფიციტი, კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოების უუნარობა.

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დაბრკოლება, რომელიც წინ ელბება აგროსამრეწველო სექტორის განვითარებას, სოფლის მეურნეობის დაკრედიტების მანკიერი სისტემაა. საქართველოს დღევანდელი საბანკო

სექტორი არ არის ორიენტირებული სოფლის მეურნეობაზე. 2006 წელს ეკონომიკის ამ უმნიშვნელოვანეს დარგზე საბანკო კრედიტების 2 პროცენტზე ნაკლები მოდიოდა. ფაქტობრივად, აგროსამრეწველო სექტორის განვითარებისთვის აგროსამრეწველო სექტორი პრიორიტეტული არ არის. საქართველოში საბანკო კრედიტების ვადიანობა არ შეესაბამება აგროსამრეწველო სექტორის კვლავწარმოების თავისებურებებს (კრედიტების 90 პროცენტი მოკლევადიანია - 2-3-თვიანი და მაღალი საპროცენტო განაკვეთი აქვთ - 16-18 პროცენტი და მეტი.)

სოფლის მეურნეობის დარგების განვითარება ბიძგს აძლევს კვების გადაამუშავებული მრეწველობის განვითარებას. ამ ამოცანის გადაჭრის მიზნით საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ოთხი წლის წინ გრემში 100 სანარმოს მშენებლობის იდეა გაახმაურა. იდეის განხორციელების უზრუნველსაყოფად სახელმწიფო ბიუჯეტში საჭირო ფინანსები სხვადასხვა პროგრამების სახით გაიწერა. მათ შორის ამოქმედდა "იაფი კრედიტისა" და "ექსპორტის ნახაზის ხელშეწყობის" პროგრამები. ორი წლის განმავლობაში კვების გადაამუშავებული მრეწველობის სექტორში რამდენიმე პროექტი დაფინანსდა, მათ შორის ციტრუსების, კენკროვანი ხილისა და ბოსტნეული გადაამუშავებული სანარმოები.

ამის მიუხედავად აგრობიზნესის განვითარებას მრავალი ფაქტორი უშლის ხელს. ტექნიკური მეცნიერებათა დოქტორი დავით კეკელიძე ამბობს: "ქვეყანაში არ არსებობს ექსტენზიის სამსახური, რომელიც ფერმერებს დაეხმარება პროდუქციის მოყვანის, რეალიზაციისა და დამუშავების დროს არსებული პრობლემების მოგვარებასა და შესაბამისი სისტემატური სწავლება-კონსულტაციების განხორციელებაში. საქართველოში სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოყვანის ტექნოლოგიები მოძველებულია და მსოფლიოს მოწინავე ქვეყნებში ისინი დიდი ხანია, წარსულს ჩაბარდა. სათესლე სელექციური მეურნეობები და ჯიშთა გამოცდის სამსახურები გაუქმებულია, რაც სერიოზულ პრობლემებს უქმნის ფერმერებს სასოფლო-სამეურნეო წარმოების პროცესში. სოფლად დისტრიბუციის ფართო ქსელის არარსებობის გამო მოუგვარებელია

ფერმერთა და სასოფლო-სამეურნეო სანარმოს ძირითადი და დამხმარე მასალებით მომარაგების, პროდუქციის რეალიზაციის პრობლემები, რის გამოც დღეს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის მწარმოებელმა არ იცის, სად წაიღოს მონეული მოსავალი, რის გამოც მისი მნიშვნელოვანი ნაწილი იკარგება, ანუ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სოფლის მეურნეობის უდიდესი პრობლემა დღეს სწორედ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის კაპიტალიზაციაა".

სასოფლო-სამეურნეო წარმოების მთავარი ხელშეწყობელი ფაქტორია მანქანა-ტრაქტორების, კომბაინების და სხვა ტექნიკური მოწყობილობების მწვავე დეფიციტი, რის გამოც დომინირებს ხელით შრომა. ამის შედეგად შრომის ნაყოფიერება სოფლად 80-იანი წლების ბოლო პერიოდთან შედარებით, როცა გაცილებით მაღალი იყო შრომის მექანიზაციის დონე, 3,5-ჯერ დაეცა.

გასულ წელს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ მოამზადა ქვეპროგრამა "სოფლის მექანიზაცია 2008", რომლის ფარგლებშიც ბიუჯეტიდან 30 მლნ ლარი გამოიყო. ამ თანხით სასოფლო-სამეურნეო მანქანადანადგარების შექმნა ლიზინგით უნდა მომხდარიყო. ფიზიკური და იურიდიული პირებისთვის ლიზინგით სარგებლობის პირობებია: ა) ლიზინგით სარგებლობის ვადა - 25 წელი; ბ) წლიური შეღავათიანი პერიოდი; გ) ლიზინგით სარგებლობის წლიური განაკვეთი - 4 პროცენტი.

ჩანასახოვან მდგომარეობაში ინჟინრინგი - სასოფლო სამეურნეო სანარმოს პროექტებისა და მშენებლობის ინჟინერულ-კონსულტაციური მომსახურება კომერციული სტრუქტურების მიერ, რის გამოც ასეთი ობიექტების დაპროექტებასა და მშენებლობას დილექტანტურ დონეზე, ელემენტარული ინჟინრული გაანგარიშებისა და ტექნოლოგიური რეგლამენტების დაცვის გარეშე აწარმოებს დაბალი კვალიფიკაციის პერსონალი, რაც ახალ სანარმოს კონსტრუქციის გარდა, ხშირ შემთხვევაში სანარმოს ექსპლუატაციის დროს საფრთხეს უქმნის ადამიანთა სიცოცხლეს. ამასთან ინჟინრინგის დაბალი დონე აძვირებს ახალი სანარმოს შექმნის ხარჯებს, რადგან უცხოური მანქანა-მონწყობილობების შექმნის გარდა, მწარმე იძულებულია, პროექტიც იყიდოს.

ქვეყანაში პრაქტიკულად არ არსებობს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მოსავლის დაზღვევის სისტემა, მიუხედავად იმისა, რომ სოფლის მეურნეობა მაღალი რისკის სფეროს მიეკუთვნება. ბოლო 10 წლის მანძილზე ყოველ მეორე წელს წარმოების მოცულობა სოფლის მეურნეობაში წინა წლის დონეზე, დაახლოებით, 8-10 პროცენტით დაბალი იყო. თუ მრავალწლიან კულტურებზე, ცალკეულ შემთხვევაში, მოსავლის დაზღვევა კიდევ შესაძლებელია, სადაზღვევო კომპანიები ერთნაირი კულტურების დაზღვევის საკითხს საერთოდ არ განიხილავენ, რაც სერიოზულ ზიანს აყენებს სოფლის მეურნეობას.

ფარმაცია მანქანა-ტრაქტორებს ხელშეწყობს ფასში დაიქირავებენ

თინა შავაძე

აგრარულ სექტორში არსებული რისკების გამო საქართველოს საბანკო სისტემა აგრობიზნესის პროექტების დასაფინანსებლად სესხებს არ გაცემს. მრავალ რისკს შორის უმთავრესი ის არის, რომ მოსავლის დაზღვევაზე სადაზღვევო კომპანიები უარს აცხადებენ. მაგალითად იმ შემთხვევაში, თუ ხორბლის მოსავალი დაიხრება ან გვალვის შედეგად განადგურდება, ფერმერს მთლიანი ზარალის დაფარვა მოუხდება. ასეთ პირობებში, რასაკვირველია, მენარმეს ბანკის სესხის დაფარვა გაუჭირდება, რაც ბანკის უნდობლობის მიზეზი ხდება და ამიტომაც დღემდე აგრობიზნესში ფულის ჩადება არამომზადებულია. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში აგრობიზნესი დონორი ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტების ხარჯზე ვითარდება. გუშინ საგამოფენო ცენტრ "ექსპო ჯორჯიაში" ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ დაფინანსებული "მექანიზაციის პროექტის" პრეზენტაცია გაიმართა.



ბის შედეგად მოსახლეობას ექნება შესაძლებლობა, ისარგებლოს თანამედროვე მონოპოლიზაციის მანქანა-დანადგარებით, რაც მათ საკუთარი შემოსავლების გაზრდაში დაეხმარება.

"მექანიზაციის პროექტის" მიზანია მცირე ფერმერების წინაშე არსებული მანქანა-დანადგარების დეფიციტის აღმოფხვრა. ხშირად ფერმერებს თანამედროვე ტექნოლოგიების შეძენისა და ტექნიკური აღჭურვილობის მოსაწყობად საკმარისი ინვესტიციები არ გააჩნიათ, რაც ქვეყანაში აგრობიზნესის განვითარებას მნიშვნელოვნად აბრკოლებს. ამ ეტაპზე "მექანიზაციის პროექტის" ბიუჯეტი 5.1 მლნ ამერიკულ დოლარს შე-

ადგენს და ამერიკის მთავრობის იმ მილიარდიანი დახმარების ნაწილია, რომელიც საქართველოს აგვისტოს მოვლენების შედეგად გამოეყო. ახალი სამანქანო მომსახურების ცენტრების დახმარებით 2 ათასამდე იძულებით გადაადგილებულ ოჯახს საშუალება ექნება, შეღავათიან ფასად მიიღოს მომსახურება 2010 წლის მოსავლის ასაღებად.

30 თვის განმავლობაში გრანტების, თანადაფინანსების, ბიზნესისა და ექსტენციის ტრენინგების გამოყენებით "მექანიზაციის პროექტი" 25-30 სამანქანო მომსახურების ცენტრს შექმნის. ისინი, დაახლოებით, 14 000 მცირე ფერმერს ფასიან სა-

მანქანო მომსახურებას შესთავაზებენ. მალხაზ აქიშბაიას განცხადებით, პროექტის განხორციელების შედეგად სოფლის მეურნეობაში თანამედროვე მანქანა-დანადგარების დანერგვა მოხდება, რაც სოფლის მეურნეობის პროდუქტების მოსავლიანობას მნიშვნელოვნად გაზრდის. ამასთან, შეიქმნება დამატებითი სამუშაო ადგილები.

როგორც ირეკვევა, აღნიშნული პროექტის განხორციელების შედეგად 250-მდე ახალი სამუშაო ადგილი შეიქმნა და ახალი მომსახურების მიწოდებით სერვისცენტრები, დაახლოებით, 5,8 მლნ. დოლარის შემოსავალს მიიღებენ. დამატებით დამუშავდება მინის ფართობები, გაიზრდება აგროპროდუქტების მოცულობა, რაც ადგილობრივი ბაზრის მოთხოვნას დააკმაყოფილებს.

17 წლის განმავლობაში ამერიკელმა ხალხმა, აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს საშუალებით, საქართველოში, დაახლოებით, მილიარდ-ნახევარი დოლარის ინვესტიცია განახორციელა. ამ ეტაპზე ყოველწლიურად 40-ზე მეტი პროექტი ხორციელდება. აღნიშნული პროექტები გამოიხატულია საქართველოს დასახმარებლად და ქვეყნის თავისუფალ და განვითარებულ დემოკრატიულ სახელმწიფოდ ჩამოსაყალიბებლად. მიმდინარე პროექტებია: ეკონომიკური განვითარების დაჩქარება, დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარება და ჯანდაცვის და განათლების სისტემების გაუმჯობესება. აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტო ეკონომიკურ და ჰუმანიტარულ დახმარებას უწევს მსოფლიოს ასზე მეტ ქვეყანას.

მულტიბრენდული მალაზია "რივე" ორი წლის იუბილეს გრანდიოზულად აღნიშნავს.

10 დეკემბერს იუბილესთან დაკავშირებით მულტიბრენდული მალაზია "რივე" და Dior-ის ფრენჩაიზინგის მალაზიების წარმომადგენელი, გაყიდვების მენეჯერი შუა აღმოსავლეთსა და ევროპაში დომინიკ ბერდნარდი პრესკონფერენციას გამართავენ. იმავე საღამოს "რივე" ერთგული მომხმარებლებისთვის და მედიისთვის სასტუმრო "თბილისი მარიოტი" დახურულ მიღებას გამართავს, რომლის ფარგლებში მოენწყობა ჩვენება, გათამაშება, გაიჭრება საიუბილეო ტორტი. ღონისძიებაზე წარმოდგენილი იქნება პარიზის Fashion Week-ზე ნაჩვენები, 2010 წლის შემოდგომა-ზამთრის უახლესი კოლექცია.

სპეციალურად ამ დღისთვის პარიზიდან ჩამოდის Dior-ის, Yves Saint Laurent-ისა და Balenciaga-ს ტანსაცმელი და ფეხსაცმელი. ჩვენების დამთავრებისთანავე კოლექციას პარიზში დააბრუნებენ. მსურველებს საშუალება ექნება, პირველად საქართველოში ნიმუშები ადგილზე დაჯავნონ. "რივე"-ს საიუბილეო საღამოს პარტნიორი კომპანიები არიან თელიანი ველი, ზარაფხანა, Villery & osch, "ბაგრატიონი 1882" და "ბორჯომი". ღონისძიების მასპინძელია სასტუმრო "თბილისი მარიოტი", ხოლო ორგანიზატორი McCann Erickson Georgia. "პირველი"

ორმა ასოციაციამ თანამშრომლობის შესახებ მემორანდუმი გააფორმა

საქართველოს ბიზნეს ასოციაციასა და საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციას შორის ურთიერთ-თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა, რითაც მხარეებმა აიღეს პასუხისმგებლობა, მოახდინონ არსებული გამოცდილების, ცოდნის და ძალისხმევის კონსოლიდაცია, რომელიც მიმართული იქნება საქართველოში მოქმედი მცირე, საშუალო და მსხვილი დამსაქმებლების ინტერესების დაცვისაკენ. როგორც "მედია-ნიუსს" საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებიდან აცნობეს, საწყის ეტაპზე მხარეები ერთობლივად იმუშავენ ისეთ მნიშვნელოვან საკითხზე, როგორცაა: დამსაქმებელსა და დამსაქმებულს შორის შრომითი ურთიერთობების რეგულირების, შრომის კოდექსისა და პროფკავშირების შესახებ კანონის შემდგომი სრულყოფის საკითხები, საგადასახადო კოდექსის და ქვეყანაში მოქმედი საგადასახადო გარემოს შემდგომი დახვეწა, ასევე სხვა ყველა იმ საკითხზე, რომლებზეც გამოიკვეთება ურთიერთ-თანამშრომლობის საჭიროება.

როგორც საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის პრეზიდენტი ელგუჯა მელაძემ განაცხადა, მსგავსი თანამშრომლობა ხელს შეუწყობს საქართველოში მიმზიდველი ბიზნეს გარემოს შენარჩუნებას, რაც თავის მხრივ, ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს ბიზნესასოციაცია მომდინარე წლის შემოდგომაზე შეიქმნა, რომელიც საქართველოში მოქმედ წამყვან ბიზნეს ორგანიზაციებს აერთიანებს. ბიზნეს ასოციაციის წევრი კომპანიები კი დღეს საქართველოს ათასობით მოქალაქეს ასაქმებენ. მედიანიუსი

ქართველ ბიზნესმენებს ირანის ექსპორტიორთა გამოფენაში მონაწილეობა შეეძლება

2010 წლის 16-19 თებერვალს თეირანში ირანის ექსპორტიორთა პროდუქციის გამოფენა მოეწყობა. საქართველოს საეკონომიკური პალატის ინფორმაციით, ღონისძიება ირანის მრეწველობისა და მადნეულის საეკონომიკური ორგანიზებით იმართება. დაინტერესების შემთხვევაში, მასში მონაწილეობა ქართული კომპანიების წარმომადგენლებსაც შეეძლება. მათ ირანელ ბიზნესმენებთან საქმიანი ურთიერთობის დახმარების საშუალება მიეცემა. მედიანიუსი

აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობკომპანია ნავთობპროდუქტების ექსპორტი 19.4 პროცენტით შეამცირდა

მიმდინარე წლის იანვარ-ნოემბრის თვეებში აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობკომპანიის მარკეტინგისა და ეკონომიკური ოპერაციების სამმართველომ განახორციელა დაახლოებით 1,882 მილიონი ტონა ნავთობპროდუქტის ექსპორტი, რაც 19,4 პროცენტით ნაკლებია გასული წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით.

2008 წლის იანვარ-ნოემბრის თვეებში აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობკომპანია განახორციელა 2,336 მილიონი ტონა ნავთობპროდუქტის ექსპორტი. ნავთობპროდუქტების ექსპორტის სტრუქტურაში საავტომობილო ბენზინმა შეადგინა 215,572 ათასი ტონა, დიზელის საწვავმა - 1,337 მილიონი ტონა, საავიაციო საწვავმა - 265,392 ათასი ტონა, საღუმელე მარკეტინგის - 34,497 ათასი ტონა.

აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობკომპანიის განცხადებით თანახმად, 2009 წლის ნოემბრის თვეში 1 ტონა საავტომობილო ბენზინი მსოფლიო ბაზარზე ღირდა 692,01 დოლარი, დიზელის საწვავი - 609,9 დოლარი, ავისანავაგი - 658,57 დოლარი, მარკეტინგის - 467,04 დოლარი. ჯი-ეი-ენი

არაბეთის საემიროები - ყველაზე მსხვილი ინვესტორი

ინერ ნატროპოვილი

საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) წილში 2009 წლის მონაცემებით 8,4 პროცენტია. ეს მაჩვენებელი ზრდას 2003 წლიდან იწყებს. მაშინ მშპ-ში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების წილი 8,3 პროცენტი იყო, 2004 წელს - 9,4 პროცენტი, ხოლო 2005 წელს მცირე ვარდნა შეინიშნებოდა - 8,5 პროცენტი. 2006 წლიდან პირდაპირი უცხოური ინვესტიციების წილი განუზრდელად იზრდება და 13,9 პროცენტს აღწევს, 2007 წელს კი პიკს - 19,8 პროცენტს. 2008 წელს ეს მაჩვენებელი მკვეთრ ვარდნას განიცდის - თქმის 2005 წლის მაჩვენებელს უტოლდება და 12,2 პროცენტს შეადგენს. ბოლო მაჩვენებელი, ექსპერტების პროგნოზით, 2003 წლის მონაცემზე დაბალი იქნება, რადგან ინვესტიციების ზრდას სტაბილური ეკონომიკური და პოლიტიკური გარემო სჭირდება. საქართველოში კი ამ ეტაპზე სახარბიელო მდგომარეობა არც ერთი მიმართულებით არ შეინიშნება. მიუხედავად იმისა, რომ საქართველო ბიზნესის წარმოების სიმარტი-

ვით მსოფლიოს წამყვან ქვეყნებს შორის მე-11 ადგილზეა, მაშინ როცა მეოთხე ადგილს აშშ, მეხუთეს - გაერთიანებული სამეფო, ხოლო მეათე ადგილს ნორვეგია იკავებს, მშპ-ში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების წილი მაინც მცირდება.

ბოლო მონაცემებით, საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განდანაწილების სქემა ეკონომიკის სექტორების მიხედვით ასეთია: ტრანსპორტი და კომუნიკაციები - 27 პროცენტი, უძრავი ქონება - 17,8 პროცენტი, ენერჯეტიკა - 18,9 პროცენტი, მრეწველობა - 13,3 პროცენტი, მშენებლობა - 3,6 პროცენტი, სოფლის მეურნეობა - 0,5 პროცენტი, საბანკო სექტორი - 0,5 პროცენტი, სხვა სერვისების წილი კი 18,1 პროცენტია.

ქვეყანაში ტრანსპორტი და კომუნიკაციები ინვესტორებისათვის ყველაზე ადვილად მიმზიდველ სფეროებად რჩება. რაც შეეხება სოფლის მეურნეობის სექტორს, ის კვლავ ბოლო ადგილზეა. ამ სექტორში არსებული რისკების გამო, ინვესტირებას ადგილობრივი ბიზნესის წარმომადგენლებიც კი ერიდებიან, აგროსესხების წილი ბანკების და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების პორტფელში

კვლავ დაბალია. მით უმეტეს, 2008 წლის აგვისტოს შემდეგ.

საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების კუთხით 2008 წლის მონაცემებით არაბეთის საემიროები ლიდერობს - 14 პროცენტით, შემდეგ აშშ - 11,3 პროცენტით. მესამე ადგილზეა თურქეთი - 9,3 პროცენტით, ხოლო მეოთხეზე ვირჯინიის კუნძულები - 7,8 პროცენტი. რაც შეეხება ევროპულ კაპიტალს აქ პირველ ადგილზეა ბრიტანეთი - 7,4 პროცენტი, შემდეგ პოლონეთი - 7,2 პროცენტი, ხოლო ავსტრიისა და გერმანიის წილი თანაბარია და თითოეულის წილი 4,4 პროცენტია.

არც 2009 წლის მონაცემები რადიკალურად შეცვლილი. ლიდერის პოზიციებს კვლავ არაბეთის საემიროები ინარჩუნებს, მეორე და მესამე ადგილს კი კვლავ აშშ და თურქეთი იყოფენ.

ეკონომიკის სამინისტროს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს ხელმძღვანელი ირაკლი მატკავა განმარტავს, რომ საქართველოში ინვესტიციების კლების მიზეზი ფინანსური კრიზისი გახდა. "ურთულესი პირობები, კრიზისი გახდა იმის მიზეზი, რომ საინვესტიციო

პოლიციის პოლიკონიკი ქრთამის ალბისთვის დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურმა ინსპექციამ ქრთამის ალბის ფაქტზე თეთრიწყაროს რაიონის სამმართველოს დეტექტივ-გამომძიებელი, პოლიციის პოლიკონიკი ბაგრატ ქოჩორაშვილი დააკავეს. შს სამინისტროს ინფორმაციით, დაკავებული პოლიციელი სისტემატიურად აცილებდა ნალკა-თეთრიწყაროს ტერიტორიაზე მიმდინარე საგზაო სამშენებლო ობიექტიდან მოპარულ დიზელის სანავაგს, რის სანაცვლოდაც იღებდა ფულს. ერთ-ერთი ავტომობილის გაცილების სანაცვლოდ, ბაგრატ ქოჩორაშვილმა მოქალაქისგან ქრთამის სახით აიღო ფულადი თანხა 300 ლარის ოდენობით. მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით მიმდინარეობს გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 338-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის. გამოძიებას აწარმოებს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექცია. **ინტერპრეს-ნიუსი**

საჯარო რეესტრის თანამშრომელი დააკავეს

შემოსავლების სამსახურის საგამომძიებო დეპარტამენტის კახეთის სამმართველოს თანამშრომლებმა ქრთამის ალბისთვის საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თელავის სარეგისტრაციო სამსახურის თანამშრომელი ნათელა ასაბაშვილი დააკავეს. ასაბაშვილს ბრალი ედება ერთ - მოქალაქისთვის სასოფლო სამეურნეო მიწის ნაკვეთისა და საცხოვრებელი სახლის საჯარო რეესტრში რეგისტრაციისას დოკუმენტების დამზადების დაჩქარებაში ქრთამის - 300 ლარის გამორობევაში. გამოძიება სსკ-ის 333-ე მუხლით მიმდინარეობს. დანაშაული ექვესიდან ცხრა წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. **ჯი-ეიჩ-ენი**

ცვლილება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში

სასამართლოს ბრალდებულის ან განსასჯელისთვის შეფარდებული გირაოს თანხის შემცირების შესაძლებლობა ექნება. ამასთან დაკავშირებით ცვლილება "სისხლის სამართლის საპროცესო" კოდექსში შედის. კანონპროექტის თანახმად, გირაოს თანხის ოდენობის შემცირება დასაშვებია იქნება პროკურორის შუამდგომლობის საფუძველზე, თუ ბრალდებული ან განსასჯელი კეთილსინდისიერად ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობას და არ არსებობს საშიშროება, რომ ის ამ ვალდებულებებს მომავალში დაარღვევს. კანონპროექტის მიხედვით, აღნიშნული შუამდგომლობა სასამართლომ ზეპირი მოსმენის გარეშე, მისი წარდგენიდან 24 საათში უნდა განიხილოს. კანონპროექტის ავტორები დეპუტატები პავლე კუბლაშვილი, ლაშა თორდია და ზვიად კუკავა არიან. კანონპროექტის განხილვა პარლამენტში მომავალი კვირიდან დაიწყება. **ინტერპრესნიუსი**

ე.წ. უდოს კომისიის რიგგარეშე სხდომა 10 დეკემბერს გაიმართება

პატიმრების პირობით ვადადგე გათავისუფლების, ე.წ. უდოს კომისიის რიგგარეშე სხდომა 10 დეკემბერს გაიმართება, ამის შესახებ სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა კომისიის რიგგარეშე სხდომაზე განაცხადა. მან მიმართა კომისიის წევრებს შეიკრიბონ 10 დეკემბერს, ხელახლა გადახედონ პატიმრების საქმეებს და მიიღონ გადაწყვეტილება. "სამინისტრომ გადაწყვიტა, მეტ მსჯავრდებულს მიეცეს შესაძლებლობა, ახალ წელს საკუთარ ოჯახში შეხვდეს," - განაცხადა მინისტრმა. პირობით ვადადგე გათავისუფლების კომისიის რიგგარეშე სხდომა 10 დეკემბერს გაიმართება, ხოლო გვერდითი სხდომა დეკემბრის ბოლოსთვის არის დაგეგმილი. **ჯი-ეიჩ-ენი**

თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მოძიება ინტერნეტის მეშვეობითაა შესაძლებელი

საჯარო სამსახურის ბიუროში თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების ელექტრონული საძიებო სისტემის პრეზენტაცია დღეს გაიმართება. საჯარო სამსახურის ბიურომ შეიმუშავა თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების ელექტრონული საძიებო სისტემა. სისტემის მეშვეობით, შესაძლებელია ინტერნეტის მეშვეობით ნებისმიერი დეკლარაციის მოძიება და უფასოდ ჩამოტვირთვა. აღნიშნული სისტემის ამოქმედებამდე მოქალაქეებს თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის მისაღებად უხდებოდათ განცხადების დანერა, ამის შემდეგ ხდებოდა განცხადების განხილვა, რაც თავისთავად დროში იყო გაწვავილი. ამასთან, ინფორმაციის გაცემა ხდებოდა მხოლოდ ასლის გადაღებისათვის დადგენილი შესაბამისი თანხის გადახდის შემდეგ. **ჯი-ეიჩ-ენი**

ბაუხმაურებელი ბაუჩინარება

პირველი გვარდიდან

2009 წლის 5 დეკემბერს სახალხო დამცველის აპარატის მართლმსაჯულების დეპარტამენტის უფროსი და სახალხო დამცველის რწმუნებული ქალაქ გორში შეხვდნენ გიორგი არჩვაძის მამას და ძმებს, რომლებმაც დაადასტურეს, რომ გიორგი არჩვაძე მართლაც ხუთი თვეა, რაც სეპარატისტთა მიერ არის დაპატიმრებული.

სახალხო დამცველის ინფორმაციით, სოფელი ბელოთის მკვიდრი გიორგი არჩვაძე მშობლებთან და ორ ძმასთან ერთად აგვისტოს შეიარაღებულ კონფლიქტის შედეგად სოფელ შავშვებში, იძულებით გადაადგილებულებისთვის განკუთვნილ კოტეჯებში ცხოვრობდა.

15 წლის გიორგი არჩვაძე, რომელსაც 16 წელი ცხინვალის საპყრობილეში შეუსრულდა, 5 ივლისს, ქალაქ გორიდან გაუჩინარდა. სავარაუდოდ, იგი მშობლიურ სოფელში, შავშვებში, საკუთარი სახლის სანახავად წავიდა, სადაც ე.წ. სამხრეთ ოსეთის სამართალდამცველებმა დააკავეს კიდევ. როგორც გიორგი არჩვაძის მამამ თამაზ არჩვაძემ გაზეთ "24 საათთან" საუბარში გა-

ნაცხადა, შვილის გაუჩინარების შესახებ მან მაშინვე შეატყობინა, შიდა ქართლის პოლიციის სამმართველოს.

"გიორგიმ დაკარგვიდან დაახლოებით სამი კვირის შემდეგ ოჯახში დარეკა და გვითხრა, რომ ცხინვალის ციხეში იყო. პოლიციას გავაგებინეთ მომხდარის შესახებ, მათ გავაგებინეს, რომ გიორგი ცხინვალის ციხეშიაო. ამის მეტი აღარაფერი უთქვამთ," - გვითხრა თამაზ არჩვაძემ.

არასრულწლოვანის მამის ინფორმაციით, დაახლოებით ორი თვის წინ არჩვაძეების ოჯახში მივიდნენ "წითელი ჯვარის" წარმომადგენლები და გიორგი არჩვაძისთვის ტანსაცმელის გაგზავნა სთხოვეს.

"გორში ჩავედი და გიორგის სპორტული ტანსაცმელი, თბილი ქურთუკი და სხვა საჭირო ნივთები ვუყიდე. ეს ყველაფერი "წითელი ჯვარის" წარმომადგენლებმა წაიღეს და იქიდან გიორგის წერილი მოგვიტანეს, სადაც რამდენიმე სიტყვა ეწერა "დედა მადლობა, მივიღე ტანსაცმელი". ამის შემდეგ აღარც ჩვენთან მოსულა არავინ და აღარაფერი გავცივია. ცხინვალში რომ წავიდე და საკუთარი შვილი ვეძებო, მეც დამიჭერენ, სხვა

რა გზისთვის უნდა მიმემართა, არ ვიცოდი. გათავისუფლებულ ბიჭებს ტელევიზორში ვუყურებდი და გული მწყდებოდა, რომ ჩემი შვილის ბედით აქამდე არავინ დაინტერესებულა," - ამბობს თამაზ არჩვაძე.

დაკავებული არასრულწლოვანის ოჯახის ინფორმაციით, გიორგი არჩვაძეს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები აქვს, მას შიდა ქალის წნევა აწუხებს.

რატომ არ გახმაურებულა არასრულწლოვან გიორგი არჩვაძის დაპატიმრების შესახებ ინფორმაცია და რას აკეთებს მის გასათავისუფლებად ქართული მხარე, ამ საკითხზე კომენტარი ვთხოვეთ შინაგან საქმეთა სამინისტროს ანალიტიკური სამსახურის უფროსს შოთა უტიანაშვილს.

"გიორგი არჩვაძის გატაცების და დაკავების შესახებ მეორე დღესვე გვექონდა ინფორმაცია. ამ თემაზე ცხინვალის სამართალდამცველებს სისტემატიურად ვეკონტაქტებით, მაგრამ, სამწუხაროდ, იქ დაპატიმრებულია გათავისუფლება მართო ჩვენს სურვილზე არ არის დამოკიდებული," - "24 საათთან" საუბრისას განაცხადა შოთა უტიანაშვილმა.

20-წლიანი პატიმრობა მკვლელობისთვის

თბილისის საქალაქო სასამართლომ ანგარებით განზრახ მკვლელობისათვის 20 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა მიხეილ ლალაშვილს, ხოლო ამ დანაშაულის დაფარვისთვის კობა ხარაიძეს 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა.

ბრალდების თანახმად, მიხეილ ლალაშვილმა მატერიალური პრობლემების მოგვარების მოტივით, რამაზ კვინტრადის მოკვლა განიზრახა. იგი იმედოვნებდა, რომ დაარწმუნებდა რამაზ კვინტრადის ძმას, ჯემალ ბალაშვილსა და მისი ოჯახის წევრებს, რომ კვინტ-

რადეს ჰქონდა ვალები, რომელთა გარანტი იყო ლალაშვილი და ამ ვალების გამო მასაც მოკვლით ემუქრებოდნენ. ამ გზით იგი შეძლებდა საკუთარი ვალების გადახდას.

განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, მან რამაზ კვინტრადე მოტყუებით მიიყვანა საკუთარ საცხოვრებელ ბინაში, ჩაიყვანა სარდაფში, სადაც აგურის გამოყენებით სასიკვდილო დაზიანებები მიაყენა თავის არეში. ცხედარი საკუთარი ავტომანქანით გადაიტანა და დახმარება სწორედ კობა ხარაიძეს სთხოვა.

მიხეილ ლალაშვილი წარდგენილ ბრალდებაში თავს დამნაშავედ ნაწილობრივ ცნობდა.

იგი აცხადებდა, რომ კვინტრადეს ჰქონდა ვალები, რის გამოც მათ შორის დაპირება მოუხდათ და მართლაც ჩაარტყა მას თავში აგური, თუმცა კვინტრადის მოკვლის განზრახვა არ ჰქონია.

აღნიშნული ვერსიის საწინააღმდეგოდ საქმეში სხვა მტკიცებულებები არსებობს. კერძოდ, მოწმეები ადასტურებენ, რომ მათთან თანხა პირადი საჭიროებისათვის ისესხა მიხეილ ლალაშვილმა და რამაზ კვინტრადის არსებობის შესახებაც კი არაფერი იცოდნენ. შემთხვევის ადგილის და ლალაშვილის კუთვნილი ავტომანქანის დათვალიერება ადასტურებს, რომ გარდაცვლილის სისხლის კვალი აღინიშნება ლალაშვილის

"სახალხო დამცველი მოითხოვს გიორგი არჩვაძის დაუყოვნებლივ გათავისუფლებას და მოუწოდებს დე ფაქტო მთავრობას, რომ მისი დაკავების პერიოდში არასრულწლოვანს მოეპყროს საერთაშორისო სამართლის პრინციპებისა და ნორმების შესაბამისად. სახალხო დამცველი მიმართავს საქართველოს ხელისუფლებას, დაუყოვნებლივ დაიწყოს გიორგი არჩვაძის გათავისუფლებისათვის საჭირო ნაბიჯების გადადგმა და საზოგადოებას მიაწოდოს სრული და ამომწურავი ინფორმაცია აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით. ხოლო საერთაშორისო თანამეგობრობას მოუწოდებს მკაცრად შეაფასოს დე ფაქტო რეჟიმის ასეთი უკანონო მოქმედებები და გამოიყენოს მის ხელთ არსებული ყველა მექანიზმი, რათა საქართველოს ყველა მოქალაქე, რომელიც ამჟამად არის დე ფაქტო სამხრეთ ოსეთის ხელისუფლების პატიმარი დაუყოვნებლივ გაათავისუფლოს," - ასეთია საქართველოს სახალხო დამცველის პოზიცია. მან საერთაშორისო ორგანიზაციებს გიორგი არჩვაძის ფაქტთან დაკავშირებით გუშინ წერილობით მიმართა.

სემინარი ქურნალისტებისთვის

პრობაცის თემაზე

პრობაციის ეროვნული სამსახურის საქმიანობის გაცნობის, მიმდინარე რეფორმების გამჭვირვალობისა და კომუნიკაციის გაუმჯობესების მიზნით, მასმედის წარმომადგენლებისთვის სასტუმრო კომპლექს "ბაზალეთში" სემინარი გაიმართა. სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა ჟურნალისტებს 10 თვის განმავლობაში პრობაციის სისტემაში გატარებული

რეფორმები გააცნო და აღნიშნა, რომ სწრაფად და წარმატებით განხორციელებული რეფორმის პარალელურად, ძალიან მნიშვნელოვანია, საზოგადოებასთან სწორი და ეფექტური კომუნიკაციის ჩამოყალიბება: "ინფორმაციის გავრცელებაში ჟურნალისტებს უზარმაზარი როლი აკისრიათ. ამიტომ, სამინისტრო მზადაა, თითოეულ ჟურნალისტს მისთვის საჭირო ნებისმიერი ინფორმაცია მიაწოდოს," - განაცხადა დიმიტრი

შაშკინმა. ორდღიანი სემინარი ევროკავშირის "კანონის უზენაესობის მხარდაჭერის პროექტის" მიერ იყო ორგანიზებული, რომელსაც Human Dynamics ახორციელებს. 2009 წელს საქართველოში 27 ათასი პირობითი მსჯავრდებულია, როცა 2005 წელს მათი რიცხვი 8000 იყო. მხოლოდ თბილისში დღეს, 10 ათასი პრობაციონერია და მათ შორის ნახევარზე მეტი ნარკომანი. პრობაციის სამსახურის უფროსის თეიმურაზ

იობიძეს განცხადებით, სექტემბერ-ნოემბერში 150 პრობაციონერი დასაქმდა. მისი სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების მინისტრი იმედოვნებს, რომ დასაქმებულ პრობაციონერთა რიცხვი მომავალში უფრო გაიზრდება. შაშკინის განცხადებით, საქართველოში ჯერჯერობით პრობაციის მხოლოდ 18 ბიუროა და მათი რიცხვი უახლოეს მომავალში 51-მდე გაიზრდება. **საკუთარი ინფორმაცია**

დაკავება ციხესასროლი იარაღის

ტარების გამო

სასაზღვრო პოლიციის თანამშრომლებმა საქართველოს ორი მოქალაქე დააკავეს. სასაზღვრო სექტორ "გონა"-ს დასაცავ მონაკვეთზე, N8 სამმართველოს და ონის პოლი-

ციის რაიონული სამმართველოს თანამშრომლების მიერ ერთობლივად ჩატარებული ღონისძიებების შედეგად, დაკავებულია ავთანდილ გოგორიჭიანი და მახარე ლოპუანიძე.

დაკავებულებს ჩხრეკის შედეგად აღმოაჩნდათ მცირეკალიბრიანი შაშხანა (N-X3623), ორი ცალი ვაზნით და ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი "აკმ"-ი (N-HY7745), ერთი მჭი-

დით და ათი ცალი საბრძოლო ვაზნით. აღნიშნულ ფაქტზე აღიძრა სისხლის სამართლის საქმე 236-ე მუხლის I და II ნაწილით. **ჯი-ეიჩ-ენი**

პოლონეთს "პეტრიოტების" განთავსება დააწყნარებს

მნიშვნელოვან დატვირთვას ხანდახან სიმბოლური ფუნქციის კი იძენს ხოლმე. სწორედ ასეთი მოვლენაა პოლონეთში აშშ-ს მიერ სამხედროების და სარაკეტო სისტემა "პეტრიოტის" განლაგება, რომლის მიზანია პოლონელებს თავდასხმის შიში გაუქარწყლოს და საერთაშორისო პოლიტიკურ არენაზე ამერიკის სახე გადაარჩინოს.

გასულ კვირას პოლონეთისა და ამერიკის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ მიაღწიეს შეთანხმებას პოლონეთის ტერიტორიაზე ამერიკელი სამხედროების განლაგების შესახებ. ეს შექმნის საშუალებას ქვეყანაში საზენიტო სარაკეტო კომპლექსს "პეტრიოტის" დივიზიონის განსათავსებლად, რაც გაისად ივარაუდება. "შეთანხმება შეიარაღებული ძალების სტატუსის შესახებ", რომელსაც ერთ თვეში უნდა მოეწეროს ხელი, ბოლო დაბრკოლება იყო ბუშის ადმინისტრაციის დანაპირების შესრულების გზაზე. ეს დაპირება გულისხმობდა პოლონეთის ჰაერსაწინააღმდეგო სისტემის მოდერნიზებას ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილში ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის 10 სარაკეტო დანადგარის განთავსების სანაცვლოდ. ეს რაკეტები შორი მოქმედების რადიუსის მქონე რაკეტის ჩამოსაგდებად არის განკუთვნილი.

ჰაერსაწინააღმდეგო კომპლექსის განლაგება და მასთან დაკავშირებული რადიოლოკაციური სადგურის მშენებლობა ჩეხეთში, წარმოადგენდა

ამერიკის მიერ შემოთავაზებულ რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემას, რომელიც უნდა გამოყენებულიყო მაგალითად ირანის ტიპის "არაკონტროლირებადი სახელმწიფოების" თავდასხმის მოსაგერიებლად. სექტემბერში პრეზიდენტმა ობამამ ჰაერსაწინააღმდეგო სისტემის განლაგება გადადო, რამაც პოლონელებში იმის შიში გააჩინა, რომ ასეთივე ბედი ეწეოდა "პეტრიოტის" კომპლექსის განლაგებას.

სექტემბერში თავდაცვის მინისტრის ეს უკანასკნელი გადაწყვეტილება სხვა არაფერია, თუ არა საკუთარი რეპუტაციის გადარჩენის მცდელობა. მათი აზრით, ამ გეგმამ უნდა მოახდინოს პოლონეთისა და ჩეხეთის მიერ რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემის განლაგებისთვის, ამ არაპოპულარული გადაწყვეტილების მიღებისთვის დახარჯული პოლიტიკური კაპიტალის კომპენსაცია. ზოგიერთი კრიტიკოსი ირწმუნება, რომ ერთი სარაკეტო დივიზიონის განლაგება ვერ უზრუნველყოფს ქვეყნის თავდაცვას, რაც საჭიროა ამ სახელმწიფოსთვის. პოლონეთს იმედი ჰქონდა, რომ ამერიკული ძალები მუდმივად იქნებოდა მის ტერიტორიაზე. ამჯერად კი საუბარია გერმანიიდან "პეტრიოტის" დივიზიონის გარკვეული ვადით გადმოსროლაზე.

ეს არგუმენტი გარკვეულწილად ამცირებს იმ დიდ მნიშვნელობას, რომელიც ენიჭება ამერიკელი სამხედროების პოლონეთის მიწაზე ყოფნას



დროის ნებისმიერი მონაკვეთით. ამ სტადიაში უფრო მნიშვნელოვანია ფსიქოლოგიური ეფექტი და იმის დადასტურება, რომ მრავალი წარუმატებელი ცდის შემდეგ ამერიკას და პოლონეთს განსაკუთრებული ურთიერთობა ექნებათ. მართალია, პოლონელების დიდი ნაწილი ქვეყნის ტერიტორიაზე ნებისმიერი ტიპის რაკეტსაწინააღმდეგო ელემენტების განლაგების წინააღმდეგი იყო, თუმცა მათი უმრავლესობა იმედგაცრუებას გამოხატავდა იმის გამო, რომ ამერიკისთვის გაღებული მსხვერპლის სანაცვლოდ მათ სამშობლოს რაიმე ხელშეხებას სარგებელი არ მიუღია.

ამერიკის ერაყში შეჭრის შემდეგ პოლონეთმა დიდი როლი ითამაშა იქ წესრიგის დამყარებაში. ქვეყნის მოსახლეობა მოელოდა, რომ პოლონეთის კომპანიებს შესთავაზებდნენ ერაყის მშენებლობაში მონაწილეობის მიღებას, ასევე ამერიკაში გამგზავრების მსურველთათვის სავიზო რეჟიმი გაუქმდებოდა, რომ იქნებოდა სხვა პრივილეგიებიც, როგორც ლოიალურ მოკავშირეს ეკადრება. თუმცა პოლონურ კომპანიებს ომის შემდეგ პრივილეგიები არ მიუღიათ. პოლონელები ისევ ელოდებიან, რომ მათი ქვეყანა მოხვდება "ვიზებზე უარის თქმის პროგრამაში" (ეს პროგრამა

ზოგიერთი ქვეყნის მოქალაქეებს ნებას აძლევს, ამერიკაში ტურისტული ან საქმიანი მიზნებისათვის 90 დღის განმავლობაში ვიზის გარეშე იმოგზაუროს). ეს ქმნის საკმაოდ უხერხულ სიტუაციას, რამდენადაც გასულ წელს პროგრამას შეუერთდნენ "ვიშგრადის" ჯგუფის სახელმწიფოები და ბალტიის ქვეყნები. არ შეერთებია მხოლოდ პოლონეთი, არადა პოლონეთი ჩეხეთთან, სლოვაკეთთან და უნგრეთთან ერთად ვიშგრადის ჯგუფში შედის.

თუმცა, შესაძლოა, ეს პირველი დივიზიონი მომავალი უფრო სერიოზული შეთანხმებების პრელუდია იყოს. ამერიკის თავდაცვის მინისტრმა რობერტ გეითსმა განაცხადა, რომ 2015 წლისთვის ამერიკას სურს, პოლონეთსა და ჩეხეთში "ეს-ემ-3" ტიპის რაკეტების განლაგება, რომლებიც შედის ობამას მიერ გადასინჯულ, ჰაერსაწინააღმდეგო ფარის ახალ სისტემაში. ბევრი პოლონელი ვეღარ ითმენს ამ ყველაფრის რეალურად განხორციელებას, ვინაიდან ისინი შეშფოთებულნი არიან იმ ფაქტით, რომ სექტემბერში რუსეთმა და ბელარუსმა ბირთვული იარაღის "სავარაუდო" გამოყენებით სწავლება ჩაატარეს, რომელიც პოლონეთის სანაპიროზე ჯარების გადასხმის იმიტაცია-საც გულისხმობდა. ეს კიდევ ერთი "სიმბოლური" ფუნქცია, ყველაზე სიმბოლური, რაც კი ოდესმე მომხდარა.

"ISN" (შვეიცარია) მიხედვით მოამზადა თამა კახაძემ

მიუნჰენის სასამართლომ ფაშისტების მოკავშირის სასამართლო პროცესი გადადო

გუშინ, მიუნჰენის სასამართლოში, ივან (ჯონ) დემიანიუკის საქმის განხილვა არ შედგა. მიზეზი 89 წლის ბრალდებულის გაუარესებული ჯანმრთელობის მდგომარეობა გახლდათ.

დემიანიუკი, რომელსაც ბრალს კაცობრიობის წინაშე ჩადებულ დანაშაულში სდებენ, ციხის ექიმის განცხადებით, სასამართლოზე ვერ წარსდგებოდა. მეორე მსოფლიო ომის დროს 279 ათასი ებრაელის დახვრეტაში ბრალდებული დემიანიუკი სასამართლო პროცესზე, რომელიც მიმდინარე წლის 29 ნოემბერს დაიწყო, საკაცზე დაწოლილი მიიყვანეს. გუშინ სასამართლო პროცესის დაწყებამდე ორი საათით ადრე, ბრალდებულის გასინჯვის შედეგად აღმოჩნდა, რომ მას ჯერჯერობით უცნობი ვირუსული ინფექცია აქვს და მისი ტრანსპორტირება შეუძლებელია.

სასამართლო პროცესი 21 დეკემბრისთვის გადაიდო. საგარაუდოდ, 21 დეკემბერს წარსდგებიან მოსამართლის წინაშე ის პირებიც, რომლებმაც დემიანიუკის წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელი შეიტანეს და რომლებიც

ბიცი საკონცენტრაციო ბანაკ სიბი-ბოროში დაკავებულების და გარდაცვლილების ნათესავები არიან.

როგორც BBC-ი იუწყება, ბრალდებულმა ჰანს იოჰან ლუცმა სასამართლო პროცესზე განაცხადა, რომ წარმოშობით უკრაინელი დემიანიუკი საკუთარი სურვილით ჩადაგა ფაშისტების სამსახურში და მონაწილეობას იღებდა ებრაელების მასობრივ დახვრეტაში.

ბრალდების მხარის განცხადებით, როდესაც პოლონეთის ტერიტორიაზე მდებარე საკონცენტრაციო ბანაკში ახალი ტყვეები მოჰყავდათ, იგი შეგნებულად აგზავნიდა მათ გაზის კამერაში ან დასახვრეტად.

"იგი, მას მერე, რაც გერმანელებს ტყვედ ჩაუვარდა, საკუთარი ნებით დათანხმდა ფაშისტებთან თანამშრომლობას," - განაცხადა პროკურორმა.

პროკურორის განცხადების შემდეგ, მოსამართლე რალფ ალტმა ბრალდებულს მიმართა, თუმცა დემიანიუკის ადვოკატმა ულრიხ ბუშმა განაცხადა, რომ ბრალდებულს კომენტარის გაკეთება არ სურდა. სასამართლო პროცესის დაწყებ



ბისთანავე ბრალდებულის ადვოკატმა უკმაყოფილება გამოთქვა მისი დაცვის ქვეშ მყოფის ამერიკის შეერთებული შტატებიდან დეპორტირების თაობაზე. საქმე ისაა, რომ დემიანიუკი ამერიკაში ცხოვრობს. ადვოკატმა ასევე გააპროტესტა თავ

დასამართლოს გამართვის ფაქტიც და განაცხადა, რომ დემიანიუკს ერთი და იგივე საქმეზე სასამართლო პროცესი ორჯერ გაუმართეს.

"ისრაელის სახელმწიფომ მას მოუხსნა მკვლელობის ბრალდებ

ები, რადგან ეს ყველაფერი სხვა საკონცენტრაციო ბანაკებში ხდებოდა," - განაცხადა ადვოკატმა.

თუმცა, გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს კოლეგია თვლის, რომ დემიანიუკისთვის ახლა წაყენებული ბრალდებები აბსოლუტურად განსხვავდება 20 წლის წინ, ისრაელის სახელმწიფოს მიერ წაყენებული ბრალდებებისგან. 20 წლის წინ, მას ტყვეების მიმართ სასტიკ დამოკიდებულებაში ადანაშაულებდნენ, თუმცა, როგორც გაირკვა, ეს ბრალდება მას არ ეკუთვნოდა. რაც შეეხება სიბიბორის საკონცენტრაციო ბანაკში ჩადენილ სისასტიკეებს, თავად ბრალდებული არაოფიციალურ საუბრებში ამტკიცებს, რომ იგი ბანაკში რიგითი საბჭოთა ტყვე იყო.

მისმა ადვოკატმა კი ბრალდების საპასუხოდ განაცხადა, რომ ებრაელები რომ არ დაეხვრეტა მასაც დახვრეტდნენ. დემიანიუკის სასამართლო პროცესი საგარაუდოდ მომავალი წლის მაისში უნდა დასრულდეს. თუ ბრალდებულს ბრალს დაუმტკიცებენ, მას 15 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ელის.

იტალიაში მაფიის მთავარ ბოსს ეძებენ

დამნაშავეთა სამყაროში "N2 ადამიანად" წოდებული, იტალიის მაფიის წევრი ჯანი ნიჩი, პოლიციამ პალერმოში, ნაქირავებ ბინაში აიყვანა. ნიჩი პოლიციას 28 წლის განმავლობაში ემალებოდა.

მაფიის კიდევ ერთი წევრი, კრიმინალური ავტორიტეტი 74 წლის გაეტანო ფიდანზატი სამართალდამცველებმა მილანში, ქუჩაში აიყვანეს. ამის თაობაზე ჟურნალის-

ტებს პრემიერ-მინისტრმა სილვიო ბერლუსკონიმ განუცხადა.

"პოლიციის ბოლოდროინდელი მუშაობა საუკეთესო პასუხია ყველა იმ უპასუხისმგებლო პირის მიმართ, რომელიც ჭუჭყს მცხებს მეც და მთელ იტალიას," - აღნიშნა ქვეყნის პრემიერ მინისტრმა.

იტალიურმა გაზეთებმა მისი განცხადების საპასუხოდ, ცოტა ხნის წინ, მაფიის ყოფილი წევრის სასამართლო პროცესი გაიხსენეს.

ექვმიტანილმა ტურინში სასამართლო პროცესზე განაცხადა, რომ მსოფლიოს კრიმინალური სამყაროს ერთ-ერთი ბოსისგან ჯუზეპე გრავიანოსგან ბერლუსკონის ძველ, ორგანიზებულ დანაშაულებთან კავშირზე გაუფონია. ბერლუსკონი კი აცხადებს, რომ მისმა მთავრობამ მაფიასთან ბრძოლის ფარგლებში იმაზე მეტი გააკეთა, რაც ბოლო 20 წლის განმავლობაში გაკეთებულა.

ამდენად, დაკავებულთა ჯგუფს

კიდევ ორი ბოროტმოქმედი შეუერთდა. ნიჩი გამოძალგაშია ექვმიტანილი. მისი მამა მაფიის საქმიანობაში მონაწილეობისთვის სასჯელს იხდის. ფიდანზატიმ 2006 წელს გაათავისუფლეს, თუმცა 2008 წელს მასზე კვლავ ძებნა გამოცხადდა ახალ ბრალდებებთან დაკავშირებით.

ნიჩისა და ფიდანზატის დაკავების შემდეგ, გისოსებს მიღმა 17 საშობი დამნაშავე აღმოჩნდა. სულ ამ სიაში მაფიის 30 წევრის გვარია

დანერილი.

"თუ საქმე ასე გაგრძელდა, მალე სიაში დასაკავებლის გვარი აღარ დარჩება," - განაცხადა პროკურორმა პიერო გრასო.

მიუხედავად იმისა, რომ იტალიელმა სამართალდამცველებმა მაფიის რამდენიმე წევრი, მათ შორის N2 ნომრად წოდებული კრიმინალური ავტორიტეტიც დააკავეს, მაფიის მთავარი ბოსი მატეო მესინა დენარო კვლავ იძებნება.

კოპენჰაგენის სამიტი გაიხსნა

დანის დედაქალაქ კოპენჰაგენში გუშინ მუშაობა დაიწყო უმსხვილესმა საერთაშორისო კონფერენციამ, რომელიც კლიმატის ცვლილების პრობლემებს ეძღვნება. სამიტს დანის პრემიერ-მინისტრმა ლარს ლეკე რასმუსენმა უწოდა "შესაძლებლობა, რომელიც მსოფლიომ ხელიდან არ უნდა გაუშვას". სამიტის მუშაობა ორ კვირას გაგრძელდება, მასში მონაწილეობას მიიღებს 15 ათასი დელეგატი მსოფლიოს 192 სახელმწიფოდან, სამთავრობო დელეგაციების ჩათვლით, მათ შორის, დაახლოებით, 100 ქვეყნის პრეზიდენტი და პრემიერ-მინისტრი. მსოფლიოს ეკოლოგები კოპენჰაგენის სამიტზე უდიდეს იმედებს ამყარებენ. "24 საათი" მომდევნო ნომრებში დანერგვებით გააშუქებს ამ კონფერენციას.

თეირანში დემონსტრაცია დაარბიეს

ირანის დედაქალაქში ხელისუფლებამ ოპოზიციის მიტინგი კვლავ დაარბია. თან ამისთვის საგულდაგულოდ მოემზადა. თეირანში, 1953 წლიდან მოყოლებული, 7 დეკემბერს ყოველთვის ტარდება ანტიაშეცდომის მიტინგი. ის ეძღვნება სამი ახალგაზრდა სტუდენტის ხსოვნას, რომლებიც 1953 წელს სწორედ ანტიაშეცდომის გამოსვლების დროს დაიღუპნენ. ცხადია, ასეთი მიტინგი ირანის ისლამური რესპუბლიკის ხელისუფლების ინტერესებში შედის, ის ნებადართულია და უფრო მეტიც - მის ორგანიზებაში ხელისუფლება თავად მონაწილეობს. პრობლემა ის არის, რომ ამ ბოლო დროს, ზაფხულში გაყალბებული საპრეზიდენტო არჩევნებისა და მასობრივი საპროტესტო გამოსვლების შემდეგ ოპოზიციის ცდილობს, ყველა ასეთი ლეგალური მიტინგი ხელისუფლების სანინადმიდეგო გამოსვლებსთვის გამოიყენოს. მთავრობა კი უშკაცრესად ახშობს ოპოზიციის აქციებს. გარდა იმისა, რომ ივლისში აქციები დაარბიეს, მისი მონაწილე ასობით აქტივისტი დააპატიმრეს და გაასამართლეს. ხუთი ადამიანი კი საერთოდ სიკვდილით დასაჯეს.

გუშინდელი მიტინგისთვის ირანის მთავრობა საფუძვლიანად მოემზადა. ორი დღით ოფიციალურად შეჩერდა ყველა უცხოური მედიასაშუალების აკრედიტაცია, ფურნალისტებს კი რედაქციებისა და საკორესპონდენტო პუნქტების დატოვება აეკრძალათ. ორი დღით ადრე შეიზღუდა ინტერნეტკავშირი, დაიბლოკა ოპოზიციური საიტები და შეფერხდა ელექტროფონის გაგზავნა. ხელისუფლებამ ოფიციალურად გამოაცხადა, რომ 7 დეკემბერს მთლიანად გაითიშებოდა ინტერნეტი და მოხილური კავშირი. სპეცსამსახურებმა განაცხადეს, რომ არ დაუშვებდნენ ნებადართული დემონსტრაციის სატოტესტო აქციის გადარბევას.

7 დეკემბერს პოლიციამ დილიდანვე ალყა შემოარტყა თეირანის უნივერსიტეტს, რათა სტუდენტების ნეიტრალიზაცია მოხდინა. მაგრამ, როგორც ჩანს, ოპოზიციაც მოემზადა და ოფიციალური მიტინგის პარალელურად საპროტესტო გამოსვლაც გაიმართა. გამოსვლებს მოჰყვა შეტაკება პოლიციასთან, ხელისუფლებამ ხელკეტები და ცრემლსადენი გაზი გამოიყენა. დაკავებული რამდენიმე ათეული კაცი. საერთაშორისო მედიას გუშინ საღამოსთვის უფრო დეტალური ინფორმაცია არ ჰქონდა.

ევო მორალესი კვლავ ბოლივიის პრეზიდენტია

კვირას ჩატარებულ არჩევნებზე ევო მორალესი მეორე ვადით აირჩიეს ბოლივიის პრეზიდენტად. ეს შესაძლებელი გახდა შარშან გამართული რეფერენდუმის შემდეგ, რომელმაც დაუშვა ქვეყანაში ორი ვადით პრეზიდენტის არჩევა. მონაცემები ჯერჯერობით მხოლოდ ეგზიტ-პოლებზე დაყრდნობით ქვეყნდება, მაგრამ განსხვავება მეორე ადგილზე გასულ კანდიდატთან - მანფრედ რეიეს ვილიასთან იმდენად დიდია, რომ შედეგებში ეჭვი არავის ეპარება და ყველაფერი პირველივე ტურის შემდეგ გარკვეულად მიიჩნევა. მორალესს მხარს უჭერს ამომრჩეველთა, დაახლოებით, 61-63 პროცენტი, ხოლო ვილიას - 23-24. მორალესი პირველი პრეზიდენტია ლათინურ ამერიკაში, რომელსაც ინდიელის ფესვები აქვს და მისი მხარდაჭერები, ძირითადად, მოსახლეობის ღარიბი ფენები არიან.

ფილიპინებში პოლიტიკურ-სამხედრო დაპირისპირება გრძელდება

ფილიპინების სამხრეთში, პროვინცია მაგუინდანაოს დაპატიმრებული გუბერნატორის ანდალ ამპატუანის კლანის 3000-მა შეიარაღებულმა მომხრემ ხელისუფლებას დაუმორჩილებლობა გამოუცხადა და პარტიზანულ ბრძოლაზე გადავიდა. გუბერნატორი და მისი შვილი, პროვინციის ერთ-ერთი ქალაქის მერი ანდალ ამპატუან უმცროსი ბრალდებულნი არიან მონიანაღმდემე პოლიტიკური ჯგუფის წარმომადგენლებისგან შემდგარი კორტესის უმოსყალიოდ ამოხოცვაში (დანერგვებით იხილეთ "24 საათის" გუშინდელ ნომერი). პროვინციაში სამხედრო მდგომარეობა მოქმედებს. გუშინ ორმხრივი სროლის რამდენიმე შემთხვევა მოხდა მუნიციპალიტეტ დატუ უნსიში, სადაც ნოემბრის ბოლომდე მერი სწორედ ანდალ ამპატუან-უმცროსი იყო. ოფიციალური მონაცემებით, ის პირადად ხელმძღვანელობდა კონკურენტი პოლიტიკური დაჯგუფების ამოხოცვის "ოპერაციას" 23 ნოემბერს.

მოამზადა ივა შილაკაძე

მარიკა იახვილი

საპრეზიდენტო არჩევნებზე რუმინეთის მოქმედი ლიდერი ტრაიან ბესესკუ ხმათა 50.33 პროცენტს იღებს, მისი მეტოქე "სოციალ-დემოკრატი" მირჩა ჯოანე კი - 49.66 პროცენტს, - ამის შესახებ ქვეყნის ცენტრალურმა საარჩევნო ბიურომ ხმათა 99.95 პროცენტის დათვლის შემდეგ განაცხადა.

კენჭისყრის დამთავრებისთანავე ორივე კანდიდატმა საკუთარი გამარჯვების შესახებ გააკეთა განცხადება - ჯერ ოპოზიციონერმა კანდიდატმა მირჩა ჯოანემ ცნო თავი გამარჯვებულად, მოგვიანებით კი ტრაიან ბესესკუმაც იგივე გააკეთა.

რუმინეთში არჩევნების პირველი ტური 22 ნოემბერს ჩატარდა, თუმცა მაშინ პრეზიდენტობის მთავარმა კანდიდატებმა 50 პროცენტზე ნაკლები ხმა იხარჯეს. მირჩა ჯოანემ დაჯილდოვება დატოვა და პრეზიდენტობა 32.4 პროცენტი მოიპოვა და მთავარ მეტოქეს 1.3 პროცენტით გაასწრო.

ცენტრალური საარჩევნო ბიუროს მონაცემებს ფაქტობრივად ემთხვევა ეგზიტ-პოლების მონაცემები, რომლებიც სოციოლოგიურმა ცენტრებმა ხმის მიცემის დასრულებისთანავე გამოაქვეყნეს. საარჩევნო უზენიდან გამოსული მოქალაქეების გამოკითხვამ აჩვენა, რომ მეტოქეებს შორის სხვაობა ძალიან მცირე იყო. მართალია, იქ ოდნავ მეტი ხმა მირჩა ჯოანეს ჰქონდა, მაგრამ ერთპროცენტზე იყო უზუსტობა ასეთი ტიპის ყველა გამოკითხვაში ჩვეულებრივი ამბავია. ასეთი პატარა განსხვავების დროს კატეგორიულად არაფრის მტკიცება არ შეიძლება.



ტრაიან ბესესკუ

ცხად არ შეიძლება. "გავიმარჯვე. გარნმუნებო, ხმების სწორად დათვლა აჩვენებს, რომ მირჩა ჯოანე დავამარცხე. ჩემმა ამომრჩეველებმა სიმშვიდე უნდა შეინარჩუნონ," - განაცხადა ბესესკუმ.

არჩევნების მეორე ტურის წინა დღეს ჯოანეს მხარდაჭერა პრეზიდენტობის შესამე კანდიდატმა, "ნაციონალურ-ლიბერალური პარტიის" ლიდერმა კრინ ანტონესკუმ გამოუცხადა, რომ მელმაც პირველ ტურში ხმათა 20 პროცენტი მიიღო. ჯოანეს ნდობა გამოუცხადეს რუმინეთში მცხოვრები უნგრელების ორგანიზაციამ და კიდევ ევროენულ უმცირესობათა 17-მა წარმომადგენლობამ.

ჯოანემ პირობა დადო, რომ გამარჯვების შემთხვევაში პრეზიდენტობის მისთვის "ნაციონალ-ლიბერალის", ეთნიკური გერმანელის, ქალაქ სიბიუს მერის კლასის იოჰანისის კანდიდატურას ნამოყენებდა.

ბესესკუ ცნობილია როგორც პრეზიდენტი, რომელმაც ქვეყანა ევროკავშირში შეიყვანა. მისი პოპულარობის კიდევ ერთი მიზეზია კორუფციასთან შეურაცხელი ბრძოლა. ამავე დროს მის მიერ განხორციელებულმა ლიბერალურმა ეკონომიკურმა რეფორმებმა ხალხის ნაწილის უკმაყოფილება და ქუჩებში მასობრივი გამოსვლები გამოიწვია.

რუმინეთს ძლიერი საპარლამენტო ოპოზიცია ჰყავს: 13 ოქტომბერს მან კაბინეტი დაითხოვა და ორჯერ უარყო ბესესკუს მიერ პრემიერის პოსტზე შეთავაზებული კანდიდატი.

ბესესკუსგან განსხვავებით, რომელიც საგარეო პოლიტიკაში ევრო-ატლანტიკურ მიმართულებას უჭერს მხარს, ჯოანე აცხადებს, რომ გამარჯვების შემთხვევაში შეეცდება, ურთიერთობა დაამყაროს ჩინეთთან, ინდოეთთან და რუსეთთან, რომლებსაც "XXI საუკუნის ძა-

ლებად" მიიჩნევენ. ამჟამინდელი საპრეზიდენტო არჩევნები პირველია მას შემდეგ, რაც რუმინეთი ევროკავშირში შევიდა და ასევე პირველი არჩევნებია, რომელიც საპარლამენტო არჩევნებისგან განსხვავებით ჩატარდა, რადგან პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადა 4-დან 5 წლამდე გაიზარდა.

დარეგისტრირებულ ამომრჩეველთა რაოდენობა რუმინეთში 18.3 მილიონ ადამიანს შეადგენდა. მათთვის დილის 7:00 საათიდან 21.7 ათასი საარჩევნო უბანი იყო გახსნილი. არსებული ინფორმაციით, მეორე ტურში ამომრჩეველთა აქტივობა უფრო მაღალი იყო, ვიდრე პირველში. 22 ნოემბერს ხალხი საარჩევნო უბნებზე მათ დახურვამდე ცოტა ხნით ადრე გამოცხადდა.

საარჩევნო კამპანია რუმინეთში ეკონომიკური კრიზისის ფონზე მიმდინარეობდა. მომდევნო პრეზიდენტისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ამოცანა პრემიერ-მინისტრის დანიშვნაა: ოქტომბრის შემდეგ ქვეყანას დროებითი მთავრობა მართავს. ამის გამო საერთაშორისო სავალუტო ფონდმა რუმინეთის ეკონომიკის კრიზისიდან გამოსაყვანად განკუთვნილი კრედიტის ნაწილის გადარიცხვა შეაჩერა. ექსპერტების აზრით, რუმინეთის ევროკავშირში შესვლიდან სამი წლის შემდეგაც კი კორუფცია ქვეყნის მთავარ პრობლემად რჩება.

უკანასკნელი ცნობებით, "სოციალ-დემოკრატი" გაყალბებაზე საუბრობენ, აცხადებენ, რომ ამის დამამტკიცებელი საბუთები აქვთ და არჩევნების შედეგების გასაჩივრებას აპირებენ.

დაბებშილი არაულოზა ათენში

თამთა კახაძე

ათენში კვირას დემონსტრაცია მოეწყო, რომელიც ერთი წლის წინ პოლიციის ოფიცერ ეპამინონდას კორკონეასის მიერ 15 წლის ახალგაზრდის მკვლელობას მიეძღვნა. 2008 წლის 6 დეკემბერს მომხდარ შემთხვევას ახალგაზრდის მასობრივი გამოსვლები მოჰყვა. მოგვიანებით, ექსპერტიზამ დაადგინა, რომ ახალგაზრდა გამაფრთხილებელი გასროლის დროს ასხლექილი ტყვიით დაიღუპა. აღნიშნულ საქმეზე სასამართლო პროცესის დაწყება გაჭიანურდა. პროცესი, სავარაუდოდ, 2010 წელს იანვარში გაიმართება. ორ პოლიციელს მკვლელობის ბრალდება აქვს წაყენებული.

გუშინ ათენის ქუჩებში წესრიგს 6000-ზე მეტი პოლიციელი იცავდა. ხელისუფლება ერთი წლის წინათ მომხდარი არნახული არეულობის განმეორებას შიშობდა. ხელისუფლებამ განაცხადა, რომ ქვეყანაში ძალის გამოყენებას არ მოითმენდა. "ათენის ცენტრში მსგავსი ტიპის ტერორის განმეორებას არ დაგუშვებთ, ათენი ვანდალების ხელში არ აღმოჩნდება," - განაცხადა მინისტრმა მოქალაქეთა დაცვის საკითხებში მიხალის ხრისოხოიდისმა. საბერძნეთის პრემიერმა გეორგოს პაპანდრეუმი ააიარა, რომ ეს ოქმები "გადამწყვეტი მომენტი" უქნება მისი სოციალისტური ხელისუფლებისა და მთლიანად ქვეყნისთვის.



ვის. "ჩვენ ყველამ - მოქალაქეებმა, პოლიტიკოსებმა, პარტიკებმა, სტუდენტებმა - ათენი უნდა დავიცვათ." სამართალდამცავები იმედოვნებდნენ, რომ სიტუაციის გაკონტროლებას ისევე მოახერხებდნენ, როგორც ორი კვირის წინ ყოველწლიური გამოსვლების დროს, რომლებიც ტრადიციულად ძალმომრეობით სრულდება ხოლმე, თუმცა ამჟამად საკმაოდ წყნარად ჩატარდა.

უარესისთვის ემზადებოდნენ საბერძნეთის ქალაქებში მალაზიების მფლობელებიც. მათ საკუთარი დაწესებულებები მეტალის დარბებით დახურეს, თუმცა უმრავლესობა ვარაუდობდა, რომ წელს ყველაფერი უფრო მშვიდად ჩაივლიდა. დაღუპული ალექსანდროს გრიგოლოპულოსს ახლობლები და ნათესავეები კვირას ეკლესიაში შეიკრიბნენ. მათ ხალხს სიმშვიდისკენ მოუწოდეს, თუმცა ქუჩაში გამაჩნდა პლაკატები წარწერით - "ჩვენ არ დავივინებთ, ჩვენ არ ვაპატიებთ."

როგორც მოსალოდნელი იყო, გუშინდელი შეკრება უწესრიგობაში გადაიზარდა. არეულობების "შესავალი" ჯერ კიდევ სამი დღის წინ დაიწყო, პოლიციამ შაბათსვე დააკავა რამდენიმე ათეული აქტივისტი, მათ შორის ხუთი იტალიელი. იმ რაიონში, სადაც შარშან 15 წლის ალქსანდროსი მოკლეს, ავტომობილი დაწვეს. საბერძნეთის დედაქალაქის დასავლეთში დაკავებულ კიდევ 20 ადამიანს ბენზინის კანისტრები, ჩაქუჩები და ნიღბები ჩამოართვეს. ამ დღის დადგომა სტუდენტებმა ქალაქის ათობით

სკოლის და უნივერსიტეტის დაკავებით აღნიშნეს. პოლიცია ქვეყანაში იტალიიდან, საფრანგეთიდან და ევროპის სხვა ქვეყნებიდან 150-მდე ანარქისტის ჩამოსვლას ვარაუდობდა.

პოლიციამ დემონსტრანტების დასაშლელად ცრემლსადენი გაზი გამოიყენა. პროტესტანტები თავის მხრივ სამართალდამცავებს ქვებს ესროდნენ და სანაგვე ყუთებს წვადნენ. კვირას ხალხის მასა ათენის უნივერსიტეტში შევარდა, სახელმწიფო დროშა ჩამოხია და იგი ანარქისტული მოძრაობის ნიშნულ-შავი დროშით შეცვალა. გარკვეულ მომენტში ათენის უნივერსიტეტში ორასობით პროტესტანტი აღმოჩნდა, რომლებიც კიბეებზე მარმარილოს ფილებს ამტვრევდნენ და პოლიციას ესროდნენ. ქალაქის მერის წარმომადგენლის თქმით, უნივერსიტეტის რექტორი თავის ტრამვის გამო საავადმყოფოში გადაიყვანეს.

გარდა ამისა, დემონსტრანტებსა და პოლიციას შორის დაპირისპირება ღამით ათენის პოლიტექნიკურ უნივერსიტეტშიც მოხდა. სალონიკში, რომელიც საბერძნეთში სიდიდით მეორე ქალაქია, დემონსტრანტები პოლიციას ასაფეთქებლებს ესროდნენ და კაფე "სთარბაქსი" დაარბიეს. გარდა ამისა, ხელისუფლების წინააღმდეგ საპროტესტო გამოსვლები ტურისტებს შორის პოპულარულ კუნძულებზე კრეტაზე, კორფუზე და როდოსზეც მოეწყო.

რევოლუ

აღმოსავლური პოეზია ქალაქური ფოლკლორით

იოსებ გრიშაშვილის "100 ლექსის" შესახებ

თამარ ჯიქნაველიძე



გამომცემლობა "ინტელექტის" სერიას, სახელწოდებით "100 ლექსი", კიდევ ერთი პოეტის - იოსებ გრიშაშვილის ლექსების კრებული შეემატა. ახალი წიგნის პრეზენტაცია გაიმართა ავტორის სახელობის ბიბლიოთეკა მუზეუმში, რომელიც, სტუმრებთან ერთად, ისტორიულმა არღანმა და კინტოებმაც გამოაცოცხლეს.

როგორია წიგნი, რომელიც კახმეგ კუდავას საგამომცემლო პროექტის ფარგლებში დაიბეჭდა? მასში თავმოყრილი ლექსების უმრავლესობა იოსებ გრიშაშვილის შემოქმედების თავყვანისმცემლებისთვის ცნობილია. კრებული შეადგინა ნოდარ გრიგორაშვილმა, რომელიც პოეტის შთამომავალი და მისი სახელობის ბიბლიოთეკა-მუზეუმის ხელმძღვანელია.

"იოსებ გრიშაშვილმა უნიკალური გამოცემების შეგროვება 4 წლიდან დაიწყო და 1963 წლამდე არ შეუწყვეტია. აქ დაცულია მრავალმხრივ საინტერესო ლიტერატურა, მათ შორის, მხატვრული, ისტორიული და ეთნოგრაფიული. ასევე, გამოცემები, რომლებიც საქართველოსა და კავკასიაზე, XVIII-XIX საუკუნეების წიგნები, რომლებიც ავტორთა (ალექსანდრე პუშკინის, გავრილ დერჟავინის, ივანე ტურგენივის, ილია ჭავჭავაძის, ივანე მაჩაბლის და ა.შ.) სიცოცხლეშივე დაიბეჭდა. მათ ავტოგრაფებიც ახლავს. აქ ინახება 1910-იანი წლების უიშვიათესი პრესა, ძირითადად სატირულ-იუმორისტული, რომელთა უმრავლესობაც ჩვენი საზოგადოებისთვის უცნობია. ჩვენთან არის ის, რაც ცენზურამ გაანადგურა, ან აკრძალა, მაგალითად: 1907-08 წლებში გამოცემული ალმანახი "ნიანგი", 1913 წლის აკაკი წერეთლის "ჩემი ნაწერები", რომლის პირველ გამოცემაშიც ერთი თაბახი დაეთმო პოემას, სახელწოდებით "ვირონცოვი", რომელიც ამოიღეს და ხელმოკრულად გამოცემეს. ბიბლიოთეკაში სამასამდე წიგნია ისეთი, რომლებიც ბიბლიოგრაფიაში არ არის შეტანილი. ისინი 1629-1920 წლებშია დაბეჭდილი", - გვითხრა ნოდარ გრიგორაშვილმა (იოსებ გრიშაშვილის დის შვილიშვილი), რომელმაც ბიბლიოთეკა-მუზეუმში მუშაობა სკოლის დამთავრებისთანავე დაიწყო. ეს კულტურული კერა ოფიციალურად 1969 წელს, ნიკო მუსხელიშვილმა გახსნა. ახლანდელი ექსპოზიციის ავტორია ავთანდილ ვარაზი. იქ დაცული მასალებით, ქართველების ცარდა, სარგებლობდნენ და სარგებლობენ მკვლევარები გერმანიიდან, ჩეხოსლოვაკიიდან, საფრანგეთიდან, იტალიიდან, კანადიდან და ა.შ.

- ვის დაქვემდებარებაშია მუზეუმი?

- ერთ დროს მეცნიერებათა აკადემიას ეკუთვნოდა, მაგრამ აკადემია გაუქმდა და ახლა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან არსებულ ეროვნულ სამეცნიერო ბიბლიოთეკას ექვემდებარება. ეს უკანასკნელი ბიბლიოთეკა-მუზეუმს ვერც უფლის და ვერც ეხმარება, ამიტომაც გვინდა მისი დაქვემდებარებისგან გათავისუფლდეთ. ამ საქმეში გვერდით გვიდგას მერია, სხვებიც, რომლებსაც სურთ გადავარჩინოთ ის, რაც მართლაც უნიკალურია. უიშვიათესი გამოცემების გარდა, ჩვენთან დაცულია XIX საუკუნის ძველი თბილისის ფოტოები, აფიშები, პროგრამები, ნოტები, გრამფირფიტები, მუსიკალური საკრავების კოლექცია, მემორიალური ნივთები, ხელნაწერი წიგნები და ა.შ. ასეთ მდგომარეობაშია საქართველოს სახლ-მუზეუმების უმრავლესობა. თუმცა, იოსებ გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმში დაცულ მასალას, რომ განსაკუთრებული და დაცვა და გარფთხილება სჭირდება, ფაქტია. ვიმედოვნებთ, რომ თბილისის მერია მის გადარჩენაზე სათანადოდ იზრუნებს.

- რას გვეტყვი კრებულზე, რომელიც თავად შეადგინეთ?

ნოდარ გრიგორაშვილი: - ბიბლიოთეკა-მუზეუმში ცალკე ინახებოდა იოსებ გრიშაშვილის დაუბეჭდავი ლექსები, რომლებიც წლების განმავლობაში არავის უნახავს და ნაუკითხვას. მათ შორის 50 ლექსი პირველად 1992 წელს დაიბეჭდა. ამ ორმოცდაათიდან დაახლოებით 40 შესულია კრებულში "100 ლექსი", რომელშიც ლირიკულის გარდა, მა-

ტი შეითანბარაში", "ქორწილი ჩემს უბანში", "წერილები ბოთლში", "გამოთხოვება ძველ თბილისთან", "გაბზარული გული", "გენიოსების ბედი თბილისის ბაზარზე", "უცხოეთისკენ", "მაგიდა", "ჟამი განხდა", "ნარინჯიანო", "ჩემი აღმართი", "ეპიტაფია", "თბილისი იყო ჩემი ლექსის მასწავლებელი" და ა.შ. მის პოეზიაც ისეთივე გზასაყარია აღმოსავლეთისა და დასავლეთის, როგორც ჩვენი სამშობლო - საქართველო. ამასთან დაკავშირებით პაატა ნაცვლიშვილი აღნიშნავს: "გრიშაშვილის პოეზია საკმაოდ აღმოსავლური სახეებით, აღმოსავლური სიმბოლოებით, მეტაფორებითა და შედარებებით - ვარდებითა და ნარგიზებით, სუმბულებითა და ზამბახებით, მიხაკებითა და სოსნებით, მთვარითა და ვარსკვლავებით, ზურნითა და ქამანჩით, ხავერდითა და აბრეშუმით, გვირისტითა და ბადახშუმით, ბულბულებითა და იადონებით, პეპლებითა და ფარვანებით, მარჯნებითა და სპილოებით, ხოსბებითა და ფარშევანგებით, ლეილუებით, გულნარებით, ზეინაბებითა და ხათუნებით... აი, აღმოსავლური გავლენის ერთი მკაფიო ნიმუში გრიშაშვილის პოეზიიდან:

რა კარგი ხარ, რა კარგი! კობტა, ზღვისფერთვალაზე, თმებზე ღამე გიცინის, პირზე - დღის ბრწყინვალეა.

რა კარგი ხარ, რა კარგი! მუშპარა და მჩქეფარე!

როცა მოკვდები, გენაცვა, ძეგლად გადამეფარე.

სიომ ძლივს ინახულა, სადაც გძინავს, ის ბინა და შენს ტურზე გულნარას ვარდი აბიბინა;

სპილომ ძვლები დაიფშხვნა რამდენიმე წვრილ კბილად და მარჯნებში ჩაგება მარმარილოს ბოროკილად..."

აღმოსავლეთის პარალელურად, პოეტს, როგორც ჩანს, დასავლეთიც იზიდავდა და "ევროპაში გაჭრას" ცდილობდა. ამის სამაგალითოა ბართი, რომელიც იოსებ გრიშაშვილს

1923 წლის 24 მაისს დაუწერია. ეს წერილი ერთ დროს ინახებოდა თამარ და აკაკი პაპავეების არქივში, რომელიც 1997 წელს პაატა ნაცვლიშვილმა არგენტინიდან ჩამოიტანა და დღეს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრშია დაცული. აი, რას წერს იოსებ გრიშაშვილი:

ძვირფასო აკაკი!

როგორ ხარ? მე კი ძაან ქესატად ვარ ორივემხრივ. მოკლედ: მინდა გერმანეთში მოვიდე - თვალს გავაღებ და ამასთანავე ჩემს პოეზიას უფრო მეტი კიდევანობა ექმნება.

აქ ვერც ერთ გაზეთში ლექსი ვერ მივიტანე. ხომ იცი, ჩემი ლექსი უფრო ქალებს დასტრიალებს, ზეკვეყნიურია და შეკვეთით ვერ დავწერე ვერაფერი: "ლომოსი" აღარ გამოდის...

მომწერე საჩქაროდ:

1. შეიძლება თუ არა ჩამოვიდე შენთან? (ბინას დავიდე სამოსთან ან ჭიაურელთან).

2. საგზაო ფულს თან ნამოვიღებ.

3. ხოლო ერთ ლუკმა პურს ნუ დამაყვდრებ და დროებით დამოიბია...

აქ ძალიან ძნელია ვიზის მიღება - ისევ მანდდან მომიხერხე - რომ როგორც სტუდენტი, ენები მინდა ვისწავლო სრ. საქ. მწერალთა კავშირის დადგენილებით.

5. თამარი ისე წავიდა, ისე ქაფურივით გაჰქრა მისი ბრგემოსილობა, რომ ვერაფერი ვერ გამოვატანე: ახალი წიგნები კი (მაგ. აბაშელისა, სანდრო ეულისა და სხვ.) ბევრი გამოვიდა.

6. აკაკი!.. იცოდე ჩემი მომავალი შენზეა დამოკიდებული: მართალია, ბევრს განუხებ მაგრამ მე უფრო მინდა განვითარება: მწყურია ჰორიზონტი. თუ უარს მეტყვი, მერე ინანებთ, მაგრამ გვიან იქნება.

ველი წერილს, მარშრუტის ავანჩავანს (დარიგებას) და ვიზას უსათუოდ. მოელაპარაკე სხვებსაც. შენი სოსო".

იოსებ გრიშაშვილი ევროპაში ვერ წავიდა, მაგრამ პოპულარული

გახდა სამშობლოში. "სხვათა შორის, ეს ლექსი ("რომანსი" - თ.კ.) აკაკი წერეთელს საკუთარი ხელით გადაუწერია და იოსებ გრიშაშვილის საღამოზე წაუკითხულ თავის მოხსენებაში ჩაურთავს 1914 წლის 23 აპრილს. თავისთავად მრავალმნიშვნელოვანი ფესტია პოპულარობის ზენიტში მყოფი მცოვანი პოეტისაგან 25 წლის ყმანელის საიუბილეო (!) საღამოზე მოხსენებით გამოსვლა, ხოლო თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ აკაკის ამის შემდეგ ერთი წელიც აღარ უცოცხლია, შეიძლება ვთქვათ, რომ მან ერთგვარად ესტაფეტა გადასცა გრიშაშვილს, პოპულარობის ესტაფეტა, თუმცა გრიშაშვილი აკაკის სიცოცხლეშიც საკმაოდ პოპულარული იყო. რად ღირს თუნდაც ის ფაქტი, რომ 1910 წელს ქუთაისში გამართულ ილიას ხსოვნის საღამოზე თბილისიდან მხოლოდ ვაჟა-ფშაველა და 21 წლის გრიშაშვილი მიუწვევიათ; აკაკის სიკვდილის შემდეგ კი არცერთ პოეტს არ ღირსებია საქართველოში ისეთი პოპულარობა, როგორც იოსებ გრიშაშვილმა მოიხვეჭა. იყო პერიოდი, როცა მას კვირაში ორ-სამ საღამოს უმართავდნენ, რომელთაც უამრავი ხალხი ესწრებოდა", - წერს პაატა ნაცვლიშვილი, რომელიც საუბრობს მის წარმომავლობაზე, აღმოსავლურ პოეზიასა და ქალაქური ფოლკლორზე ამოზრუნა პოეტზე, კრიტიკოსებზე, რომლებმაც მისი შემოქმედება განიხილეს და კიდევ იმაზე, რაც, თითქოსდა, დავინყებებს მიეცა. "... ბევრმა როდი იცის, რომ ძველი თბილისის ფენომენი და თავად ეს სიტყვაშეთანხმება "ძველი თბილისი" სწორედ იოსებ გრიშაშვილმა შემოიტანა და დაამკვიდრა ქართულ აზროვნებაში. შემთხვევითი არ არის, რომ მისი გაუხუნარი წიგნი "ძველი ტფილისის ლიტერატურული ბოჰემა" ბოლო სამი წლის განმავლობაში სამჯერ გამოიცა - ქართულად თბილისში და ერთხელ - გერმანულად ბერლინში. ბევრმა არ იცის, რომ გრიშაშვილმა შეადგინა "ქალაქური ლექსიკონი", რომელშიც მრავალი ისეთი სიტყვაა, თითქმის ყოველდღე რომ ვხმარობთ და სხვა არც ერთ ლექსიკონში არ არის. ბევრმა უკვე არ იცის, რომ გრიშაშვილის ლექსიდანაა დღეს ასე ხშირად ციტირებული ფრაზა: საქართველო ბეჭედი ბაჯალლო / და თბილისი - შიგ ჩასმული ბადახში. ...დღევანდელმა თაობამ ისიც ნაკლებად იცის, რომ იოსებ გრიშაშვილმა საქართველოს თავისი მრავალმხრივი და მდიდარი შემოქმედების გარდა დიდი მატერიალური განძიც დაუტოვა - ეს გახლავთ მისი უნიკალური ბიბლიოთეკა, რომლის მრავალტომიანი კატალოგი მოცულობით უფრო მეტია, ვიდრე გრიშაშვილის დღემდე გამოცემული ორივე ხუთტომეული ერთად ადგილი და რომელიც იოსებ გრიშაშვილის სხვა კოლექციებთან ერთად მისი სახელობის ბიბლიოთეკა-მუზეუმშია დაცული ძველ თბილისში, პოეტის მშობლიურ უბანში - ხარფუხში", - წერს იოსებ გრიშაშვილის "100 ლექსის" წინასიტყვაობის ავტორი და მოგვინოვებს ამ წიგნით ძველი პოეტი თავიდან აღმოაჩინოთ!

ოპერის თეატრის ახალი პროექტი

თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი შენობის რეკონსტრუქციის პერიოდში იწყებს ახალი პროექტის განხორციელებას. პროექტი გულისხმობს უცხოეთში მოღვაწე ქართველი საოპერო ვარსკვლავების აუდიო და ვიდეო ჩანაწერების მომზადებას. პროექტში მონაწილეობას მიიღებს თეატრის გუნდი და ორკესტრი. ეს საკმაოდ მნიშვნელოვანი და საინტერესო ჩანაწერია, რადგან შეიქმნება ქართველ მომღერალთა ღირებული, მაღალხარისხიანი ორიგინალური ჩანაწერები.

პროექტის "პირველი მერცხალი" გამოჩენილი მომღერალი ლადო ათანელია. იგი თეატრის გუნდთან და ორკესტრთან ერთად დავით მუქერიას დირიჟორობით 9-10 დეკემბერს ჩაწერს ცნობილი ქართველი კომპოზიტორების 3 სიმღერას - რევაზ ლალიას "ჰიმნი ქუთაისს", ნოდარ გაბუნას "ჩემი ციკლის ვარსკვლავი ხარ" და იაკობ ბობოხიძის "სიმღერას საქართველოზე".

პროექტის ფარგლებში ეტაპობრივად ჩაფიქრებულია პაატა ბურჭულაძის, თამარ ჯავახიშვილის, იანო ალიბეგაშვილის, ზურაბ სოტიკლავას, მაცყვალა ქასრაშვილის, გიორგი ვაგნიძის, ეთერ და ნათო ჭყონიძის და სხვა ქართველი ვარსკვლავების ჩანაწერების შექმნა. **"24 საათი"**.

საქართველოს ეროვნული მუზეუმი "ტიპიანი ჰოლდინგთან" პარტნიორობის შესახებ მემორანდუმს აფორმებს

დღეს 16.00 საათზე საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორიაში, საზეიმო ვითარებაში, ხელი მოეწერება პარტნიორობის მემორანდუმს საქართველოს ეროვნულ მუზეუმსა და "ჯიპიაი ჰოლდინგს" შორის.

აღნიშნული პარტნიორობის პირველი პროექტი გახლავთ დმანისში აღმოჩენილი 1.8 მილიონი წლით დათარიღებული ჰომინიდის ექსპონატი ნიდერლანდების ბუნების ისტორიის ნაციონალურ მუზეუმში.

გამოფენაზე სახელწოდებით **"The face of human evolution"** წარმოდგენილია დმანისში 2001 წელს აღმოჩენილი ჰომინიდის თავის ქალა და ქვედა ყბა.

ნიდერლანდების ბუნების ისტორიის მუზეუმი ერთ-ერთი უძველესია ევროპაში. დმანისში აღმოჩენილი თავის ქალის ტრანსპორტირებას პრეპარატორებიდანვე ადევნებდა თვალყურს. მუზეუმში ამ ექსპონატისთვის საბატიო ადგილი გამოიყო, რომელიც სპეციალურად აღიჭურვა შესაბამისი თვალსაჩინო მასალით დამთვალაიერებლებისთვის.

გახსნის დღიდან ექსპონატი 2,000-ზე მეტმა ვიზიტორმა დაათვალიერა. დამთვალიერებელთა ნაკადი დღესაც არ წყდება.

დმანისის ძველი საერთაშორისო წრეებისათვის კარგად ცნობილია, როგორც მილონ რვა ასი ათასი წლის წინანდელი ჰომინიდებისა და ცხოველების განამარხებული ნაშთების სიუხვით გამორჩეული ადგილი. მსოფლიოს არც ერთ ძველზე ჰომინიდების ადენი ნაშთი ერთ შრეში არ აღმოჩენილა. დმანისის აღმოჩენებმა სრულიად შეცვალა მანამდე დამკვიდრებული მოსაზრება ჰომინიდების აფრიკიდან ევრაზიაში განსახლების შესახებ.

ჰოლანდიაში გამოფენის გახსნას მიეძღვნა სიმპოზიუმი ადამიანის ევოლუციის შესახებ.

ექსპონატი 2010 წლის 28 თებერვლამდე გაგრძელდება. **"24 საათი"**

"საახალწლო მუსიკალური შეხვედრები"

13 - 29 დეკემბერს თბილისში ტარდება XII საერთაშორისო ფესტივალი ("საახალწლო მუსიკალური შეხვედრები"), რომელიც საქართველოს მუსიკალური ცხოვრების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მოვლენაა. ფესტივალზე თავს მოიყრიან სახელგანთქმული მუსიკოსები და საზღვარგარეთ მცხოვრები წარმატებული ქართველი შემსრულებლები.

1997 წელს, კონსერვატორიის რექტორის, პროფ. მანანა დოჯვაშვილის ინიციატივით დაარსდა ფესტივალი - "საახალწლო მუსიკალური შეხვედრები". იგი ყოველწლიურად იმართება კონსერვატორიის დიდ დარბაზში, დეკემბრის მეორე ნახევარში და ორი კვირა გრძელდება. ფესტივალი არის შესანიშნავი საჩუქარი მუსიკის მოყვარულებისა და პროფესიონალებისთვის. 12 წლის მანძილზე "საახალწლო მუსიკალური შეხვედრებში" მონაწილეობა მიიღო არაერთმა გამოჩენილმა კომპოზიტორმა, შემსრულებელმა, თუ კოლექტივმა: გია ყანჩელმა, დიმიტრი ბაქურიძემ, ელენე ობრაზცოვამ, ალექსანდრე კორსანტიამ, ლიანა ისაკაძემ, ლევ მარკიზმა, ვლადიმერ სპოვაკოვმა, პაატა ბურჭულაძემ, იანო ალიბეგაშვილმა, ლიზა ლეონსკაიამ, ოლეგ მაიზენბერგმა, ანდრე პულემ, ფრანსუა ლოლომ, ლეონიდ ჩიჟიკმა, ბილი კობემა, სიმეონამა კვარტეტმა "იზაი", ევროკავშირის კამერულმა ორკესტრმა და სხვ.

წლებიდან ფესტივალი ტრადიციულად მრავალფეროვანია: ქართველ მემკვიდრეებზე შეხვედრებთან მსოფლიოში აღიარებულ ისეთ შემსრულებლებს როგორცაა: მაცყვალა ქასრაშვილი, ბადრი მაისურაძე, ქეთევან ქემოკლიძე, ეთერ მგალობლიშვილი, ლიზა ლეონსკაია, გიორგი ბაბუაძე, ნოდარ ანდლუაძის და აღნიშნავენ მის დაბადების დღეს მაცხოვრებელს და მის მეგობრებთან ერთად; ტრადიციულად ფესტივალზე ერთი კონცერტი ეთმობა ფოლკლორულ მუსიკას - წელს კონცერტს გამართავს ანსამბლი "სახიობა" მალხაზ ერქვანიძის ხელძღვანელობით; გამოჩენილი კომპოზიტორების ი.პაიდინის და ფ.მენდელსონის საიუბილეო თარიღს (200 წელი დაბადებიდან) ეძღვნება კონსერვატორიის სტუდენტური ორკესტრის კონცერტი, დირიჟორ გიორგი ბაბუაძის ხელმძღვანელობით. ფესტივალი ტარდება საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით. **"24 საათი"**.

ოთხშაბათიდან ორშაბათამდე კვირის რატივლით

თანამედროვე ხელოვნების გამოფენა Never on Sunday თბილისში

იქიძე ბარბაქ

2-7 დეკემბრის განმავლობაში თბილისში ჩატარდა თანამედროვე ხელოვნების გამოფენა **Never on Sunday** (არასოდეს კვირას). ქალაქის სხვადასხვა ადგილებში თითქმის ყოველი დღე დათმობდა ხელოვნების აქციებს, კონცერტებს, ლექციებს. თითქმის იმიტომ, რომ პროგრამით დაანონსებული რამდენიმე პროექტი ვერ შედგა ორგანიზაციული ნაკლოვანებების გამო. თუმცა, დამთვალიერებელმა მაინც შეძლო გაცნობობა თანამედროვე პერფორმანსის ნიმუშებს, სკულპტურას, პუბლიკაციებს ხელოვნების საკითხებზე და დასწრებლად სხვადასხვა პრეზენტაციას.

ჩატარდა გასვლითი ვიზიტი გუდაურში და ერთიც... "ვარკეთილი, მე-4 მიკრორაიონი, მესამე კორპუსი, შენობა 425". ვინაიდან, მისამართის სტილი დაცულია, ალბათ მიხვდებით, რომ ამ უკანასკნელ აქციაზე მაცურებლის მოსალოდნელი ნაკლებობა მონაწილე არტისტების ქარბი რაოდენობით იქნებოდა შევსებული. რაც შეეხება კვირადღეს, გამოფენის სათაურის ანტიგოროლოგიის მიუხედავად ("არასოდეს კვირას"), მოვლენებით მაინც ერთ-ერთი ყველაზე დატვირთული გამოდგა.

ხარფუხიდან აშპაშხანისკენ

ალბათ, თბილისში ბევრმა არ იცის იოსებ გრიშაშვილის სახლ-მუზეუმის ადგილმდებარეობა. მაგრამ, ყველა ხარფუხელისათვის ეს მუზეუმი უზნის ნამდვილი სიამაყეა. შეიძლება, ალგეთის ქუჩა (სახლ-მუზეუმის მისამართი) უცებ ვერ გაიხსენონ, მაგრამ სოსო გრიშაშვილის სახლის გაგონებაზე სიამოვნებით მიგასწავლიან ვახსიძე თბილისელი პოეტის მოდერნიზებული სახლისაკენ.

"აი, ხალხი რო დგას რა" - ბოლოს აზერბაიჯანელმა ბიჭმა მიმითია და ასე ამოყვავი თავი ოთხშაბათს, 2 დეკემბერს, თანამედროვე ხელოვნების გამოფენა **Never on Sunday**-ის პირველ აქციაზე, რომელსაც იოსებ გრიშაშვილის სახლ-მუზეუმმა და ბებლითეკამ უმასპინძლა.

თანამედროვე ხელოვნებაზე განწყობილი ადამიანების დასარწმუნებლად მინდა ვთქვა, რომ სხვა თუ არაფერი, ერთი კარგი უპირატესობა მაინც ახასიათებს არტის, ასევე გამომოსახველობით ფორმებს" : დღეს, გალერეის კედლებიდან თავდადებული ხელოვნება გამოფენებს მართავს ისეთ ადგილებში, რომლებიც თავისთავად შეიძლება საინტერესო აღმოჩნდეს მნახველისათვის ეგ ზოტიკურობის, ისტორიულობის ან თუნდაც "მე-4 მიკრორაიონის მესამე კორპუსის" არტისგორცედე წარმოდგენის თვალსაზრისით.

ამიტომ, პროექტის მხარდამჭერებს: **Art Council Switzelend** და **Kultur Basel-stadt**- ს ბარემ აქვე მოვიმადლიერებ. მათი დამსხურება, რომ 2 დეკემბრის აქციაზე მისულ დამთვალიერებელს ერთბაშად მოკლე ტურისტული ექსკურსიაც გამოუვიდა თბილისის ძველ უბანში, ჩაიც "ხარფუხულად" დააგემოვნა და

პერფორმანსში მონაწილეობითაც გაერთო. ნუ გაგიკვირდებათ; თანამედროვე ხელოვნების პრინციპებიდან გამომდინარე, ყველა ამ "შუესაბამობას" ერთი საერთო კონტექსტი აქვს: არტი, როგორც ცხოვრების გაზუსტოვანი ნაწილი.

60-იანი წლების მოდერნის სტილში გადწყვეტილი სოსო გრიშაშვილის სახლ-მუზეუმში, რომლის დაპროექტებაში ავთო ვარაზსაც მიუღია მონაწილეობა, პარიზში გამომაველი ქართული ჩაის (**Mariage Freres**) აქციით შეგვეგება. თბილისური ჩაისხანების ტრადიციის გარდა, ასოციაცია შეიძლება ქართულ-საბჭოურ წარმოდგენებზეც გავჩენოდათ, როდესაც ვერაფრით გაგვერკვია **Mariage** ფრანგული სიყვარული იყო თუ თბილისური მარიაჟობა.

პროგრამაში მითითებულ 4 საათს გვარიანად გადაშორებული იყო, მაგრამ პოეზიის საღამოს და კონცერტის დაწყება მაინც ჭიანჭურდებოდა. მანამდე კიდევ ერთი აქციის მოლოდინში ვიყავით: პროექტის ერთ-ერთი კურატორი თუა ტაბატაძე პრეზენტაციას გვპირდებოდა. სახელდობრ რის პრეზენტაციას? ამის შესახებ, ისედაც ხარფუხებით შედგენილი გამოფენის პროგრამა, რატომღაც მრავალმნიშვნელოვნად დუმდა.

დაგვიანების მიზეზი კი როგორც იქნა გაიკვია: შეგვატყობინეს, რომ იაპონელი არტისტი ეი არაკავა უიმედოდ გაჩხერილიყო რომელიღაც ქუჩის "საცობში". სხვისა რა მოგახსენოთ, მაგრამ, ამ ინციდენტმა მე პირადად დამარწმუნა, რომ ეი არაკავა ჭეშმარიტი არტისტი და არა "პროპკა". თუ გავითვალისწინებთ, რომ შემოქმედებით პროცესს ხშირად ახლავს მაგიური ნიუანსები, მაშინ ეს შემთხვევაც საერთო კონტექსტის ნაწილად შეიძლება იქნას მოაზრებული. კერძოდ, მომაბეზრებელი ლოდინის მაგივრად, ალგეთის 1-ში შეკრებილმა დამთვალიერებელმა იაპონელის შეფერხებით შესანიშნავად ისარგებლა და ყურადღებით გაეცნო ქართული ლიტერატურის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე კოლორიტული პოეტის ცხოვრებისა და შემოქმედების ფაქტებს.

გიდობას იოსებ გრიშაშვილის ნათესავი, ბატონი ნოდარი გვიწვედა. მისი კოლეგებისგან განსხვავებით, ბატონი ნოდართან ურთიერთობა გაცილებით საინტერესო იყო, ვინაიდან მას კარგად ახსოვდა როგორც პოეტი, ასევე სურათებზე ასახული ბევრი პიროვნება და მოვლენა. ამიტომ, მის მიერ გადმოცემულ ფაქტებს მსმენელიც საოცრად ცხადად აღიქვამდა. რაც შეეხება გრიშაშვილის ცნობილ ბიბლიოთეკას, ალბათ, პოეტი საფლავში გადატრიალებოდა ასეთი ხალხმრავლობის შესახებ რომ გაეგო მის უნიკალურ წიგნსაცავში.

ეი არაკავამ გამოფენის ოფიციალური პლაკატის გაკერის პროცედურას მოუსწრო და შესაბამისად თუა ტაბატაძის პრეზენტაციასაც. უნდა აღინიშნოს, რომ პლაკატის ყვითელ ფონზე დადასტურებული მანერით შესრულებულმა წარწერებმა პრეზენტაციის თემა ნაწილობრივ საცნაური გახადა. მუზეუმის პირველ დარბაზში, მრგვალი მაგიდის ირგვლივ შეკრებილი საზო-



გადოების წინაშე თუა ტაბატაძე რიგრიგობით ალაგებდა მე-20 საუკუნის 10-20-იანი წლების ქართული დადაიზმისა და ფუტურიზმის გრიშაშვილთან დაცული ექსპონატების ნიმუშებს. წარმოდგენილი იყო იმდროინდელი ავანგარდის პერიოდული გამოცემები, ცალკეული არტისტებისა და შემოქმედებითი ჯგუფების კრებულები. ხელიდან ხელში გადადიოდა პატარა, სტაფილოსფერი ბუკლეტი, ქართული დადაიზმის ფუტემდებლის ილია ზდანევიჩის (ილიაზღი) ავტორობით. საინტერესო იყო ქართველი ფუტურისტების 1924 წელს გამოცემული მანიფესტი. ზოგადად, ფუტურიზმის კონსფორმისტული ბუნებიდან გამომდინარე, ეს მანიფესტიც იმდროინდელი საბჭოთა ხელისუფლებასთან ლოიალური დამოკიდებულებით გამოირჩეოდა. როგორც ავგისსენს, წელს ნიუ იორკში გამართულ ქართული ავანგარდის გამოფენაზე, იოსებ გრიშაშვილის სახლ-მუზეუმთანაც იყო წარმოდგენილი მასალები ფოტოასლების სახით.

არ ვიცი, შემთხვევითობა იყო თუ არა, აქციის ორგანიზატორებმა ქართული ავანგარდიზმის შემდეგ "პარნასი" შვეიცარიის წარმომადგენელ არტისტს, დანიელ ბაუმანს დაუთმეს. შევიცარია ხომ დადაიზმის სამშობლო ითვლება, სადაც 1916 წელს პირველად დაფიქსირდა ამ რეგოლუციური მიმართულების შესახებ.

ალბათ დადაისტების "დანანევრებული" შემოქმედებით ის-პირიერებულმა, დანიელ ბაუმანმა თავისი გვიანდელი მოღვაწეობის ნიმუშები გაიხსენა, რომლებიც აბსურდულ თუ "შვეიცარიულივით" უნივერსალურ ენაზე შედგენილი და საუნდ-პოეზიის მაგალითებს წარმოადგენენ.

პოეზიის საღამოს შემდეგ სერგეი ტჩერეპნინისა და ეი არაკავას მუსიკალურ-ინტერაქტიული პერფორმანსის დრო დადგა, რომელიც პროგრამაში კონცერტის სახით იყო დაანონსებული.

არტისტებმა შეკრებილი საზოგადოება ორ ნაწილად გაყვეს. აკორდეონით აღჭურვილმა სერგეი ტჩერეპნინმა სამი მოხალისე აირჩია და დანარჩენი მაცურებელი ენერგიულ იაპონელს შეატოვა. არაკავა კი ისეთი გულმოდგინებით ეძებდა პერფორმანსისათვის საჭირო წამშობიან საათს დამთვალიერებლებს შორის, რომ თავისი დაგვიანების შესახებ ერთი წუთითაც არ გახსენებია. როგორც იქნა საათიც მოვიძიეთ. მერე წამშობი ჩაი-

თო და თამაშიც დიწყო.

მუზეუმის ორი დარბაზის გამართიანებული დერეფანის ერთ ბოლოში განვლავდით და ტჩერეპნინიც უკან სვლით დაიძრა თავის ასისტენტებთან ერთად, თან აკორდეონს ახმიანებდა დაბალი, მონოტონური მელოდიით. ჩია იაპონელის ზურგს ამოფარებული მონაწილეები კი ცალი თვალით ხან წამშობში ვიჭყიტებოდით, ხანაც ტჩერეპნინის "პარმონიული" კვარტეტის წელ მოძრაობას ვაკვირდებოდით. ფეხის ყოველ გადადგმავზე, მუსიკოსი იაპონელი "დირიჟორის" ნიშანზე მცირედ მაღლა სწევდა ტონალობას, თორემ მელოდიას იგივეს ტოვებდა. ასე რომ, საკმაოდ გრძელი დერეფნის ბოლოდანაც კი მუსიკა ისეთივე დიაპაზონით გვესმოდა როგორც დასაწყისში. მერე დანარჩენების მოქმედების დროც დადგა და არაკავას მეთაურობით ჩვენც დავიწყეთ იდუმალი მსვლელობა მუსიკის მიმართულებით. მეჩვენებოდა, რომ ამ უცნაური პროცესით გაკვირვებას მარტო ჩვენი მასპინძელი ბატონი ნოდარი კი არა, მუზეუმის კედლებიდან მომზირალი ძველი თბილისური ტიპებიც გამოხსატავდნენ. ერთადერთი სოსო გრიშაშვილი ინარჩუნებდა ირონიულ ლიმბს და გვაგრძობინებდა, რომ მიუხედავად ყველაფრისა აქაურობის ბატონ-პატრონი მარტო თვითონ იყო.

ის ის იყო ტჩერეპნინის ჯგუფის მიუზანტოვით და გვეგონა, რომ ამითაც დავამთვრებდით, მაგრამ აკორდეონიანი კვარტეტი მოულოდნელად გავიხსლტა ხელიდან ისევ იმავე გზით, იგივე მელოდიითა და მოძრაობით გაგვმოძრადა. ამასობაში, არაკავას შემადგენლობამ გადაჯგუფება მოვახდინეთ და დერეფნის პარალელურად კედლთან დავიკავეთ ადგილი. აქედან კარგად ვაკვირდებოდით თჩერეპნინის გადაადგილებას, რომელიც ახლა გვერდულად მოძრაობდა და მუსიკაც განსხვავებული, უფრო ირონიული ინტერპრეტაციით ისმოდა. თითქოს დაგვეციონდა, თავის დაკარგულზე რომ ასე ადვილად გვათამაშებდა. უხ, ის პატარა "სამურაი" არ მიშვებდა, თორემ...

პერფორმანსის ბოლოს ჭეშმარიტად ქართული ამბავი მოხდა. "თხა თხზე ნაკლებიო..." ალბათ ბატონმა ოთარმა იფიქრა და აქამდე შემუშნეველი, კუთხეში მდგარი ძველი არღანი ტვილი-სურ ჰანგებზე მომართა. სურათს სრულყოფილებისათვის კიტრი, მწვანილი და ჭიქა ღვინო აკლდა, თორემ, სხვა მხრივ, აქამდე პასიურ რომღი მყოფი აუდიტორია მდგომარეობას მთლიანად აკონტროლებდა.

როგორც ავღნიშნე, აქციები მომდევნო დღეებშიც გაგრძელდა. ამჯერად, სოსო გრიშაშვილის მასპინძლობით კმაყოფილები, მისივე ცნობილი ლექსის მიხედვით გავეყვეთ ახალი კულტურული მოვლენისაკენ ვახს: აშპაშხანასთან ერთი დაღმართიც ჩავიაროთ და "ერთ ნაპირზე მოქიფე ორი ნაჯიბგირალი" თუ არ შეგვიპატივებს, მაშინ მშვიდად შევეუერთდეთ **Never on Sunday**-ის აბანოთუბანში გასამართ მორიგ აქციას.

ბაბრქალაა იხილით ვადავა ნოზაროი.

ბანცხალვა ტენდერის ჩატარების შესახებ

საქართველოს შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი აცხადებს 18 (თრამეტი) ლოტად დაყოფილ საერთაშორისო ტენდერს დეპარტამენტის ბალანსზე არსებული ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური მომსახურების (სერვისის) შესყიდვაზე და იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

1. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურში, რომლის რეკვიზიტებია: სახელმწიფო ხაზინა, კოდი: 220101222, სახაზინო კოდი: 302003174, ანგარიშსწორების ანგარიში №200122900, მიუთითონ საქართველოს შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სატენდერო მოსაკრებელი, კონკრეტული შესყიდვის დასახელებით და წარმოადგინონ თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი, შემდეგ მისამართზე, ქ. თბილისი კახეთის გზატკეცილი №38 (შესყიდვების ორგანიზების ქ/განყოფილება), რის შემდგომაც გადაეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია. დაინტერესებულ პირებს სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შეუძლიათ განცხადების გამოქვეყნების დღიდან 10:00 – 18:00 საათამდე ყოველ დღე 2009 წლის 26 დეკემბრის ჩათვლით.

2. გასაწვევი მომსახურების ჩამონათვალი:

ლოტი №	პოზიცია №	ავტოსატრანსპორტო საშუალებების დასახელება მოდელის მიხედვით	განზ. ერთეული	რაოდენობა	მომსახურების დასახელება
1	2	3	4	5	6
I	1	შკოდა 1.6 MFI 2009	ერთ.	8	ტექნიკური მომსახურება (სერვისი)
II	1	შკოდა 1.6 FSI	ერთ.	66	
III	1	შკოდა 1.8 TSI	ერთ.	98	
IV	1	შკოდა 2.0 FSI	ერთ.	92	
V	1	შკოდა 2.0	ერთ.	25	
VI	1	ფოლკსვაგენი პასატი 1.8 TSI B6	ერთ.	5	
	2	ფოლკსვაგენი პასატი 2.0 B5	ერთ.	6	
	3	ფოლკსვაგენი პასატი 2.0 4X4	ერთ.	22	
	4	ფოლკსვაგენი პასატი B6 FSI 2.0	ერთ.	2	
VII	1	ფოლკსვაგენი ჯეტა	ერთ.	30	
VIII	1	ფოლკსვაგენი გოლფი III	ერთ.	1	
	2	ფოლკსვაგენი გოლფი IV	ერთ.	1	
IX	1	პორშე კაიანი	ერთ.	1	
X	1	შვედოლფ ნივა	ერთ.	23	
	2	ვაზ 2121 "ნივა"	ერთ.	1	
XI	1	უაზი 3151	ერთ.	1	
XII	1	ნისანი "NAVARA"	ერთ.	24	
XIII	1	ტოიოტა "CAMRY"	ერთ.	4	
	2	ტოიოტა "COROLA"	ერთ.	3	
	3	ტოიოტა "HAYESI"	ერთ.	2	
	4	ტოიოტა "Hi-lux "	ერთ.	3	
	5	ტოიოტა "PRADO"	ერთ.	1	
	6	ტოიოტა "LC 200"	ერთ.	1	
	7	ტოიოტა "LC" 1999	ერთ.	1	
	8	ჯიპი "ლექსუსი "RX 330"	ერთ.	1	
XIV	1	სუბარუ იმპრეზა 2009	ერთ.	1	
XV	1	პიუნდაი ტუქსონი	ერთ.	1	
XVI	1	BMW X5 ჯიპი 2003	ერთ.	1	
	2	BMW 730 D სედანი 2003	ერთ.	1	
XVII	1	მერსედესი ML-320	ერთ.	1	
	2	მერსედესი სმარტი	ერთ.	1	

3	მერსედესი CLK-320	ერთ.	1	
4	მერსედესი - 124	ერთ.	3	
XVIII	1	ოპელი ვექტრა C	ერთ.	1
	2	ოპელი ასტრა 2008	ერთ.	1
	3	მიკროავტობუსი "მერსედესი"	ერთ.	1
	4	მიკროავტობუსი "მერსედესი ვიტო"	ერთ.	1
	5	ფორდ ტრანზიტი	ერთ.	6
	6	ავტობუსი " ზონდა "	ერთ.	1
	7	ავტობუსი "ივეკო"	ერთ.	2

3. გასაწვევი მომსახურების ვადები: ხელშეკრულების გაფორმებიდან 2010 წლის ბოლომდე.
4. პრეტენდენტმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე, ერთი დასაშვად კონვერტით უნდა წარმოადგინოს ორ ვაჭმელად (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) 2009 წლის 27 დეკემბერს 14:30 საათამდე, მისამართზე: ქ.თბილისი, კახეთის გზატკეცილი №38 (შესყიდვების ორგანიზების ქ/განყოფილება). სატენდერო წინადადებისა და საკვალიფიკაციო მონაცემების კონვერტების გასხნა განხორციელდება 2009 წლის 27 დეკემბერს 14:30 საათზე.
5. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

- **იურიდიული პირებისთვის:**
 - ა) ცნობა საჯარო რეესტრიდან, ქონებაზე ყადაღის არ არსებობის შესახებ; (მოქმედების ვადა არა უმეტეს 5 სამუშაო დღისა)
 - ბ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან (მოქმედების ვადა არა უმეტეს 5 სამუშაო დღისა)
 - გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არ არსებობის შესახებ. (მოქმედების ვადა არა უმეტეს 10 სამუშაო დღისა)
 - დ) ცნობა სასამართლოდან, მასზე რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება. (მოქმედების ვადა არაუმეტეს 10 სამუშაო დღისა)

- **ფიზიკური პირებისთვის:**
 - ა) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება. (მოქმედების ვადა არაუმეტეს 10 სამუშაო დღისა)
 - ბ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არ არსებობის შესახებ. (მოქმედების ვადა არა უმეტეს 10 სამუშაო დღისა)
 - გ) ცნობა მისი ქმედუნარიანობის შესახებ (ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი დაწესებულებიდან მოქმედების ვადა არა უმეტეს 20 სამუშაო დღისა)

- **როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირებისთვის:**
 - ა) სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს პრეტენდენტის დასახელებას, იურიდიულ მისამართს, ტელეფონ/ფაქსი, საბანკო რეკვიზიტებს, ხელმძღვანელის სახელს, გვარს.
 - ბ) სუბკონტრაქტორის არსებობის შემთხვევაში წარმოდგინდეს უნდა იქნეს სუბკონტრაქტორის საკვალიფიკაციო მონაცემებიც.

შენიშვნა:
- არარეზიდენტმა იურიდიულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოებიდან ქართულ ენაზე ნოტარიულად დამოწმებული თარგმანის სახით.

- ზემოთ ჩამოთვლილი საკვალიფიკაციო მონაცემები შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება.
6. პრეტენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციისა და სატენდერო განცხადების მოთხოვნებს.

- ტენდერის შედეგად შესაძლებელია გამოვლინდეს ერთი ან რამდენიმე გამარჯვებული.
- სავალდებულოა წარმოდგენილი იქნას სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია, სატენდერო წინადადების ღირებულების 1% ოდენობით.
- პრეტენდენტის გამარჯვების შემთხვევაში სავალდებულოა წარმოდგენილ იქნას ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია ხელშეკრულების ღირებულების 2%-ის ოდენობით.
- დაფინანსების წყარო – სახელმწიფო ბიუჯეტი.
- პრეტენდენტებს შეუძლიათ გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე, ზემოთ მითითებულ მისამართზე.
- დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისგან: გიორგი მაღლაკელიძე, ტელ: 41 87 13, 877 77 32 22; გიორგი ახალმოსულიშვილი 877 99 51 59

სატენდერო კომისია

ბანცხალვა ტენდერის ჩატარების შესახებ

საქართველოს შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი აცხადებს 2 (ორი) ლოტად დაყოფილ ტენდერს სხვადასხვა პარამეტრების მქონე იმუნოპროტექტორების შესყიდვაზე და იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

1. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურში, რომლის რეკვიზიტებია: სახელმწიფო ხაზინა, კოდი: 220101222, სახაზინო კოდი: 302003174, ანგარიშსწორების ანგარიში №200122900, მიუთითონ საქართველოს შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სატენდერო მოსაკრებელი, კონკრეტული შესყიდვის დასახელებით და წარმოადგინონ თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი, შემდეგ მისამართზე, ქ. თბილისი კახეთის გზატკეცილი №38 (შესყიდვების ორგანიზების ქ/განყოფილება), რის შემდგომაც გადაეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია. დაინტერესებულ პირებს სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შეუძლიათ განცხადების გამოქვეყნების დღიდან 10:00 – 18:00 საათამდე ყოველ დღე 2009 წლის 26 დეკემბრის ჩათვლით.

2. მისაწოდებელი საქონლის ჩამონათვალი:

ლოტი №	პოზიცია №	საქონლის დასახელება	განზ. ერთეული	რაოდენობა ან მოცულობა	მიწოდების ადგილი
1	2	3	4	5	6
I	1	სამპარამეტრიანი იმუნოპროტექტორი	ცალი	40000	შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის საწვობი, ქ. თბილისი, ქიხიის ქ. №5
II	1	კანაბინოიდების დასაღვანი ტესტი	ცალი	1000	
	2	ოპიუმის ჯგუფის დასაღვანი ტესტი	ცალი	1000	
	3	ბუპრენორფინის დასაღვანი ტესტი	ცალი	1000	
	4	მეტადონის დასაღვანი ტესტი	ცალი	38000	
	5	კოკაინის დასაღვანი ტესტი	ცალი	37000	
	6	ამფეტამინის დასაღვანი ტესტი	ცალი	37000	
	7	ბენზოდიაზეპინების დასაღვანი ტესტი	ცალი	35000	
	8	მეტამფეტამინების დასაღვანი ტესტი	ცალი	40000	

- მიწოდების ვადები: მიწოდების ვადები შემოთავაზებული უნდა იქნას პრეტენდენტის მიერ, მიწოდების ვადები გათვალისწინებული იქნება შეფასების დროს.
- პრეტენდენტმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე, ერთი დასაშვად კონვერტით უნდა წარმოადგინოს ორ ვაჭმელად (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) 2009 წლის 27 დეკემბერს 11:00 საათამდე, მისამართზე: ქ.თბილისი, კახეთის გზატკეცილი №38 (შესყიდვების ორგანიზების ქ/განყოფილება). სატენდერო წინადადებისა და საკვალიფიკაციო მონაცემების კონვერტების გასხნა განხორციელდება 2009 წლის 27 დეკემბერს 11:00 საათზე.
- საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

- **იურიდიული პირებისთვის:**
 - ა) ცნობა საჯარო რეესტრიდან, ქონებაზე ყადაღის არ არსებობის შესახებ; (მოქმედების ვადა არა უმეტეს 5 სამუშაო დღისა)
 - ბ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან (მოქმედების ვადა არა უმეტეს 5 სამუშაო დღისა)
 - გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არ არსებობის შესახებ. (მოქმედების ვადა არა უმეტეს 10 სამუშაო დღისა)
 - დ) ცნობა სასამართლოდან, მასზე რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება. (მოქმედების ვადა არაუმეტეს 10 სამუშაო დღისა)

- **ფიზიკური პირებისთვის:**
 - ა) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება. (მოქმედების ვადა არაუმეტეს 10 სამუშაო დღისა)
 - ბ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არ არსებობის შესახებ. (მოქმედების ვადა არა უმეტეს 10 სამუშაო დღისა)
 - გ) ცნობა მისი ქმედუნარიანობის შესახებ (ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი დაწესებულებიდან მოქმედების ვადა არა უმეტეს 20 სამუშაო დღისა)

- **როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირებისთვის:**
 - ა) სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს პრეტენდენტის დასახელებას, იურიდიულ მისამართს, ტელეფონ/ფაქსი, საბანკო რეკვიზიტებს, ხელმძღვანელის სახელს, გვარს.
 - ბ) სავალდებულოა წარმოდგენილი იქნეს შემოთავაზებული საქონლის ნიმუშები, აგრეთვე წარმოებისა და ხარისხის დამადასტურებელი სერთიფიკატები.

შენიშვნა: ზემოთ ჩამოთვლილი საკვალიფიკაციო მონაცემები შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება.
6. პრეტენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციისა და სატენდერო განცხადების მოთხოვნებს.
7. ტენდერის შედეგად შესაძლებელია გამოვლინდეს ერთი ან რამდენიმე გამარჯვებული.
8. სავალდებულოა წარმოდგენილი იქნას სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია, სატენდერო წინადადების ღირებულების 1% ოდენობით.
9. პრეტენდენტის გამარჯვების შემთხვევაში სავალდებულოა წარმოდგენილ იქნას ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია ხელშეკრულების ღირებულების 2%-ის ოდენობით.
10. დაფინანსების წყარო – სახელმწიფო ბიუჯეტი.
11. პრეტენდენტებს შეუძლიათ გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე, ზემოთ მითითებულ მისამართზე.
12. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისგან: გიორგი მაღლაკელიძე, ტელ: 41 87 13, 877 77 32 22; გიორგი ახალმოსულიშვილი 877 99 51 59

სატენდერო კომისია

ბანცხალება ტენდერის ჩატარების შესახებ

საქართველოს შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი აცხადებს 3 (სამი) ლოტად დაყოფილ ტენდერს ქიმიური რეაქტივების შესყიდვაზე და იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

1. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გადაიხადონ სატენდერო მისაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურში, რომლის რეკვიზიტებია: სახელმწიფო ხაზინა, კოდი: 220101222, სახაზინო კოდი: 302003174, ანგარიშსწორების ანგარიში №200122900, მიუთითონ საქართველოს შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სატენდერო მისაკრებელი, კონკრეტული შესყიდვის დასახელებით და წარმოადგინონ თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი, შემდეგ მისამართზე, ქ. თბილისი კახეთის გზატკეცილი №38, (შესყიდვების ორგანიზების ქვანოვოვლებზე), რის შემდგომაც გადაეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია. დაინტერესებულ პირებს სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შეუძლიათ განცხადების გამოქვეყნების დღიდან 10:00 – 18:00 საათამდე ყოველ დღე 2009 წლის 26 დეკემბრის ჩათვლით.

2. მისაწოდებელი საქონლის ჩამონათვალი:

ლოტი №	პოზიცია №	საქონლის დასახელება	განზ. ერთეული	რაოდენობა ან მოცულობა	მიწოდების ადგილი
	1	3	4	5	6
I	1	ქლოროფორმი	ლ.	120	შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის საწყოები, ქ. თბილისი ქიზიყის ქ. №5
	2	ქლოროფორმი ქ.	ლ.	6	
	3	აცეტონი	ლ.	240	
	4	აცეტონი ქ.	ლ.	6	
	5	ამიაკი	ლ.	230	
	6	მეთანოლი	ლ.	40	
	7	გოგირდოვანი ეთერი	ლ.	12	
	8	სპილენძის სულფატი	კგ.	100	
	9	ნიჰიდრინი	გრ.	12	
	10	ამონიუმის ვანადატი 250 გრამიანი	ფლ.	6	
	11	ამონიუმის მოლიბდატი 100 გრამიანი	ფლ.	6	
	12	გოგირდმჟავა	ლ.	200	
	13	აზოტმჟავა	ლ.	200	
	14	ეთილის სპირტი	ლ.	600	
	15	ეთილის სპირტი ქრომატ.	ლ.	6	
	16	ბენზოლი	ლ.	150	
	17	ბენზოლი ქრომატ.	ლ.	6	
	18	ტოლუოლი	ლ.	170	
	19	ტოლუოლი ქრომატ.	ლ.	6	
	20	რკინის (III) ქლორიდი	კგ.	5	
	21	კალიუმის იოდიდი	კგ.	30	
	22	ფორმალინი (ფორმალდეჰიდის 40% ხსნარი)	ლ.	160	
	23	კობალტის როდანიდი	კგ.	6	
	24	ბისმუტის ნიტრატი	კგ.	2	
	25	ვერცხლისწველის ნიტრატი 250გრამიანი	ფლ.	6	
	26	ვერცხლის ნიტრატი 250 გრამიანი	ფლ.	6	
	27	ნატრიუმის ტუტე	კგ.	150	
	28	კალიუმის ტუტე	კგ.	150	
	29	დიაზომარიდი (მყარი ლურჯი "გ")	ფლ.	50	
	30	კობალტის თიოციანატი 25 გრ	ფლ.	3	
	31	იოდი კრისტალური	კგ.	35	
	32	ნატრიუმის ნიტროპრუსიდი	კგ.	5	
	33	ნატრიუმის კარბონატი	კგ.	100	
	34	მარილმჟავა	ლ.	200	
	35	ბარიუმის ქლორიდი	კგ.	50	
	36	კალიუმის კარბონატი	კგ.	50	
I	37	ეთილაცეტატი	ლ.	70	შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის საწყოები, ქ. თბილისი ქიზიყის ქ. №5
	38	ჰექსანი	ლ.	200	
	39	ჰექსანი ქრომატ.	ლ.	6	
	40	ციკლოჰექსანი ქრომატ.	ლ.	6	
	41	მეთილეთილკეტონი ქრომატ.	ლ.	1	
	42	ამონიუმის როდანიდი	კგ.	50	
	43	მჟაუნმჟავა	კგ.	80	
	44	ჰიანტროპინი	ლ.	50	
	45	ფოსფორმობილდენის მჟავა	კგ.	6	
	46	კალიუმის ბიქრომატი	კგ.	100	
	47	წყალბადის ჰექსანი	ლ.	50	
	48	აცეტალდეჰიდი	ლ.	10	
	49	ძმარმჟავა ეთილთიოვანი	ლ.	120	
	50	ნატრიუმის სულფიდი	კგ.	5	
	51	პალადიუმის ქლორიდი	გრ.	6	
	52	8-ოქსიხინოლინი	კგ.	2	
	53	ნატრიუმის ნიტრატი	კგ.	100	
	54	დიოქსინი	კგ.	1	
	55	როდამინ Pb	კგ.	1	
	56	იზოპროპილის ეთერი	ლ.	3	
	57	ბუთილაცეტატი ეთერი	ლ.	3	
	58	ტრილონ-ხ	კგ.	2	
	59	გრისის რეაქტივი	კგ.	5	
	60	ნესლერის რეაქტივი	ლ.	15	

61	მაგნიუმის ოქსიდი	კგ.	2		
62	ბისმუტის სუბნიტრატი	კგ.	15		
63	კალციუმის კარბონატი	კგ.	50		
64	ეთერი თიხა	კგ.	30		
65	ანესთეზინი	კგ.	5		
66	ლანოლინი	კგ.	20		
67	ვახელინი	კგ.	10		
68	ქაფური	კგ.	10		
69	სალიცილის მჟავა	კგ.	8		
70	ქსეროფორმი	კგ.	5		
71	რივანოლი	კგ.	8		
72	პიდროხინინი	კგ.	5		
73	n ამინო ბენზონის მჟავა	კგ.	0.5		
74	ფენოლნაფტალინი	კგ.	0.5		
75	ანელინი	ლ.	1		
76	გამხსნელი (პრაიავიტელი)	კგ.	100		
77	ოთხქლორიანი ნახშირბადი	ლ.	10		
78	ფოსფორმჟავა	ლ.	11		
79	ოქტანი	ლ.	4		
II	1	ადამიანის ცილის შრავი	მლ	100	შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის საწყოები, ქ. თბილისი ქიზიყის ქ. №5
	2	ქათმის ცილის შრავი	მლ	30	
	3	ღორის ცილის შრავი	მლ	30	
	4	ძაღვის ცილის შრავი	მლ	20	
	5	კატის ცილის შრავი	მლ	20	
	6	ცხენის ცილის შრავი	მლ	20	
	7	წვირილფეხ რქოს. საქონლის. ცილის შრავი	მლ	30	
	8	მსხვილფეხ რქოს. საქონლის. ცილის შრავი	მლ	30	
9	ანტი - A	მლ	300		
II	10	ანტი - B	მლ	300	
	11	ანტი - H	მლ	300	
	12	ანტი - Rh (D)	მლ	50	
	13	ანტი - M	მლ	10	
	14	ანტი - N	მლ	10	
III	1	სასინჯი ხს. ოქრო 375	მლ	20	
	2	სასინჯი ხს. ოქრო 500	მლ	20	
	3	სასინჯი ხს. ოქრო 583	მლ	30	
	4	სასინჯი ხს. ოქრო 585	მლ	20	
	5	სასინჯი ხს. ოქრო 750	მლ	20	
	6	სასინჯი ხს. ოქრო 900	მლ	20	
	7	სასინჯი ხს. ოქრო 958.	მლ	20	
	8	სასინჯი ხს. ვერცხლი ხრომიკი	მლ	20	
	9	სასინჯი ხს. ვერცხლი 800	მლ	20	
	10	სასინჯი ხს. ვერცხლი 875	მლ	20	
	11	სასინჯი ხს. ვერცხლი 916	მლ	20	
	12	სასინჯი ხს. ვერცხლი 925	მლ	20	
	13	სასინჯი ხსნარი პლადინა	მლ	20	
	14	სასინჯი ხსნარი პლადიუმი	მლ	20	

3. მიწოდების ვადები შემოთავაზებული უნდა იქნას პრეტენდენტის მიერ, მიწოდების ვადები გათვალისწინებული იქნება შეფასების დროს

4. პრეტენდენტმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინოს ორ ვებგვერდზე ერთი დასაშვანი კონვერტი (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) 2009 წლის 27 დეკემბერს 12:00 საათამდე, მისამართზე: ქ. თბილისი, შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი, კახეთის გზატკეცილი №38. საკვალიფიკაციო მონაცემის კონვერტების გახსნა განხორციელდება 2009 წლის 27 დეკემბერს 12:00 საათზე.

5. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

- იურიდიული პირებისთვის:
 - ა) ცნობა საჯარო რეესტრიდან, ქონებაზე ყადაღის არ არსებობის შესახებ; (მოქმედების ვადა არა უმეტეს 5 სამუშაო დღისა)
 - ბ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან (მოქმედების ვადა არა უმეტეს 5 სამუშაო დღისა)
 - გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არ არსებობის შესახებ. (მოქმედების ვადა არა უმეტეს 10 სამუშაო დღისა)
 - დ) ცნობა სასაბართლოდან, მასზედ რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე. (მოქმედების ვადა არაუმეტეს 10 სამუშაო დღისა)
- ფიზიკური პირებისთვის:
 - ა) ცნობა სასაბართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება. (მოქმედების ვადა არაუმეტეს 10 სამუშაო დღისა)
 - ბ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არ არსებობის შესახებ. (მოქმედების ვადა არა უმეტეს 10 სამუშაო დღისა)
 - გ) ცნობა მისი ქმედუნარიანობის შესახებ (ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი დაწესებულებიდან, მოქმედების ვადა არა უმეტეს 20 სამუშაო დღისა)
- როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირებისთვის:
 - ა) სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს პრეტენდენტის დასახელებას, იურიდიულ მისამართს, ტელეფონ/ფაქსი, საბანკო რეკვიზიტებს, ხელმძღვანელის სახელს, გვარს.
 - ბ) საგადასახადო წარმოდგენილი იქნეს შემოთავაზებული საქონლის ნიმუშები, ასევე ხარისხისა და წარმოების დამადასტურებელი სერტიფიკატები.
 - გ) შენიშვნა: ზემოთ ჩამოთვლილი საკვალიფიკაციო მონაცემები შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება.

6. პრეტენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციისა და სატენდერო განცხადების მოთხოვნებს.

7. ტენდერის შედეგად შესაძლებელია გამოვლინდეს ერთი ან რამდენიმე გამარჯვებული.

8. საგადასახადო წარმოდგენილი იქნას სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია, სატენდერო წინადადების ღირებულების 1% ოდენობით.

9. პრეტენდენტის გამარჯვების შემთხვევაში საგადასახადო წარმოდგენილ იქნას ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია ხელშეკრულების ღირებულების 2%-ის ოდენობით.

10. დაფინანსების წყარო – სახელმწიფო ბიუჯეტი.

11. პრეტენდენტებს შეუძლიათ გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციის სატენდერო მისაკრებლის გადახდამდე, ზემოთ მითითებულ მისამართზე.

12. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისგან: გიორგი მაღლაკელიძე, ტელ: 41 87 13, 877 77 32 22; გიორგი ახალმოსულიშვილი 877 99 51 59

სატენდერო კომისია

სპორტი

სანიკიძის მორიგი წარმატებული ტური

კვირას ევროპაში მოთამაშე საქართველოს ნაკრების კალათბურთელებმა საკუთარ ჩემპიონატებში მორიგი ტურების მატჩები გამართეს. ვიქტორ სანიკიძის "ვირტუსმა" "ფერარასთან" გასვლით მატჩში 90:73 გაიმარჯვა. სანიკიძე გუნდის ძირითადი იყო და გამარჯვებაში დიდი წვლილი შეიტანა. მწვრთნელმა ქართველ ფორვარდს 31 წუთი მისცა სათამაშოდ. დროის ამ მონაკვეთში ვიკამ 11 ქულა, 3 მოხსნა და 1 ჩაჭრა მიითვალა.

სანიკიძემ 5-დან 3 ორქულიანი, 1 სამქულიანი და 3-დან 2 საჯარიმო გამოიყენა, სამჯერ დაჯარიმდა, ორჯერ კი მის წინააღმდეგ უხეშად ითამაშეს. ბოლონიელთა შორის ფინელმა კოპონენმა გაიბრწყინა - 24 ქულა.

დამარცხდა მანუჩარ მარკოიშვილის "კანტუ", რომელმაც "პეუსი კასტერასთან" გასვლითი მატჩი 67:82 წააგო. "მანუშ" სასტარტო ხუთეულში ითამაშა და



სანიკიძე მეტოქის კალათს უჭყვს

მოედანზე 29 წუთი დაჰყო. 11 ქულა, 5 მოხსნა, 4 ჩაჭრა და 3 პასი - ასეთია მისი მონაგარი.

"კანტუს" რიგებში 10-ქულიან ზღვარს ლეუნენი და მაცარი-ნოც გადასცილდნენ.

ჩემპიონატის ერთპიროვნულ

ლიდერად რჩება ნიკა მეტრეველის "მონტეპასკი", რომელმაც ზედიზედ მეცხრე გამარჯვება "ჩიმბერიო ვარეზესთან" იზეიმა. ქართველი კალათბურთელი სინელთა განაცხადში არ ყოფილა.

საბერძნეთის ჩემპიონატის მორიგმა ტურმა გიორგი შერმადინის გარეშე ჩაიარა. ქართველი ცენტრის "პანთინაიკოსმა" სალონიკის "პაოკი" 83:78 დაამარცხა.

ნარუმბეტელი დღე ჰქონდა გიორგი ცინცაძის "ტრიკალას". მიუხედავად იმისა, რომ ქართველი გამთამაშებლის გუნდი სეზონის წინ საგრძობლად გაძლიერდა, ჯერჯერობით გუნდი საკუთარ თამაშს ვერ პოულობს. ტრიკალელები სეზონში მეოთხედ დამარცხდნენ, ამჯერად "მარუსისთან" - 69:81. ცინცაძემ 18 წუთში 4 ქულა, 4 მოხსნა, 2 პასი და 1 ჩაჭრა მოაგროვა.

ესპანეთის ჩემპიონატში თორნიკე შენგელიას "ვალენსია" მადრიდში "რეალთან" დამარცხდა - 66:77. ახალგაზრდა ქართველი კალათბურთელი თავისი გუნდის განაცხადში არ ყოფილა.



დავით კოჭიერიძის სკატი

ლეო

ლიონელ მესი "ფრანს ფუტბოლმა" ოფიციალურად აღიარა მეფედ და ეს ტენდენცია ალბათ კიდევ დიდხანს შენარჩუნდება იმიტომ, რომ ის გენიალური ფეხბურთელია. დაბალი, პატარა, ცოტა სასაცილო, მაგრამ უკვე ძალიან, ძალიან დიდი.

კარგი ყველაფერი ცოტაა. ძალიან კარგი - მით უმეტეს. ეს ეხება ადამიანებს, ფილმებს, ჩალაღაჯს და, რასაკვირველია, ფეხბურთელებსაც. ამიტომ მესისნაირები ბევრნი არ არიან და ეს ბიჭი იმითაცაა უნიკალური, რომ თვითონაც ცოტაა. ვგულისხმობ მოედანზე მის იშვიათად გამოჩენას, რასაც ერთი მიზეზი აქვს - ხშირი ტრავმები.

ეს ამბავი ლეოს ცუდად აქვს დაბედებული და რომ არ გამართლებოდა, ფეხბურთის ვინ ჩივის, დღეს შეიძლება ცოცხალიც არ ყოფილიყო - როდესაც პერსპექტიული ლიონელ ანდრეს მესი "ნიუელს ოლდ ბოიზიდან" "რივერ პლეიტში" უნდა გადასულიყო, მას ზრდისთვის საჭირო ჰორმონების, სომატოტროპინის მწვავე დეფიციტი აღმოუჩინეს. მკურნალობისთვის თვეში 1000 დოლარი იყო საჭირო. ეკონომიკურად ატროფირებულ არგენტინაში ამ თანხაზე "რივერიც" კი დაფიქრდა და ვერაო. ამ დროს გამოჩნდა კარლეს რექსაჩი, "ბარსელონას" მაშინდელი საორტული დირექტორი, რომელმაც ლეო ულაპარაკოდ წაიყვანა კატალონიაში.

ზუსტად არ მახსოვს, პირველად სად და როდის ვნახე, მაგრამ რომ ვნახე, მივხვდი, რომ ეს არ იყო დიეგოს მორიგი ვითომ მემკვიდრე. როგორც ორტეგა, გალიარდო, აიმარი ან რიკელმე. ეს სულ სხვა ბიჭია, სულ სხვანაირად თავხედი და განსაკუთრებულად გოთვერანი (წმინდა საფეხბურთო ამბავში). ასეთი იყო თავად მარადონაც (არა მარტო საფეხბურთო კუთხით), რასაც ზემოხსენებულ ჯიგრებზე ნამდვილად ვერ ვიტყვი.

ლეოს სახლი მარჯვენა ფლანგია. და, მტრისას, თუ სახლიდან გამოვარდა! ის ჰგავს ბავშვს, რომელსაც ძალიან უნდა შოკოლადი (რომელიც მონინალ-მდეგის კარშია) და რომელსაც მშობლები შინიდან არ უშვებენ. რას აკეთებს ამ დროს ბავშვი? იტყუება! მშობლებმა იციან, რომ პატარას შოკოლადი უნდა და მოიტყუება, მაგრამ ხშირად ეს ტყუილი ჭრის. ასეა ლეოს ამბავიც - მცველებმა იციან, რომ მათ წინ მოსიარულე ტყუილია, მაგრამ აზრზე არ არიან, რა უნდა ქნან.

საერთოდ, შემტევი ფეხბურთელი ყოველთვის იოლ გზას ეძებს, პარტნიორები მას სივრცეებს უთავისუფლებენ. დიდი გუნდები და დიადი მოთამაშეები ამას გენიალურად აკეთებენ, მესი კი პირიქით, თითქოს ხელოვნურად იქმნის წინააღობებს, ეძებს ყველაზე დაბურულ ადგილებს, საცობებს, ყვინთავს იქ და რაღაც წარმოუდგენელი ილეთებით ახერხებს იქიდან გამოძრომას. ის ექსტრემალია, ის ადრენალინის ეძებს, მას არ მოსწონს უბრალო სიტუაციები.

ამიტომ თითქმის ყველა მოძრაობა, თითქმის ყველა გოლი სხვანაირად ხოშიანი გამოხდის. დაქრის თავისი პატარა, დაღუნული ფეხებით, ხულიგნურად მატაობს, პროვოკაციულ იდეებს აფრქვევს, სულ გეჩვენება, რომ ბურთს დაკარგავს, მაგრამ არ კარგავს, არ ვარდება, არ იღლება, არ ეშლება, არ ეზარება.

ამ ბოლო დროს მთლიანად "ბარსელონასავით" თითქოს ცოტა მოდუნდა, არგენტინაშიც აჭორავდნენ, ნაკრებში ზერეულედ იქცევაო, მაგრამ ეს ყველაფერი დროებითია - ლეო ხო ის კაცია, ზიდანის შემდეგ რომ დგას ხელმწიფეთა რიგში.

მომავალ სამშაბათამდე

მაკარიძე ძირითადში იმკვიდრებს ადგილს

ჩაიარა მორიგმა უქმეებმა და ისევ ქართულ საფეხბურთო ლეგიონზე ვსაუბრობთ. ევროპაში მოზურთავე ჩვენებურებს არც ამჯერად გამოუდიათ თავი. ერთადერთი, რისი გამორჩევაც ღირს, ახალგაზრდა ქართველი მეკარის გიორგი მაკარიძის მეტ-ნაკლებად წარმატებული თამაშია. საფრანგეთის ელიტურ დივიზიონში მოასპარეზე "ლე მანში" მაკარიძე ადგილის დამკვიდრებას ცდილობს და, ეტყობა, ეს ურიგოდ არ გამოსდის. ზედიზედ მეორე ტურია, რაც 19 წლის ქართველი მეკარი "ლე მანის" ძირითადში თამაშობს. იმის გამო, რომ საქართველოს ნაკრებში მეკარის პოზიცია ერთ-ერთი ყველაზე მტკივნეულია, მაკარიძის დამკვიდრება ფრანგულ ფეხბურთში მნიშვნელოვანი რამ არის.



მაკარიძემ სულეიმან კამარას არ გაატანინა

გო ორივე გუნდმა, რომლებშიც ქართველები თამაშობენ. კახა კალაძის "მილანმა" ზედიზედ მეოთხედ გამარჯვდა. ამჯერად "როსონერიმ" "სამპდორია" დამარცხა - 3:0. კალაძე სათადარიგოთა სკამიდან ადევნებდა თვალყურს თამაშს. "პალერმოს" განაცხადში გამოჩნდა ლევან მჭედლიძე, თუმცა ქართველი ფორვარდი მინდორზე არ გასულა. სიცლილელებმა "კატანიას" მოუგეს - 2:1.

ინგლისის ჩემპიონლიგაში სათადარიგოთა სკამზე მორიგი მატჩი ჩაატარა ზურაბ ხიზანიშვილი, რომლის "ნიუკასლმა" ზედიზედ მეექვსე გამარჯვება იზეიმა. "კაჭკაჭებმა" "უოტ-ფორდს" 2:0 სძლიეს და ტურნირს ოთხქულიანი უპირატესობით ლიდერობენ. რაც შეეხება ხიზანიშვილს, "ნიუკასლი" მასთან საიჯარო ხელშეკრულების გაგრძელებას არ აპირებს.

ამ ფონზე წარმატებულად უნდა ჩაითვალოს ქართველთა ასპარეზობა მეორე ბუნდესლიგაში, სადაც ამ სეზონში თავისი მესამე გოლი იზეიმა ალექსანდ-

რე იაშვილმა. "კარლსრუეს" ქართველმა კაპიტანმა ალენის "როტ ვაისთან" გასვლით მატჩში 43-ე წუთზე გამოიჩინა თავი. კარლსრუელთა კიდევ ერთმა ლიდერმა შტინდლმა დუბლი მიითვალა და სტუმრებმა 3:1 გაიმარჯვეს. იაშვილმა შეუცვლელად ითამაშა.

ასევე "როტ ვაისს", ოლონდ ობერჰაუზენისას, დაუპირისპირდა მათე ლვიანიანიძის "მიუნხენ 1860". ბავარიელებმა სტუმრად 1:0 გაიმარჯვეს. ქართველი მცველი კი თადარიგში იყო.

საბერძნეთის ჩემპიონატში ურიგოდ არ თამაშობს გიორგი შაშიაშვილის "ეგროტალიესი", რომელმაც მორიგ ტურში მინიმალური ანგარიშით დაამარცხა "კავალა" და სატურნირო ცხრილში მეოთხედ ადგილზე გადაინაცვლა. შაშიაშვილი, ტრადიციულად, 90 წუთს ითამაშა.

უკრაინის ჩემპიონატში სანდრო გურულის "კარპატმა" "ვორსკლას" უმასპინძლა და 1:0 გაიმარჯვა, რითაც წაუგებელ მატჩთან სერია ხუთამდე გაზარ-

და. ქართველი ფეხბურთელი ლევოველთა ძირითად შემადგენლობაში იყო და მოედანზე 61 წუთი დაჰყო.

"ტავრიამ", რომელშიც ვეტერანი ქართველი ფორვარდი ვასილ გიგიაძე თამაშობს, სტუმრად 1:0 დაამარცხა ირაკლი მოდებაძის "მეტალურგი". გიგიაძემ 90 წუთს ითამაშა. რაც შეეხება მოდებაძეს, მან მატჩი სათადარიგოთა სკამზე დაიწყო და მოედანზე გასვლის საშუალება 63-ე წუთზე მიეცა.

მოუგებელ სერიას განაგრძობს ლაშა ჯაკობიას "არსენალი". კიეველები ამჯერად "ზარისას" დაუზავდნენ. ქართველი ფეხბურთელი მასპინძელთა განაცხადშიც არ ყოფილა.

ვახტანგ ფანცხავას "მეტალისტმა" ექვსმატრიანი მოგებათა სერია საკუთარ მიწოდორზე "ობოლონთან" მარცხით დაასრულა. ქართველი თავდამსხმელი მასპინძელთა განაცხადში ვერ მოხვდა. ჯაბა კანკავასა და ბექა გოცირიძის გარეშე მოთამაშე "დნიპრომ" დონეცკის "მეტალურგს" 2:0 მოუგო.

ქართულ საფეხბურთო ლეგიონზე საუბარს სასიამოვნო ინფორმაციით დავასრულებთ. ქართული ფეხბურთის ამომავალი ვარსკვლავი გიორგი ჭანტურია სულ მალე შესაძლოა "ბარსელონას" მთავარ გუნდში ვიხილოთ. პეპ გვარდიოლამ 16 წლის ქართველ ჭაბუკს ერთხელ უკვე მისცა ძირითად გუნდში თავის გამოჩენის შანსი, "ბარსელონას" ახალგაზრდულ გუნდში კი ჭანტურია ლიდერის როლშია. მორიგ ტურში "ბარსელონა" "ვის რიუმპიერას" ეთამაშებოდა და მეტოქე 4:0 დაამარცხა. ჭანტურიამ შეუცვლელად ითამაშა და დუბლი გაიფორმა. პირველ ტაიმი სწორედ ჭანტურიამ გახსნა ანგარიში. მეტოქის განადგურებასაც მეოთხე გოლით მანვე დაუსვა ნერტილი.

ტრეზეგეს პარიზში ელიან

ტურინის "იუვენტუსის" ფრანგი ფორვარდი დავიდ ტრეზეგე შესაძლოა მომავალი სეზონის დასაწყისიდან პსჟ-ში აღმოჩნდეს. ცნობილია, რომ ფრანგული გრანდი მაღალკვალიფიციური თავდასხმელის ძიებაშია. როგორც ჩანს, კლუბის მესვეურებმა ბიანკონერის ფორვარდზე შეაჩერეს არჩევანი. თავად დავიდმა სეზონის წინ განაცხადა, რომ ეს მისი უკასკენელი წელია "იუვეს" შემადგენლობაში.

ტურინში გადასვლამდე ტრეზეგე "მონაკოს" ლირსებას იცავდა და ამ გუნდთან ერთად ორჯერ საფრანგეთის ჩემპიონიც გახდა.

ტურინში გადასვლის შემდეგ მან უფრო მეტს მიაღწია. ახლა დავიდის ანგარიშზე 164 გოლია ოფიციალურ შეხვედრებში, რაც კლუბის ისტორიაში მეხუთე შედეგია. ბოლო ხანს ტრეზეგეს "ქალბატონის" მესვეურებთან არც ისე შეხმატკბილებული ურთიერთობა აქვს. ასე რომ, შესაძლოა მისი ტრანსფერი კარგა ხანია აქტუალურია.

პელე: "საუკეთესო დი სტეფანო"

ამას წინათ ჟურნალისტებთან პელემ მარადონაზე, დი სტეფანოსა და "რეალში" თამაშის შესახებ ისაუბრა.

"მე არ გადავიდი ევროპაში სათამაშოდ, რადგან "სანტოსში" თავს ბედნიერად ვგრძნობდი. უამრავი შემთავაზება მიქონდა, მაგრამ სერიოზულად არც ერთი არ დავინტერესებულვარ. შემძლე გადავსულიყავი "რეალში", მაგრამ ყველა ფეხბურთელისთვის ძნელია მშობლიური კლუბის დატოვება," - აცხადებს პელე.

აქვე პელემ ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელის თაობაზე ისაუბრა. შეკითხვას, თუ ვინ არის საუკეთესო - პელე თუ მარადონა, ფეხბურთის მეფე ასე პასუხობს:

"უმეტესობა ფიქრობს, რომ საუკეთესო პელე ან მარადონაა, მაგრამ ჩემთვის საუკეთესოა შორის საუკეთესოა ალფრედო დი სტეფანო. დიეგო ძალიან მაღალი კლასის ფეხბურთელი იყო, მაგრამ თავით და მარჯვენა ფეხით გოლების გატანა არ შეეძლო. ერთი კი გაიტანა თავით, მაგრამ ხელიც მიაშველა."

"არისტოკრატებმა" ფაბიანოს შესყიდვა ისურვეს

ზამთრის სატრანსფერო პერიოდში "ჩელსი" რომ სატრანსფერო ბაზარზე იაქტიურებს, ცხადზე ცხადია. ფიფას გადაწყვეტილებით, "არისტოკრატები" მომდევნო ორ სატრანსფერო პერიოდს გამოტოვებენ. ასე რომ, თუ აბრამოვიჩს გუნდის გაძლიერება სურს, ამაზე ახლა უნდა იფიქროს.

ბრიტანული მედიის ინფორმაციით, ლონდონელები "სევილიას" ბრაზილიელ ფორვარდთან ლუის ფაბიანოსთან მართავენ მოლაპარაკებას. ამ ფეხბურთელის გადაბირება ანჩელინის ჯერ კიდევ "მილანში" მუშაობის პერიოდში სურდა. "როსონერის" შეფებს ბრაზილიელის ყიდვა გასულ ზაფხულსაც უნდოდათ, მაგრამ ესპანურ კლუბს იტალიელთა მიერ შეთავაზებული 14 მილიონი ფუნტი ეცოტავა და მილანელებს ტრანსფერზე უარი უთხრა. ახლა კი ფაბიანოს ფასი კიდევ უფრო იზრდება. "ჩელსი" მზადაა ფეხბურთელი 24 მილიონი გირვანქა სტერლინგი გადაიხადოს, თუმცა "სევილიას" სურს ბრაზილიელი სეზონის ბოლომდე შეინარჩუნოს. ეს ვარიანტი არ აკმაყოფილებს ლონდონელებს, რომლებიც ფიფას ვეტოს გამო ზაფხულში სატრანსფერო ბაზარზე ვერ იშუშავებენ.

არსებობს ერთი ვარიანტი, რომელმაც შესაძლოა "ჩელსი" და "სევილია" შეთანხმებამდე მიიყვანოს. კერძოდ, ლონდონელები ლუის ფაბიანოს იანვარში შეიძენენ, შემდეგ კი მხარეებს შორის გაფორმდება საიჯარო ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც, ბრაზილიელი ფორვარდი სეზონის ბოლომდე ანდალუზიაში დარჩება.

"ფიქრობს, ფაბიანო ამ სეზონშივე შეიცვლის მისამართს. თუმცა, საბოლოო სიტყვა მაინც "სევილიას" ხელმძღვანელობას ეკუთვნის", - ამბობს ფეხბურთელის პირადი აგენტი.

იოვეტიჩი ისევ დაშავდა

იტალიური "ფიორენტინას" ჩერნოგორიელ ნახევარმცველს სტევან იოვეტიჩს ბედი არ სწავლობს. ფეხის თითის მოტეხილობის გამო მას თითქმის თვე-ნახევარი გაუცდა. კვირას იოვეტიჩმა "ატლანტას" წინააღმდეგ მატჩში ითამაშა და ისევ "იების" ლაზარის დაუბრუნდა. "ფიორენტინას" ოფიციალური ვებგვერდის ინფორმაციით, 20 წლის შემტევ შუახაზელს ბერგამოელ ვიზაგისთან შეჯახებისას ბარძაყის კუნთი დაუზიანდა. ტრავმის გამო იოვეტიჩმა მატჩი ვეღარ გააგრძელა და 50-ე წუთზე ის მარტინ იორვენსენით შეცვალეს.

დიდი ინტერესი ნოიერის მიმართ

"შალკეს" მეკარე მანუელ ნოიერით რამდენიმე კლუბი დაინტერესებული. მათ შორისაა "მანჩესტერი". ინგლისური გრანდი გერმანელ გოლიკუბერში 39 წლის პოლანდიელი მეკარის ვან დერ საარის შემცვლელს ხედავს. როგორც "სპორტბილდინგს" შეეიტყვეთ, ამის შესახებ ნოიერის აგენტს თომას კროთსაც დაუდასტურებია ჟურნალისტებისთვის.

